ა(ა) იპ წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
განათლების მიმართულება

ქრისტინე ქორიძე

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური შეხედულებები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრის
აკადემიურიი ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმღვანელი: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

დედა ბარბარე (მეგრელაძე)

ხიჭაური

2021

შინაარსი

ანოტაცია---------- 4

შესავალი----------6

თავი 1. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკები

§1.ინფორმაციები ბიოგრაფიიდან----------15

§2.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედების ზოგიერთი ეპიზოდი--------26

§3.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა და გამოთხოვება----------37

თავი 2. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

§4.საგანმანათლებლო მოღვაწეობა----------47

§5.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აღზრდა-განათლების შესახებ----------55

§6.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ----------63

7.გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ჩართვა სადამრიგებლო საათის პროგრამაში

§7.1. ქადაგების რაობა----------67

§7.2. სადამრიგებლო საათი ,,უმჯობესნი შევიქნეთ სულითა და გულითა“--------78

§7.3. .სადამრიგებლო საათი ,,აწ არს ჟამი განღვიძებად ძილისაგან“----------82

§7.4 სადამრიგებლო საათი ,,ყოველი ჩვენი კეთილი გრძნობა და აზრი ლოცვასა შინა გაჩენილი გარდაიქცეოდეს კეთილ საქმედ----------84

§7.5 სადამრიგებლო საათი ,,გარნა მამასა გაუხარდა მოქცევა მისი“----------87

§7.6 სადამრიგებლო საათი ,,გიყუარდეთ თქვენცა ერთსა მეორე,შეურიგდით ურთი-ერთსა და მიუტევეთ შეცოდებანი ერთმა მეორესა.“----------89

§7.7 სადამრიგებლო საათი ,,სიტყვა ჩემი...“----------93

§7.8 სადამრიგებლო საათი ,,ზნეობითი სწავლა და დარიგება განსხვავებულ უნდა იქნეს ქალებისთვის.“----------96

დასკვნები----------102

ლიტერატურის დასახელება----------106

ანოტაცია

ქრისტინე ქორიძის ნაშრომში ,,წმ.გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობა“ განხილულია გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური მოღვაწეობა.რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანია დღესაც,როგორიც იყო მის თნამედროვეობაში.

განსაკუთრებით აქტუალურია,რომ საგანმანათლებლო საქმიანობა განხილულია იმგვარად,რომ ხელი შეეწყოს მის გამოყენებას ზნეობრივი აღზრდისათვის საგანმანათლებლო პროცესში.

ნაშრომში გაანალიზებულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელობა და ქადაგებების სააღმზრდელო საქმიანობაში ჩართვის საჭიროება.ამ მიმართულებით ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად განხილულია სადამრიგებლო საათი.

ნაშრომში განხილულია გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკები და მისი ღვაწლის მნიშვნელობა იმდროინდელი ქართველი მოღვაწეების შეფასებების მიხედვით,ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ნაშრომში გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების სააღმზრდელო პროცესში ჩართვისათვის მასალები მოცემულია სადამრიგებლო საათის სცენარის სახით.რაც ამაღლებს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

Annotation

Kristine Koridze's work "Educational activity of St. Gabriel Bishop" discusses the pedagogical activity of Bishop Gabriel, which is as important today as it was in his time.

It is especially relevant that educational activities are considered in such a way as to facilitate its use for moral upbringing in the educational process.

The paper analyzes the importance of the educational activities of St. Gabriel Bishop and the need to engage in the educational activities of sermons. Tutoring is considered to be one of the most effective means in this regard.

Based on historical documents, The author discusses the chronicles of the life of Bishop Gabriel and the importance of his merits according to the assessments of Georgian figures of that time.

Materials for the involvement of Bishop Gabriel's sermons in the educational process are given in the form of a tutorial hour script, which enhances its practical significance.

შესავალი

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობამ ახალი მიმართულება მისცა საგანმანათლებლო მიმართულებას საქართველოში.არა მხოლოდ მის ეპოქაში,არამედ მნიშვნელოვანია დღესაც.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობა მეტად რთულ პერიოდში მოუხდა,როგორც იაკობ გოგებაშვილს წერს: სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში გამეფებული იყო გამომმყეყეჩებელი ზეპირობა, ზუთხვა,იშვიათად ესმოდა რომელიმე მოსწავლეს მექანიკურად გაზეპირებული გაკვეთილების შინაარსი, იშვიათად თუ ვისმეს შეეძლო რამდენადმე მაინც თავისუფლად გამოეთქვა აზრი რუსულად სემინარიის კურსის დასასრულს თორმეტი და თოთხმეტი წლის სწავლების შემდეგაც კი, სახელმძღვანელოების შინაარსის მექანიკური, უაზრო გაზეპირება, აი ასეთი იყო მაშინ თითქმის მთელი სწავლება (გოგებაშვილი, 1954:40). სწორედ ასეთი ,,გამომყეყეჩებელი" სწავლების შეცვლას შეეცადა გაბრიელ ეპისკოპოსი თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სასულიერო სემინარიაში საერო ჟურნალ-გაზეთების გამოწერა,რათა მომხდარიყო სემინარიელების ინტელექტის გაფართოება -გაზრდა, გარდა ამისა, გაბრიელ ეპისკოპოსმა მოახერხა, რომ სემინარიას დაეწყო სხვადასხვა მწერლების თხზულებების გამოწერა, ყოველივე ამან გაბრიელ ეპისკოპოსის ავტორიტეტი მეტად გაზარდა სემინარიაში,როგორც პედაგოგების ასევე მოსწავლეთა თვალში.

გაბრიელ ეპისკოპოსის სიყვარულისა და ავტორიტეტის ზრდა განპირობებული იყო არამარტო იმით,რომ მან არაერთი რეფორმა განახორციელა სემინარიაში,არამედ მაგალითად, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: ქიქოძის პიროვნების გავლენას მეტად შეუწყო ხელი აგრეთვე ერთმა თვისებამ, რაც უაღრესად დიდ კეთილ

გავლენას ახდენდა აღსაზრდელთა ზნეობრივ მხარეზე, მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო, ნამდვილი გულწრფელობა და სამართლიანობა ახასიათებდა ყველა მის ქცევას, მოქმედებას და მთელ მის ცხოვრებას, მის ბაგეს ერთი-არამართალი სიტყვაც არასოდეს წამოცდენია(გოგებაშვილი, 1954:42).

გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთისამ,ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართვწლოში,პირველად: ორკლასიანი კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში,სოფელ ბახვში თავისი ხარჯით,ეს სკოლა წარმოებს აგერ 15 წელიწადია და მისი სამუდამო არსებობა უზრუნველყოფილია საკმაო თანხით,რომელიც გაბრიელმ ასახელმწიფო ბანკში შეიტანა,მეორედ:სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც,რომლითაც წერა-კითხვა გავრცელებულია იმერეთის მხარეში.მესამედ:თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებებით ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილით,რომელნიც ინგლისურ ენაზეც კი ითარგმნენ.მეოთხედ:იმით,რომ თავდაპირველად გაბრიელმა ნამდვილი თანადგომა გამოუჩინა წერა-კითხვის საზოგადოებას.წესდებას ხელი მოაწერა,როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმთავითვე შემოიტანა საწევრო, ხვედრი დამფუძნებელი წევრობისა და ყოველწლივ შემოაქვს საწევრო თანხა.(საქართველოს ცენტრალური არქივი,ფონდი481,საქმე N238,ფურცელი 1-50.).

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობას და წერდა: ,,გაბრიელ ეპისკოპოსი მოითხოვდა მოსწვლეებისაგან ყურადღებით მოესმინათ მისი ახსნა-განმარტება კლასში და მასალა შეეთვისებინათ მისი სიტყვებით.ის გაკვეთილს ხსნიდა მთელი სიმარტივით,ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე,გაიმეორებდა მას რამდენიმეჯერ და შემდეგ იმასვე გაამეორებინებდა საუკეთესო მოსწავლეებს,ვიდრე მთელი გაკვეთილი არ იქნებოდა ათვისებული...ყოველივე არსებითს კლასი აითვისებდა მთელი შეგნებით,ნათელი,ცოცხალი გაგებით.განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამან ყურადღების აღზრდაზე.ცოცხალი სწავლების ხერხი გადაიღო ზოგმა სხვა ახალგაზრდა მასწავლებელმაც და ძველი,მკვდარი ზუთხვა გაუქმდა.(იაკობ გოგებაშვილი, ,,თხზულებანი“ ტომი II თბ.1990;158-159).

განსვენებული მთავარ-მწყემსისთვის რომ ვინმეს ეკითხა სიცოცხლის დროს რა უფრო საჭიროა საქართველოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის,იგი აუცილებლად უპასუხებდა: ,,დანერგვა ყველა ქართველში ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ნამდვილი განათლებისა“.(იაკობ გოგებაშვილი, ,,თხზულებანი“ ტომი I I თბ.1990:144).

ნამდვილი გულწრფელობა და სამართლიანობა ახასიათებდა ყველა მის ქცევას,მოქმედებას დ ამთელ მის ცხოვრებას- მის ბაგეს ერთი არამართალი სიტყვაც კი არ ასოდეს წამოსცდებოდა.ერთხელ ერთმა მოსწავლემ იცრუა სემინარიის რექტორ არქიმანდრიტის წინაშე,რექტორი მოსწავლეს ეუბნებოდა:როგორ არ გრცხვენიათ ასე,რომ ცრუობთ,აიღეთ მაგალითი თქვენი ინსპექტორისაგან (წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი),რომელშიც არავითარი სიყალბე არ არის.(იაკობ გოგებაშვილი,თხზულებანი“ ტომი V თბ.1990:460).

იმერი ბასილაძე ,,გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა“ წერს: დღეს რწმენითა და ლოცვით უნდა მივაღწიოთ უფალთან ურთიერთობას,უნდა შევძლოთ ღვთისნიერ,თითოეული ჩვენთაგანისთვის ბოძებული მადლის მიღება და გამოვლენა...ხშირად ვხვდებით დაპირისპირებულ მოვლენებს ახალგაზრდობაში,ერთი მხრივ გამძაფრებულ რელიგიურობასა და მეორე მხრივ სრულ უზნეობას შორის,ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პედაგოგიურ მემკვიდრეობას,რომელიც საეკლესიო მოღვაწეებმა შექმნეს.

გადავარჩინოთ მოზარდის სული,მივცეთ მის განვითარებას სწორი მიმართულება,განვამტკიცოთ მასში ქრისტიანული,ზნეობრივი ნორმებისადმი სიყვარული,ხელი შევუწყოთ პიროვნების ჩამოყალიბებას,ეს არის დღევანდელ ეტაპზე სკოლის,როგორც სააღმზრდელო დაწესებულების უპირველესი მოვალეობა,ამ მიმართულებით იგი უნდა ეყრდნობოდეს იმ ზნეობრივ იდეებს,რომელსაც გვთავაზობს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი,რათა ახალგაზრდებმა ცოდნის შეძენასთან ერთად საზრდო მისცეს სულის განვითარებასაც.

მიგვაჩნია,რომ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა საქართველოსათვის ურთულეს პერიოდში სწორად განსაზღვრა ერის ჩამორჩენის დაძლევისა და განვითარების გზები.მისმა შეხედულებებმა მრავალი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა შექმნა,ესენია: ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრება,სასკოლო ქსელის

გაფართოება,პედაგოგიური კადრების მომზადება,ქალთა განათლების განვითარება,განათლების მიზნებისა და შინაარსის სრულყოფა,მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა.

ფასდაუდებელია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათა სააღმზრდელო მნიშვნელობა.მოსე ქიქოძე პასუხობს შეკითხვას.შეკითხვა: რა არის მიზეზი,რომ გაბრიელ ეპისკოპოსი მხოლოდ სიმართლისმოყვარეობისა და სიზარმაცეზე ესაუბრება მრევლს?

პასუხი: ჩვენში ერთობ გავრცელებულია სიცრუე და სიზარმაცე.და აი სწორედ ეს არის მიზეზი ხშირად საუბარია ამ საგნების შესახებ.ეს მით უფრო სამწუხაროა,რომ ეს ორი ნაკლოვანება არის დამღუპველი ჩვენთა კეთილშობილთა,რომელთა შორისაც განსაკუთრებით დაბალია ეს სენი.

მისი მოსპობა არ შეუძლია ერთს,ორ და სამ მქადაგებელს,რაც უნდა ნიჭიერი იყოს.ამას უნდა ებრძოდეს უკეთესი ნაწილი მთელი საზოგადოებისა მაგრამ სამწუხაროდ,წინააღმდეგ ამისა, ამ საზოგადოებაში ბედნიერების გამხრწნელ ჭორს თითქოს უფრო ფასი ედება.მუქთად მჭამელნი უფრო პატივს პოულობენ,ამოდენად შეუპყრიათ უმეცრებას...გარნა ამისთანა უბედურებაზე მუდამ დაუღალავად თავგანწირულად არ უნდა ღაღადებდეს ნამდვილი საზოგადო მოქმედი მუშაკი?ამ სენის აღმოსაფხვრელად უნდა დალიოს თავისი სიცოცხლე ნამდვილმა საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწემ და მოყვარულმა ხალხისამ,არ უნდა დაადუმოს თავისი ენა მანამდე სანამდის ძალუძს.აი,მიზეზი,რომ იმერეთის ეპისკოპოსი თითქმის მუდამ ამხელს სამწყსოს და აფრთხილებს ყველას თამამად,გაბედვით ამ სიზარმაცისა და უმეცრების გამო.

გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია დიდაქტიკა.მისი სწავლების თეორიაში მოცემულია სწავლა-განათლების მიზნები,სწავლების მეთოდები,პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები,დიდაქტიკური პრინციპების კონკრეტული ხერხები.

სწვლის პროცესი,როგორც ცნობილია,მოითხოვს ცოდნის გადაცემა-შეთვისების ორმხრივ პროცესს.

სწავლების ამოცანების განხორციელების საქმეში გაბრიელ ეპისკოპოსი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზოგადპედაგოგიურ საფუძვლებს, სწავლების

აღმზრდელობით პრინციპებს, მათ დაკავშირებას ცხოვრებასთან, პედაგოგიურ პროცესში მოსწავლეთა ასაკობრივად განვითარებისა და სწავლების განმავითარებელი ფუნქციის გათვალისწინებას.

აღმზრდელობითი სწავლება გულისხმობს სწავლების პროცესის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ შეერთებას აღზრდასთან,ესე იგი სწავლებას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი ხასიათი და ცოდნასთან ერთად მოსწავლეები უნდა იძენდნენ იმ ზნეობრივ თვისებებს,რომლებიც აღზრდის მიზანდასახულობას შეესაბამება.

სკოლა თავის მიზანდასახულობას ძირითადად სწავლების საშუალებით ანხორციელებს ,რასაც საფუძვლად უდევს აღზრდის პრინციპები. ამიტომ, სწავლება, იმავდროულად აღზრდასაც გულისხმობს.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნია,რომ მასწავლებელი,თუ მას სურს მიაღწიოს დასახული ამოცანების განხორციელებას,აუცილებლად უნდა უწევდეს ანგარიშს აღსაზრდელის ფსიქო-ფიზიკური განვითარების დონეს,მის უნარსა და შესაძლებლობებს.

გაბრიელ ეპისკოპოსის დასწავლის ფაქტორს წარმოადგენს აზროვნება,რაც მას ესმის,როგორც ,,შემეცნებით უნართა მოქმედება,ესე იგი წარმოდგენები, მსჯელობები, დასკვნები, ცნებები“ და სხვა.აზროვნებაში კი განიხილავს წარმოსახვისა და მეხსიერების მონაწილეობას.მეხსიერება არის ჩვეულება,ჩვევა,რომელიც არაცნობიერ მოქმედებადაა გადაქცეული: ასეთი ჩვევა ყველა ადამიანს აქვს,მაგრამ არსებობენ ჩვევები,რომლებიც ცალკეული პირებისათვის არის დამახასიათებელი.ასეთია,ჩვევა ზოგიერთი სუსტი მოსწავლისა,რომელთაც შეუძლიათ სულმოუთქმელად და თითქმის გაცნობიერების გარეშე,წარმოთქვან კარგად დაზეპირებული გაკვეთილი.

განვითარებული ადამიანისათვის დახსომება ნიშნავს გააზრებას.გაგება-გააზრება მისი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისათვის,აზრის დახსომებისას,დასაყრდენს წარმოადგენს,აგრეთვე თვალსაჩინოება.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი არჩევს თვალსაჩინოების ორ სახეს:საგნობრივს და სურათოვანს. ,,საუცხოოდ მოწყობილ,მაშინ მთელ საქართველოში ეღტადერთი ფიზიკის კაბინეტში,თვალსაჩინოების გზით,შეძლო თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის თავისებური შერწყმა. საინტერესო და ყველასათვის მისაწვდომი ცდების

შემდეგ კი,იგი მიმზიდველი ცოცხალი სიტყვით/სმენითი აღქმით/საბოლოოდ განამტკიცებდა მოსწავლეთა გონებაში ცოდნას.ასევე საყურადღებოა,რომ ახალგაზრდა პროფესორს შეუძენია ზოგიერთი ასტრონომიური ინსტრუმენტი,რომელთა დახმარებით იგი...სემინარიის აივნიდან საღამოობით აწარმოებდა ასტრონომიურ დაკვირვებას."(გოგებაშვილი 1990:159).

სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი,რადგან იგი წარმოადგენს სასწავლო მასალის გადაცემისა და შეთვისების სისტემის საფუძველს.მასზეა აგებული ყველა დიდაქტიკური წესი/ნაცნობიდან უცნობისაკენ,მარტივიდან რთულისაკენ,ახლობელიდან შორეულისაკენ/.

სისტემატიურობისა და თანმიმდევრობის პრინციპზე იგება,პირველ რიგში, სასწავლო გეგმები და პროგრამები,რომელთა ღირსება და მიზანშეწონილობა,სწორედ იმით განისაზღვრება,თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი დასისტემებული ცოდნის თანმიმდევრულ შეთვისებას.

სწორედ ამ პრინციპით ააგო გაბრიელ ეპისკოპოსმა სემინარიის სასწავლო გეგმა და პროგრამები.

გაბრიელ ეპისკოპოსი ხაზგასმით აღნიშნავდა მასწავლებლის პიროვნული თვისებების დიდ მნიშვნელობას და მთავარ თვისებად მიაჩნდა ხასიათის სიმტკიცე,პირუთვნელობა,პატიოსნება,უშიშრობა,სიმართლისა და მართლის გამოსარჩლება.იგი მსჯელობდა რა მასწავლებლის პროფესიის შესახებ.ერთ-ერთ თავის ქადაგებაში წერდა: უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი,ესე იგი გყვანან მოწაფენი,რომელთა შენ ასწავლი,ანუ წიგნსა,ანუ რომელსამე ხელობასა,მაშინ უფრო ფიცხელი და პირუთვნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინდისსა.რა სახით ასრულდება ეს მოვალეობა გასული წლის განმავლობაში?გახსოვდეს შენ ყოველთვის,რა დიდი საქმე არი მოსწავლის გაზრდა?რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისგან?მასწავლებელმა მარტო წიგნი,ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა,არამედ უწინარეს ყოვლისა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ერთი სიტყვით ქრისტიანობა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს დიდაქტიკა.მისი სწავლების თეორია განპირობებულია

აღზრდა განათლების მიზნებით,სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლებით,დიდაქტიკური პრინციპების კონკრეტული ხერხებით და სწავლების მეთოდებით.

ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალფეროვანი საკითხებიდან,რომელთაც ქადაგებდა დიდი საეკლესიო მამა.გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს და მისი სააღმზრდელო პროცესში ჩართვით ზნეობრივი აღზრდის ხელისშემწყობად გვევლინება,ამიტომ ავირჩიე საკვლევი თემა და შევეჭიდე ურთულეს პრობლემებს იმ იმედით,რომ მცირედ წვლილს შევიტანდი დიდი წმინდანის სწავლებების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისათვის.

კვლევის მიზანი: საგანმანათლებლო საქმიანობის თანადროუობისათვის მნიშვნელობის გაცნობიერება და სააღმზრდელო საქმიანობაში ქადაგებების ჩართვის საშუალების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები:

1. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების გაცნობა .
2. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის შეფასება იმდროინდელი ქართველი მოღვაწეებისაგან.
3. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ.
4. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების სააღმზრდელო პროცესში ჩართვის შესაძლებლობების დადგენა.

კვლევის მეთოდები:_წყაროებზე მუშაობა, სამაგიდო კვლევა, ანალიზი, კომენტარი, დაკვირვება.

კვლევის მეცნიერული სიახლე:ნაშრომში გაანალიზებულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელობა და ქადაგებების სააღმზრდელო საქმიანობაში ჩართვის საჭიროება.ამ მიმართულებით ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად განხილულია სადამრიგებლო საათი.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა:-ნაშრომში განხილულია გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკები და მისი ღვაწლის მნიშვნელობა იმდროინდელი ქართველი მოღვაწეების შეფასებების მიხედვით,ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა __ნაშრომში გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების სააღმზრდელო პროცესში ჩართვისათვის მასალები მოცემულია სადამრიგებლო საათის სცენარის სახით.რაც ამაღლებს მის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:____წმიდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა,ელექტრონული ბიბლიოთეკა,საჯარო ბიბლიოთეკა,ინტერნეტ რესურსები.

კვლევის აპრობაცია-კვლევის მსვლელობისას მასალები გაეცნო განათლების მაგისტრებს სემინარზე.

ნაშრომის სტრუქტურა:___ნაშრომი შედგება შესავლის ორი თავის, 7 პარაგრაფის,დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

მოკლე შინაარსი:__პირველ თავში ,,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკები".პირველ პარაგრაფში ,,ინფორმაციები ბიოგრაფიიდან" აღწერილია ბიოგრაფიიდან ის ინფორმაციები,რომლებიც ძირითადად ეხება მის მოღვაწეობას.

მეორე პარაგრაფში ,,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედების ზოგიერთი ეპიზოდი" აღწერილია მის მიერ განხორციელებული საქველმოქმედო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

მესამე პარაგრაფში ,,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა და გამოთხოვება" მოცემულია ქართველ მოღვაწეთა გამოსათხოვარი სიტყვები.მათ შორის ილია ჭავჭავაძის,რომლებშიც კარგად ჩანს ის პატივისცემა და დაფასება,რომელიც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა მოიპოვა იმდროინდელ საზოგადოებაში.

მეორე თავის პირველ პარაგრაფში ,,საგანმანათლებლო მოღვაწეობა" მოცემულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებები აღზრდა-განათლების შესახებ.გაანალიზებულია სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა ზნეობრივ აღზრდასთან მიმართებაში.

მეექვსე პარაგრაფში ,,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ" გადმოცემულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებები ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ გაანალიზებულია მისი მნიშვნელობა თანადროულობისათვის.

მეშვიდე პარაგრაფში ,,გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების ჩართვა სადამრიგებლო საათის პროგრამაში“ მოცემულია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებების სადამრიგებლო საათში ჩართვის სცენარები.

ნაშრომში კვლევის შედეგები წარმოდგენილია დასკვნების სახით.

თავი პირველი

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკები

§1.ინფორმაციები ბიოგრაფიიდან

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრების ქრონიკებს დავიწყებ სიტყვებით: ბედნიერი და უძლეველია ერი,რომელსაც ჰყვს ადამიანები,რომელთა ხსენება სულიერად ამაღლებს და აძლიერებს თანამოძმეებს,თითოეულპიროვნებას,მთელ ქვეყანას.

მუხლმოდრეკით პატივს მივაგებ მათ ღვაწლს და დაიმედებული წამოვდგები: ჩვენ გადავრჩებით!

წარმოგიდგენთ ამონარიდს მისი ანდერძიდან: ,,სახელითა მამისაითა და ძისათა და სულისა წმიდისათა...ვსთხოვ შენდობასა,მიტევებასა ყოველთ,ვინც მიცნობდა,რაიცა მათ ვსცოდე,ვაწყენინე ანუნვინიცობაა უსამართლობა ვუყავი.ჩემის მხრით მივუტევებ და შევუნდობ ყოველთა,ვინც რაიმე მაწყენინა,დამჩაგრა ანუ უსამართლობა მიყო.

ვმადლობ და ვაკურთხებ ყოველთა,რომელნი იყვნენ სამწყსოთა შინა ჩემითა.გამოვითხოვ მათთვის ღვთისაგან წყალობასა,მშვიდობასა.გულით და სულით ვმადლობ მათ,რომელნი მე მწყალობდნენ,მეწოდნენ,მე ვუყვარდი,ვმადლობ და ვაკურთხებ მათ,რომელნი იყვნენ ჩემნი თანამსახურნი შინა ტრაპეზისა,თანაშემწენი მართვასა შინა სამწყოისათა:აგრეთვე შინაურთმსახურთა,რომელთაგან მრავლითა თვდადებითა და ერთგულებითა მიადვილებენ უძლურებათა ჩემთა.

ვევედრები ყოველთა,რომელნი გაიგონებენ ჩემსა გარდაცვალებასა ,ლოცვა ჰყონ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის,ხოლო სამღვდელოება ვესავ წირვასაც შეასრულებს ჩემი სულის განსასვენებლად,ვინაიდან თითქმის ყოველნი ჩემ ხელთაგან არიან მიმღებნი საღმთოისა სულის წმინდა მადლისა...

ხორციელ ნათესავთა ჩემთა ვუანდერძებ:ყოველთვინ სწყალობდნენ,შრომობდნენ,პატიოსნად ემსახურებოდნენ ღმერთსა,ხელმწიფეს და მოყვასთა ცხოვრობდნენ თანხმობით,ეწეოდნენ ურთიერთარს,არ ივიწყებდნენ,რომ მათი წინაპარნი უხსოვარისა დროისაგან იყვნენ მსახურნი ტრაპეზისანი,ატარებდნენ პატიოსან და შრომით ცხოვრებასა,რაოდენით შესაძლო იყო მე ვეწეოდი მათ,ახლაც ვთხოვ,ყოველთვინ ილოცონ ჩემი სულისათვის“.

მლოცველი არ წყდება წმიდა გაბრიელის ხატთან.იგი ლოცულობს ჩვენთვის და მთელი საქართველოსთვის.ვისმინოთ მისი,ვინც ოთხ ათეულ წელზე მეტი მსახურებდა ერში ზნეობრივი სიწმინდის,მამულიშვილობის,მოყვასისადმი სიყვარულის დაცვას.

1825 წელი,15 ნოემბერი,სოფელი ბახვი.გურიის მთავრის_მამია გურიელის კარის მოძღვრის მაქსიმეს ოჯახში დაიბადა გერასიმე ქიქოძე(გაბრიელი).ოჯახი მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა.

მელიტონ კელენჯერიძე შემდეგნაირად აღწერს იმ სახლს, სადაც ბავშვობაში იზრდებოდა გაბრიელ ეპისკოპოსი: ,,დაახლოებით წარმოიდგინეთ იმერული, გინდა გურული ღარიბი გლეხის სადა, ფიცრული, ერთოთახიანი დაბალი სახლი, უფანჯრო, უიატაკო, უჭერო, წინა და უკანა კარით, დერეფნით და ისლით დახურული’’(კელენჯერიძე, 2006:19).

გაბრიელ ეპისკოპოსს დედა_ მარიამ დგებუაძე ადრე გარდაეცვალა, იგი გაზარდა მამამ მაქსიმე ქიქოძემ რომელსაც 5 შვილი ჰყავდა, გაბრიელი თვისი მშობლების უმცროსი შვილი იყო, მას ჰყავდა ტყუპისცალი, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა.

გაბრიელ ეპისკოპოსს მეტად მძიმე ბავშვობა ჰქონდა, იგი დედმამიშვილებთან და მამასთან ერთად ძალიან ხშირად ფიზიკურად მუშაობდა.

პატარაობისას მამის უშუალო ხელმძღვანელობით ისწავლა წერა-კითხვა,მიიღო პირველდაწყებითი განათლება.მაქსიმე მღვდლის ოჯახში ხშირად დადიოდნენ მოსწავლეები,რომელთაც იგი უანგაროდ საეკლესიო წიგნების კითხვას ასწავლიდა და გალობაში ავარჯიშებდა.მათთან ერთად მეცადინეობდნენ მისი შვილებიც.ვაჟები დაჰყვებოდნენ მამას ტაძარში და ეხმარებოდნენ: სანთლებს ანთებდნენ,ზარებს რეკავდნენ,საცეცხლურს ამზადებდნენ და ა.შ.

მაქსიმე მღვდელს შვილი ხშირად დაჰყავდა გურიის მთავრის ოჯაში.მამის თხოვნით აქ მას ერთმა რუსმა სამხედრომ,რომელიც მედავითნეობაში ეხმარებოდა მამას შეასწავლა რუსული,გაიცნო საინტერესო წიგნები.

1837 წელს მაქსიმე ქიქოძემ თავისი ვაჟები წაიყვანა თბილისის სასულიერო სემინარიაში სადაც ძმებთან ერთად გაბრიელ ეპისკოპოსი დასვეს სასწავლებლად ,,მცირე განყოფილებაში" (ამ პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლება მიმდინარეობდა განყოფილებების მიხედვით, ,,უმცროსი, მცირე და მაღალი განყოფილება").მეუფე გაბრიელმა თბილისის სემინარიაში მიყვანის დროს უკვე იცოდა როგორც ქართული წერა-კითხვა, ასევე რუსული ენაც.

1839 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი გადაიყვანეს სემინარიის ,,მცირე განყოფილებაში'' (მანამდე იგი იყო უმცროს განყოფილებაში") პირველი ხარისხით.

სასულიერო სემინარიის 1839 წლის №55 ოქმში ვკითხულობთ: ,, გადაყვანილ არიან თბილისის სასულიერო სემინარიის დაბალ განყოფილებაში, სასულიერო წოდების პირველი ხარისხით, გერასიმე ქიქოძე ყოფაქცევაში 1, ნიჭში 1, საღმრთო რჯულში 1, რუსული გრამატიკაში 1, ოსურ ენაში 1, თათრულში 1, საღმრთო ისტორიაში 1, ბერძნულში 1, გეოგრაფიაში 1, არითმეტიკაში 1'' (კელენჯერიძე, 2006:35-36). (1-თი ნიშნავდა ,,5-ს''-ყველა წარმატებული.)

თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბრიელ ეპისკოპოსი სულ მალე მცირე განყოფილებიდან გადაიყვანეს მაღალ განყოფილებაში, რის გამოც შეიკრიბა სემინარიის პედაგოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ : რექტორი, არქიმანდრიტი სერგი, ფლამიანე, ინსპექტორი იღუმენი, პორფილი,მასწავლებელი ფილოსოფიისა პლატონ იოსელიანი, პროფესორი სიტყვიერებისა მაგისტრი კლიმენტი კანევსკი, მასწავლებელი რუსული და ქართული ისტორიისა ალექსი მარსოვი, ეკონომი მღვდელი იოანე ბასხაროვი, თათრულის მასწავლებელი ქსენოფონტოვი, ოსურის მასწავლებელი ესტ ხუნდუხოვი(კელენჯერიძე, 2006:36).

1841 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი თბილისის სასულიერო სემინარიიდან სასწავლებლად გადადის ფსკოვის სემინარიაში, მისი პედაგოგის ვლ.კანევსკის დახმარებით.

1841 წლის 22 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს მიწერა შემდეგი შინაარსის წერილი: ,, დიდი ხნიდან მქონდა მე სურვილი

შუაგულ რუსეთში მყოფ რომელსამე სემინარიაში შესვლის, რომ მიმეღო განათლება მისივე წყაროდან, მაგრამ აქამდის არ მომეცა მე შემთხვევა შემესრულებინა ეს ჩემი ერთადერთი სურვილი და რადგან ახლა ყოფილი პროფესორი თბილისის სემინარიისა კირილ კანევსკი თანახმა არის წამიყვანოს ჩემი თხოვნით ფსკოვის სემინარიაში, სადაც იგი გადაყვანილია მთავრობის განკარულებით და არც მე მაქვს დაბრკოლება მშობლის მხრით, რომელმაც დამლოცა მე და ნება დამრთო შემთხვევის დროს მოვიყვანო სისრულეში ჩემი სურვილი,ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ სემინარიის მართველობას ინებოს განკარგულება ჩემი გადაყვანის შესახებ თბილისის სემინარიიდან ფსკოვში და მომცეს მე ბილეთი თბილისიდან ფსკოვამდი სამგზავროდ'' (კელენჯერიძე, 2006:38).

თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა საქართველოს ეგზარქოსს ევგენის, მიწერა წერილი რათა ნებართვა მიეცათ გაბრიელ ეპისკოპოსისათვის ფსკოვის სასულიერო სემინარიაში გადასვლაზე ეგზარქოსმა დაამტკიცა გერასიმე ქიქოძის თხოვნა და თბილისის სემინარიას შემდეგი შინაარსის წერილი მიწერა: განცხადებული ამისა მოწაფე თბილისის სასულიერო სემინარიისა გერასიმე ქიქოძე შემდეგ დათხოვისა მოხსენებული სემინარიიდან სემინარიის გამგეობის მიერ მიდის თბილისიდან გუბერნიის ქალაქ ფსკოვში სწავლის გასაგრძელებლად ფსკოვის სასულიერო სემინარიის უწყებაში, სადაც მოწაფე ქიქოძე გამოცხადების თანავე ვალდებულია წარუდგინოს ეს ბილეთი იქაურ სემინარიის მთავრობას, რის გამოც უ.უ. წინამძღოლნი ,,ზასტავებძე'' კეთილ ინებებენ მისცენ ქიქოძეს თავისუფალი მსვლელობა თბილისიდან ფსკოვამდი, დასარწმუნებლად რასზედა მიეცა მას ქიქოძეს ბილეთი ესე თბილისის სემინარიის მართველობიდან ჯეროვანი ხელის მოწერით წევრისა მისისა მიერ და დასხმათა სახელმწიფო ბეჭდისათა 1841 წელი დეკემბრის თექვსმეტსა დღესა (კელენჯერიძე, 2006:39).

ეგზარქოსის თანხმობის შემდეგ გერასიმე ქიქოძე მიემგზავრება ფსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად, სადაც სადაც სწავლობდა 1842-1843 წლებში.

1844 წელს გერასიმე ფსკოვიდან სასწავლებლად გადადის სანკ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1845 წელს და ამავე წლის აგვისტოში

სწავლას აგრძელებს სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1849 წელს.იგი ამ პერიოდში გახდა ფიზიკისა და მათემატიკის დოქტორი,პროფესორი.ამასთან ბევრს შრომობდა თეოლოგიაში და ფსიქოლოგიაში.წერდა წიგნებს,მათ შორის დავასახელებთ ,,ცდისეული ფსიქოლოგიის საკითხებს",რომელიც ისწავლებოდა რუსეთის სემინარიებში.

1849 წელს ცოლად შეირთო პეტერბურგელი მღვდლის ნიკოლოზის შვილი მარიამ ვლადვინა და დაბრუნდა სამშობლოში,რომლის ბედი აღელვებდა და წუხდა დანგრევის პირას მისულ საქართველოზე.ბაგრტოვანთა სამეფო ოჯახის დამსხვრევაზე და მოვალეობად თავისი ქვეყნის სამსახური მიიჩნია.

მისი მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში მეტად ნაყოფიერი გამოდგა, როგორც ახალგაზრდა პედაგოგისთვის ასევე მისი მოსწავლეებისთვისაც იგი თავს არ ზოგავდა სემინარიისთვის და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან : კეთილი, ჯანსაღი, და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებათ ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას, ამ წესს ის თვითონვე მკაცრად იცავდა... მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჭრიდა შეშას, მონაწილეობდა სამეურნეო საქმეში (სხირტლაძე,1965:174).

1851 წლის 11 დეკემბერს გერასიმე ქიქოძეს ნიშნავენ ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორად და ანდობენ ფიზიკური კაბინეტის მართვას. სწორედ ამ პერიოდში მეუფე გაბრიელმა მოახერხა, რომ შეექმნა და აღეჭურვა ფიზიკის კაბინეტი იმ პერიოდისთვის თანამედროვე აპარატურით.თავდადებული შრომის მიუხედავად 1854 წელს გადაიყვანეს ქალების ინსტიტუტის საღმრთო სჯულის მასწავლებლად.

1856 წელს აკურთხეს მღვდლად.

1856 წელს,32 წლის ასაკში თავს დაატყდა დიდი პირადი უბედურება.გარდაეცვალა მეუღლე და 5 შვილი,რამაც ახალგაზრდა მღვდელს დიდი სულიერი ტრამვა მიაყენა.მაშინდელმა ეგზარქოსმა ისიდორემ ანუგეშა და დაარიგა შენი სამშობლო ქვეყანა საქართველო დიდად მოკლებულია კარგ და შეგნებულ ხელმძღვანელ მღვდელ-მთავრებს, რომელნიც არიან და ყოფილან ამ მოკლე დროებაში,ყველანი უსწავლელი და გაუნათლებელნი ყოფილან. რომლის გამო მათ სამწყსოში არავითარი გავლენა არა აქვთ და არ ჰქონდათ. ამით მთელი ხალხი, თუმცა

არის ქრისტეს აღმსარებელი, უგუნურებაშია დაფლული, მას უნდა მღვდელმთავარნი და ხელმძღვანელნი რიგიანნი და მცოდნენი,უფალმა შენი ცოლი და შვილები შერაცხა ანგელოზებად და მათ ნაცვლად გაძლევს ქართველთა ერთა, რათა უწინამძღვრო მათ,ასწავო გზა ჭეშმარიტებისა და მიუძღვნა უფალსა ერი იგი განათლებული და განწმენდილი ყოვლისა ბოროტებისაგან'' (კელენჯერიძე, 2006:67).

როგორც აღმოჩნდა ეგზარქოსის ამ დარიგებამ ნაყოფი გამოიღო და 1856 წელს ბერად აღიკვეცა. ბერობის სახელი გაბრიელი ეწოდა.

1858 წლის 5 იანვარს გაბრიელ ქიქოძე აკურთხეს არქიმანდრიტად და ჩააბარეს დავით გარეჯის მონასტერი, იმავე წლის 6 დეკემბერს იგი გორის ეპისკოპოსად აკურთხეს.

1860 წლის 2 ივლისს გაბრიელ ეპისკოპოსი გორიდან გადაიყვანეს იმერეთის ეპარქიის წინამძღვრად (ამ პერიოდში იმერეთის ეპისკოპოსად იყო ექვთიმე წულიკიძე რომელიც 1856 წელს გადააყენეს).

გაბრიელ ეპისკოპოსს იმერეთში მოუხდა მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა, განსაკუთრებით მწვავედ იდგა კეთილმოწესე ოქროპირ წერეთლის საკითხი, რომელიც გამოირჩეოდა მლიქვნელობით და გაიძვერობით, როდესაც ოქროპირ წერეთელმა შეიტყო გაბრიელ ეპისკოპოსის ქუთაისში წასვლის ამბავი იგი მას დახვდა სურამში და შემდეგი სიტყვებით მიმართა: ,,ბატონო, ახალ სამწყსოში თქვენ მრავალი ეკალი და კუროს თავი დაგხვდებათ, მაგრამ იმედია ყველას ძირიანად აღმოფხვრით, როგორც განათლებული პირი, გაბრიელ ეპისკოპოსმა კარგად იცოდა კეთილმოწესის პირფერობის შესახებ და უპასუხა ვგონებ პირველი ეკალი და კუროს თავი შენ უნდა იყო ,,ბლაღოჩინო!'' (კელენჯერიძე, 2006:100). ამ სიტყვების შემდეგ ბლაღოჩინი ოქროპირი მეტად განცვიფრებული დარჩა გაბრიელის სიტყვებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბლაღოჩინი მეტად გადაემტერა გაბრიელს და მრავალჯერ ცილიც დასწამა.იმერეთის ეპარქიაში რთული მდგომარეობა იყო,როგორც სულიერი,მატერიალური,ისე ეკლესიისადმი დამოკიდებულებების თვალთახედვითაც.დავით კლდიაშვილი იგონებს:მეუფე გაბრიელის ქადაგებამ აღაშფოთა ერთი მდიდარი აზნაური,გვარად კანდელაკი,რომელმაც განაცხადა:_ამ ლეკურით გავათავებ აქვეო,გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოსის გამოსვლას.

მოსე ქიქოძე იგონებდა: გათავდა ქადაგება,გალავანი ქუჩიდან ეკლესიის კარებამდე გადაჭედილი იყო თავადაზნაურებით,(რომელნიც მღვდელმთავარმა ამხილა უზნეობაში),დრტვინვა,მუქარა.კარებთან ხმალზე ხელდადებული ელოდებოდა თავადი კანდელაკი.მღვდელმთავარმა მშვიდად,წყნარად გაიხადა შესამოსელი და წამოვიდა კარებისკენ.ეკლესიის შუაგულში დახვდა დეკანოზი და მოახსენა, ,,ნუ გაბრძანდებითო“. ,,ნუ სწუხარ დეკანოზო“_ბრძანა მღვდელმთავარმა და გასწია კარებისკენ.გამოსვლისას გახედა კანდელაკს .ხმაურობა შეწყდა,საზოგადოება გაიპო და გზა მისცეს მეუფეს,რომელიც წყნარად გავიდა ქუჩაში სადაც ეტლი ელოდებოდა,მაგრამ შიგ არ ჩაჯდა,ფეხით წავიდა.

კანდელაკმა შემდგომ თქვა: მძლია მღვდელმთავარმა,ეს ოხერი ხელი ხმლის ვადაზე შემაცივდაო. ასეთი სულიერი ძალის მატარებელი იყო წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

ახალგაზრდა ეპისკოპოსი გაბრიელის საქმიანობა მთლიანად მიმართული იყო ეროვნული ღირებულებების დაცვისაკენ. გაბრიელ ეპისკოპოსი თავად იყო მისაბაძი მაგალითი თავისი ცხოვრებით ყველასათვის, იგი გამოირჩეოდა მეტად უბრალოებით, როდესაც ეპისკოპოსს გაბრიელთან მთავრობის მოხელეები მიდიოდნენ სტუმრად გაკვირვებას ვერ მალავდნენ იმდენად უბრალოდ ცხოვრობდა მეუფე გაბრიელი,მის ოთახში კაცი ვერ ნახავდა ძვირფას ხალიჩებს, ლამაზ მაგიდას, სამაგიეროდ ნახავდა და ერთ ძველ მაგიდას, რომელზეც მუდამ იდო გაჭვარტლული სასანთლე, საწერი საშუალებები და დამტვრეული სკამები,მეუფე გაბრიელის უბრალოებაზე მეტყველებს მღვდელი მარკოზ სხირტლაძის ერთი მეტად საინტერესო მოგონება: ,,მე დავესწარი საბლერისა და სინოდის კანცლერის მდივნის ჩამოსვლას, მათი სადილის მირთმევაზე ძლიერ მეშინოდა, რა ვიცი მაგათი სადილის გაწყობის მეთქი, მოვახსენე; ლაქია მოვიხმაროთ ვინმე მეთქი, მაგრამ სრულებითაც ყურადღება არ მომაქცია, მიბრძანა კმარა რაც იცი, რა საჭიროა ბევრი ცრემონია, მე მოვახსენე, მეუფეო, მაგიდის საფრები ძველები გახლავს აქა-იქ ნაჭრებიც კი აკერია და ის მაინც ვიყიდოთ ახალიმეთქი გამიჯავრდა, შენმა სიცოცხლემ სტოლის საფრებს გიყიდი კი არა, სხვა არაფერი გნებავს კიდეო? წადი, მე რითაც ვცხოვრობ იმით დავხვდები ნუ სწუხარ

შენო რაღას ვიქმოდი, როგორც იყო მივართვი სადილი ძველი სტოლსფრებით, ძველი

სალფეტკებით, ძველი-დანა ჩანგლებით და ძველი ფრაჟის კოვზებით, მადლობა ღმერთს ჩემი შეხედულებებით კმაყოფილები დარჩნენ და მადლობა უთხრეს მეუფეს, როცა წავიდნენ გამობრუნდა და მითხრა, რომ სწუხდი ხომ ყველაფერი კარგად გამოვიდა,მადლობაც კი სთქვესო" (კელენჯერიძე, 2006:151).

ეეებრძოდნენ ყოველი გზით:ჟურნაკებში უბეჭდავდნენ შეურაცხმყოფელ სტატიებს.განსაკუთრებით აქტიურობდა ილია ხონელი ჟურნალებში ,,კავკაზი", ,,კვალი".მიზეზი იყო ის,რომ მღვდელმთავარმა უზნეობაში ამხილა მისი ძმა მღვდელი ლუკა ბახტაძე.გარდაცვალების შემდეგ 1916 წელს ჟურნალში ,,ცხოვრება" XVIII ნომერში გაბრიელ ეპისკოპოსზე გაბრიელ ეპისკოპოსზე ლუკას დაწერილმა წერილმა აღაშფოთა საზოგადოება.რედაქტორი რომანოს ფანცხავა ლუკას წერს: საშინელი შედეგი იქონია შენმა წერილმა გაბრიელ მღვდელმთავარზე,ვინც კი იწერდა ჟურნალს,ყველამ უკან გამომიბრუნა: ,,არა,ჩვენს ოჯახში ამისტანა ჟურნალს ვერ შევიტანთო".გაბრიელის გულისთვის 100 ხელმომწერი ჩამომეცილაო.

მრავლ ჭირს ატეხდნენ თავზე მღვდელმთავარს,მდივანიც ესტატე მჭედლიძე მოუკლეს,რომელიც შემდგომში წმიდანად აღიარებული მღვდელმოწამე სიმონ მჭედლლიძის ძმა იყო.ცილისწამებასა და უსარგებლო დავას ბოლო არ ჰქონდა.ეს ცალკე კვლევის თემაა.აღვნიშნავ ერთ ფაქტს:როგორც აღვნიშნეთ,გაბრიელ ეპისკოპოსს მდივანი ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე მოუკლეს და შემდეგ მეუფე გაბრიელსაც მიწერეს მუქარის შემცველი წერილი.

მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მეუფე გაბრიელს ურჩევდნენ, რომ ქვეყანა დაეტოვებინა თავად იმერეთის ეპისკოპოსი ერთი პერიოდი ფიქრობდა სამშობლოს დატოვებას, ამის შესახებ თავად მეუფე გაბრიელმა გაზეთ ,,დროების'' მეშვეობით აცნობა 1885 წელს ქართულ საზოგადოებას: ჩემი სურვილის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი,მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ მე ერთი ხნიერი კაცი ვარ დიდ ხნის სიცოცხლე მაინც არ მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავისი მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტა. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება, მაგრამ როგორც ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არ ჰსურს ჩემი მოშორება, რომ კიდევაც გადაწყვეტილი მქონდეს

წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა(,,დროება,'' 1885 No141:2).

ამ წერილიდან ნათლად ჩანს გაბრიელ ეპისკოპოსის შეუდრეკელი და მებრძოლი ხასიათი,მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობებისა, მეუფე გაბრიელი მაინც ვერ გატეხეს და ვერ ათქმევინეს უარი ეროვნული ღირებულებების სადარაჯოსთან დგომაზე. აღვნიშნე,იმიტომ, რომ რამდენადმე მაინც გამეხსენებინა რა მძიმე ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

მიუხედავად ყოველმხრივ სიძნელისა,მღვდელმთავარმა გაბრიელმა შესძლო იმერეთის ეპარქიის გაძლიერება.იმერეთის ეპარქია მოიცავდა იმერეთის,სამეგრელოს,სვანეთს,რაჭა-ლეჩხუმს,(გარკვეული პერიოდი გურიასაც,შემდგომ აფხაზეთსაც_ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).მისი ზრუნვით 200-ზე მეტი ეკლესია აშენდა ან შეკეთდა:ნიკორწმინდის,ილორის,ქუთაისის საკათედრო ტაძარი,წმიდა გიორგის,საფიჩხიას ამაღლების ეკლესიები და სხვა.

განუზომელია მისი ღვაწლი ზნეობრივი განწმენდის,განათლების,ქველმოქმედების საქმეში,რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა აფხაზეთში.შემოგთავაზებთ მოკლე მიმოხილვას.

რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა გეიმანის მეშვეობით შეიმუშავა ვერაგული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებას, გეიმანის აზრით, აფხაზეთში საკმარისი იქნებოდა ყოფილიყო ერთი საკეთილმოწესო, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა უფროსი ბლაღოჩინი და ეს უნდა ყოფილიყო დეკანოზი დავით მაჭავარიანი.

1868 წლის 20 აპრილს კავკასიის მთიელთა სამართველომ და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენმა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ,,ეთხოვოს ეპისკოპოს გაბრიელს წინასწარ მიმოიხილოს აფხაზეთის სამრევლოები და იქაური სამღვდელოებისა და მრევლის სულიერი თუ მატერიალური სიდუხჭირის თაობაზე ადგილზე ცნობების შეკრების შემდეგ მათ შესახებ აცნობოს საბჭოს მის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მითითებით'' (გამახარია, 2007: 30)

გაბრიელ ეპისკოპოსმა ზედმიწევნით შეისწავლა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა და დასკვნის სახით წარუდგინა თავისი შეხედულებები კავკასიაში

მართმადიდებლობის აღმდგენ საზოგადოებას.

ეპისკოპოს გაბრიელის შეხედულებები რადიკალურად განსხვავდებოდა გეიმანის იდეებისაგან, გაბრიელ ეპისკოპოსი მართებულად არ მიიჩნევდა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებას, თუმცა გეიმანს ერთში ეთანხმებოდა. კერძოდ როდესაც ის; აფხაზეთის სამღვდელოების განათლების დაბალ დონეს აღნიშნავდა.მეუფე გაბრიელი კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას სთხოვდა, რომ აფხაზეთში აუცილებელი იყო სასულიერო სასწავლებლის გახსნა, სადაც სწავლება უნდა ყოფილიყო როგორც ქართულ ასევე აფხაზურ ენებზე, ხოლო აფხაზ სამღვდელო პირების განათლება აუცილებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში უნდა მიეღოთ. გარდა ამისა გაბრიელ ეპისკოპოსი აუცილებლად თვლიდა ძველი ეკლესია-მონასტრების აღდგენას და სამრევლო სკოლების გახსნას.

რუსეთის საეგზარქოსომ მოიწონა მეუფე გაბრიელის შეხედულებები აფხაზეთის ეპარქიაში გასატარებლი რეფორმების შესახებ და 1868 წლის 11 ივლისს, მეფის ნაცვალთან შეთანხმებით საქართველოს ეგზარქოსმა შუამდგომლობა წარადგინა უწმინდესი სინოდის წინაშე, ეპისკოპოს გაბრიელის სოხუმის ეპარქიის მმართველად დანიშვნის შესახებ.

1869 წლის 30 მაისის ბრძანებულებით ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე გადაიყვანეს გორის ეპარქიის მართველად, ხოლო აფხაზეთის ეპარქია გაბრიელ ეპისკოპოსს ჩააბარეს.

აფხაზეთის ეპარქიაში განწესებულის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად შეუდგა ეკლესია-მონასტრების განახლება-აღდგენას და სამრევლო სკოლების გახსნას 1868-1886 წლებში.წმინდა გაბრიელის მიერ აფხაზეთში აღდგენილი შემდეგი ეკლესია-მონასტრები: აბუაყვის,აკაფის, არანდუს, აჭანდარის, ბაღიქითას, ბარღების, მეორე ბედიის, ბიჭვინთის,ბლაბურხევის, გალის, გიორგიევსკაიას, გუდაუთის,გუფის, დაკოპიტის, დრანდის,გურლიფშის, ეშკეტის, ვარძეთის, ზანდრიფშის, თაგილონის, კალდახვარის, კვიტოელის,ვინდლის,მაზოხის, მარინინსკაიას, მერხეულის, მარინინსკაიას, მოქვის, მეგუძირხევის,ანასტასიევსკოეს, ოთხარის, მეორე ოტობაიის, ოჩამჩირის, რეჩხის,მეორე საბერიოს,სოხუმის, ტამიშის, ტყვარჩელის, შუაწყლის,ცხირის, ჯირხვის ეკლესიები, სულ 51 ეკლესია-მონასტერი(გამახარია, 2007: 62).

ამ მასშტაბით ეკლესია-მონასტრების აშენება-განახლებას აფხაზეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა,რადგანაც ამ ქმედებით საფუძველი ეყრებოდა ქრისტიანობის განმტკიცებას აფხაზ მოსახლეობაში, გარდა ამისა საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც ფასდაუდებელი იყო.

გაბრიელ ეპისკოპოსის აფხაზეთში მოღვაწეობის შესახებ 1871 წლის 9 თებერვალს გაგზავნილ წერილში რუსი მეცნიერი და მოგზაური ა.ნ.მურავიოვი წერს: ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, თუმცა მე პირადად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ, ალბათ, თქვენი მეუფება მიცნობს მე.. მე, ჩემის მხრით, დიდი სიხარულით წავიკითხე ,,მართმადიდებელ მიმოხილვაში'' თქვენი მისიონერული მიზნით, მოგზაურობა აფხაზეთში და ამ თქვენი მოგზაურობის წაკითხვამ აღმიძრა სურვილი, რომ წრიულობით გამომეცხადებინა თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა რომელსაც მე იმ დღიდან თქვენდამი ვგრძნობ,მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ვნახე 1847 წელში და ბოლოს ეღირსა ისეთი განმანათლებლ, რომელსაც როგორც ადგილობით მკვიდრს უფრო სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინემ ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ გზავნიდნენ აფხაზეთში გაცოცხლდა ხელახლა ძველი ბიჭვინტა და განახლდება ეკლესია სიმონ კანანელისა, დრანდის მონასტერი და სხვა მრავალი გაოხრებული ეკლესიები.(გამახარია, 2007:79-80) .

ამრიგად,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში,მღვდელ მაქსიმე ქიქოძის ოჯახში.დედა მარიამ დგებუაძე ადრე გარდაეცვალა და ოთხი შვილის გაზრდა მამამ იკისრა.მაქსიმე ქიქოძე გურიის მთავრის მამია გურიელის კარის მღვდელი იყო.

მაქსიმე ქიქოძეს შვილები თან ახლდა წირვა-ლოცვებზე,ისინი ეხმარებოდნენ მამას,მამამ ასწავლა წერა-კითხვა,დაჰყავდა გურიელის სასახლეში,სადაც აკითხებდა წიგნებს,ასწავლიდა ენებს.შვილებს ამეცადინებდა სოფლის ბავშვებთან ერთად.

ღრმა რელიგიური რწმენა,მუყაითობა რელიგიურ ვალდებულებათა შესრულებაში,სულიერი სიფხიზლე,მდუღარე ცრემლები,ხატის წინ,მყუდრო,ბნელ ოთახში ნაფრქვევი,მუხლზე დგომა საათობით,ღვთისადმი აღპყრობილი ხელები,ყველა ის,რითაც მღვდელმთავარს განცვიფრებაში მოჰყავდა მომსახურე და

მესაიდუმლე პირები,ჩნდება,ვითარდება,მტკიცდება მხოლოდ ოჯახში. (მ.კელენჯერიძე).

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა.ეს იყო პირადი შეურაცხყოფები,მუქარა,წერილები ჟურნალებში თუ სხვა,მაგრამ იგი ყოველთვის სიმტკიცით,სიმართლით და პატიოსანი საზოგადოების მხარდაჭერით კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა,რომ ჩვენს ხალხს ადრითგანვე ჩვეულებად ჰქონიამღვდელმთავრისაგან შენდობის გამოთხოვა,რჯულის კანონად ჰქონია გადაქცეული...როცა შენდობას ითხოვს,ცხადია,რომ ის თავის გულში სინანულში ვარდება და ეს კარგია.ამგვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოერეცხოს.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთის ეპარქიაში,რომელიც მოიცავდა იმერეთის,სამეგრელოს,რაჭა-ლეჩხუმს,სვანეთს,(გარკვეული დროით გურია და შემდგომ აფხაზეთი),200-ზე მეტი ეკლესია ააშენა და შეაკეთა.

განუზომელია წმიდა გაბრიელის ღვაწლი აფხაზეთის ეპარქიის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.თავისი კვლევით,დასაბუთებით აფხაზეთის ეპარქია გაუქმებას გადაარჩინა და ეპისკოპოსად დადგენის შემდეგ დიდი ღვაწლი გასწია აფხაზეთში ეკლესიების აგების,შეკეთების,მოვლის,საეკლესიო მსახურთა მიმართულების მხრივ.

§2.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედების ზოგიერთი ეპიზოდი

გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დასაცავად გამოიხატებოდა მისი ქველმოქმედებით,რომელიც მიმართული იყო ქართული კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის დასაცავად.

1893 წელს ჟურნალმა ,,კვალმა'' გამოაქვეყნა სქატია რომელიც ზუსტად აფასებს გაბრიელ ეპისკოპოსის საქველმოქმედო მოღვაწეობას: ,,იმერეთში არ დარჩენილა არც ერთი დავრდომილი, რომელსაც არ განეცადოს მისი მოწყალება. არც ერთი

კაცთმოყვარული საზოგადო დაწესებულება არ დაარსებულა იმერეთში,რომ გაბრიელი არ შეწეოდეს'' (,,კვალი'', 1893 N42:2).

როდესაც საუბარია გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედებაზე აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ მის დამოკიდებულებაზე ხელმოკლე სტუდენტების ადმი, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებასა და შეჭირვებული ხალხის შემწეობის აღმოჩენაზე.

მეუფე გაბრიელი განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდა გაჭირვებული ოჯახის შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში, მის სამეუფეო რეზიდენციაში ეპისკოპოსის ხარჯით არაერთმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. გაბრიელ ეპისკოპოსის აღზრდილი გიორგი ახვლედიანი იხსენებს იმ მოსწავლეების სახელებსა და გვარებს, რომლებმაც მეუფე გაბრიელის ხარჯით მიიღეს განათლება: ,, ილარიონ მგალობლიშვილი, ტიტიკო ქიქოძე, ვასილ ხაინდრავა, ნიკო ახვლედიანი, მეორე ნიკო ახვლედიანი, ლავრენტი ჩიქოვანი,პოლია ახვლედიანი, რაჟდენ თაყაიშვილი, ვლადიმერ ქიქოძე, გერასიმე ქიქოძე, ერასტო ასათიანი, კოწია გელოვანი, ნესტორ ლორთქიფანიძე, გიორგი ახვლედიანი, ნოე ჩხენკელი, ვარდენ ცქიტიშვილი, გიორგი ერისთავი, კალენიკე ჩხაიძე, კოტე ჯაყელი, მურადოვი, რუსი ებრაელის შვილი ნესტორი გაბრიელის ნათლული, ჩხაიძე მაკარი ბერიშვილი. ამთ გარდა ჩემს წინათაც იზრდებოდნენ სხვები'' (კელენჯერიძე, 2006:154). გიორგი ახვლედიანის ამ მოგონებიდან ჩანს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის რეზიდენციაში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა იზრდებოდა და ეწაფებოდა განათლებას, რაც გაბრიელის მხრიდან უდაოდ დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს. აქ საინტერესო არის ის, რომ გიორგი ახვლედიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს მანამდეც (იგულისხმება გიორგი ახვლედიანის სწავლის პერიოდამდე) ჰყავდა ახალგაზრდები თავის რეზიდენციაში, რომლებიც ეპისკოპოსის ხარჯით იღებდნენ განათლებას.

გაბრიელ ეპისკოპოსის ჩანაწერებში მოიძებნება ერთი საინტერესო ხელნაწერი სადაც საუბარია გაბრიელ ეპისკოპოსის საქველმოქმედო საქმიანობა აფხაზეთში, როგორც ამ წყაროდან ირკვევა მეუფე გაბრიელს აფხაზი ახალგაზრდებისათვის სასწავლებლად შეუწირავს 20 მანეთი, მანვე გამოიწერა 300 მანეთად ჯვარი აფხაზეთისათვის, გაჭირვებული აფხაზისათვის გადაუცია 20 მანეთი. (არ ასახელებს)

სოხუმში ანჩაბაძის სასწავლებლად გაგზავნა 40 მანეთი,(არც აქ მიუთითებს ვინ იყო ანჩაბაძე), მეუფე გაბრიელმა აფხაზი დანჩიევის სასწავლებლად გამოყო 10 მანეთი, გაბრიელ ეპისკოპოსმა აფხაზი ბავშვების სწავლაში დახარჯა 685 მანეთი. იმერეთის ეპისკოპოსის ასეთ ქველმოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზი მოსახლეობისათვის, იმ დროს როდესაც აფხაზეთის მოსახლეობა განიცდიდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის არნახულ ზეწოლას, რაც იმაში აისახებოდა, რომ აფხაზეთში ახალგაზრდებს სრულიად ურთულებდა სწავლის მიღების შესაძლებლობას, მეუფე გაბრიელის ასეთი მხარდაჭერა მართლაც, რომ დასაფასებელ ფაქტს წარმოადგენს.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვარი იღუმენი გრიგოლ ჩხაიძე იხსენებს ერთ მეტად საინტერესო შემთხვევას: ერთხელ მიმიხმო ბატონმა და დამავალა წასვლა ბერიძე თერძთან და იმდენი წყვილი საცვალი, (თეთრეული) შემეკერინებინა, რამდენიც ტუსაღი აღმოჩნდებოდა ქუთაისის სატუსაღოსი, მე შევიტყვე ტუსაღთა რიცხვი და იმდენი საცვლები დავამზადე როცა მოვახსენე, რომ მზად იყო ყველაფერი, მაყიდვინა ორი საპალნე, თეთრი პური და საცვლებთან ერთად გამატანა სატუსაღოში, თანაც მიბრძანა, რომ ჩემი ხელით დამერიგებია საცვლები და პური ტუსაღებზე დიდი წვალება გავიარე სატუსაღოში შესვლაზე, ზედამხედველი არ მიშვებდა ყველაფერი გამიჩხრიკეს, როგორც იქნა დამიჯერეს, რომ ეპისკოპოსის გაგზავნილი ვიყავი და შემიშვეს. აუწერელი სიხარული გამეფდა სატუსაღოში საჩუქრის მიღებაზე, შემომესივნენ ტუსაღები და მკოცნიდნენ ხელზე, ჩემი მიტანილი ეგონათ, როცა მე ვარწმუნე, რომ საჩუქარი ჩემგან არ იყო, ჩამაცივდნენ გვითხარი ვინ იყო მათი მწყალობელი, მაგრამ მე გაფრთხილებული ვიყავი არ მეხსენებია მისი სახელი და თხოვნა ვერ დავაკმაყოფილე (კელენჯერიძე, 2006:160-161).

კიდევ უფრო საინტერესოა ერთი რაჭველი გლეხის მოგონება, რომელიც იხსენებს მის ბავშვობაში მომხდარ ფაქტს: ამ დროს რაჭაში რამდენიმე ეკლესია უნდა ეკურთხებია და პირველად სოფელში მოუხდა მიბრძანება, ეს რომ გაიგო მამაჩემმა ბავშვივით აიჩემა იქ წასვლა ვინათხოვრეთ მეზობლის ხარ-ურემი, ჩავსვით ხვირში სნეული და შევუდექით გზას, სოფელში მივედით წირვა უკვე გაეთავებია დიდებულ მოძღვარს და საყდრის გალავანში მაღლობზე შემდგარი უქადაგებდა ხალხს... ჩვენ მოხერხებულ ალაგზე გავჩერდით მღვდელმთავარმა ადრევე შეგვნიშნა, ურმით რომ

მოვედით და ქადაგებას როგორც კი მორჩა, ჩვენსკენ გამოეშურა როცა მოგვიახლოვდა ჩემმა დედ-მამამ ტირილი მორთეს და მეც ცრემლიან თვალებს ვისრესდი ხელით. ჩვენი ნახვით ყოვლადმოწყალე მღვდელმთავარი მეტად დაღონდა, მაგრამ როდესაც გაიგო ჩვენი გიშერას თავგადასავალი, აგრეთვე მოკანტრახტეების საგმირო საქმენი, მეტად განრისხდა და წამოიძახა ,,ოჰ! ავაზაკები, ავაზაკები''? ამ სიტყვების შემდეგ ფიცხელი წერილი მიწერა ეკლესიის აღმშენებელ კომიტეტს რომ საყვარელი გიშერა ჩვენთვის დაებრუნებიათ, აგრეთვე შეუთვალა ჩვენი სოფლის მღვდელს: ცოდვით აშენებულ ეკლესიას მე აღარ ვაკურთხებ და ნუღარც მელითო. ამ ფიცხელი განკარგულების შემდეგ მოგვიბრუნდა მღვდელმთავარი და გვანუგეშა: ,,ნუ სტირით, თქვე საცოდავებო''? თქვენი ხარი ისევ თქვენ დაგიბრუნდებათ და არც არავის შეუძლია მისი წართმევა ეკლესიის ფულში, მანამდე კი აი ეს შენ! უთხრა მამაჩემს და თანაც ჩუმად ჩაუდვა ხელში რაღაცა და სხვებთან ერთად გაუდგა გზას.რადგან იმედი მოგვეცა გიშერას დაბრუნებისა ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, აგრეთვე გვიხაროდა ის,რომ მღვდელმთავრის ნაჩუქარი 25 მანეთი ბევრ რასმეში წაგვადგებოდა'' (კელენჯერიძე, 2006: 161-162).

გაბრიელ ეპისკოპოსისა და ზემოაღნიშნული გლეხის ურთიერთობა ამით არ დასრულებულა,ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს ქონდა ერთი ჩვეულება, წირვის შემდეგ ბავშვებს შეკრიბავდა და ეკითხებოდა ლოცვებს ის ბავშვი რომელიც თავს გამოიჩენდა საჩუქარს აძლევდა ხოლმე, ასე მოხდა როდესაც მეუფე გაბრიელმა ერთ-ერთი წირვის დასრულების შემდეგ შეკრიბა პატარა ბავშვები ,,მამაო ჩვენოს'' და ,,მრწამსის'' გამოსაკითხად რომელი ბავშვის ნათქვამიც მოეწონებოდა ჯვრებს ჩუქნიდა, ამ შეკრებილ ბავშვებს შორის იყო ზემოაღნიშნული გლეხის შვილი რომელიც მეუფე გაბრიელთან მეორე შეხვედრას შემდეგნაირად იხსენებს: პირველ რიგში თავად-აზნაურთა ბავშვები იდგნენ,მე სულ ბოლოდან ვიცქირებოდი, ვხედავდი რაცა ხდებოდა წინა რიგში ზოგს პირჯვარს უწუნებდა, ზოგსაც ლოცვებს, ჯერი მიდგა ჩემზე: ,,იცი, შვილო, ლოცვები?'' მკითხა მღვდელმთავარმა ვიცი, მამაო, მიუგე მე და ჩვეულებრივად ჩავარაკრაკე ათი მცნება, ,,მამაო ჩვენო'' და ,,მრწამსი'' ზედ მივაყოლე. მღვდელმთავარმა თავზე ხელი გადამისვა და მკითხა: ,,ყოჩაღ, კარგად გცოდია! ამ სიტყვებთან გადმომცა ჯვარი წითელი ლენტით და მკითხა ვისი შვილი ხარ? როცა მოახსენეს ვისი შვილიც ვიყავი რაღაცა მოაგონდა, ღიმილით

შემომხედა და მითხრა: ,,გიშერა როგორ გყავს?'' მე გამიკვირდა, მარა მაინც პასუხი მივეცი ამ დროს მამაჩემიც მოგვიახლოვდა და მოწიწებით თავი დაუკარი მღვდელმთავარს. მღვდელმთავარმა დაგვიბარა ეკლესიის მახლობლად მცხოვრებ თავადის სახლში ჩვენც მივედით. სადილი მიერთმია და აივანზე დასეირნობდა, როგორც კი დაგვინახა მოგვაძახა: ,,მოდით ბეჩავებო ახლოს, ნუ მეკრძალებით!

შევედით და თავი დაუკარით მიწამდი დაგვაჯინა და უბრძანა სადილის აივანზე მოტანინება ჩვენთვის, რადგან შეგვატყო შიმშილი და სისუსტე. ვინემდის სადილს გავათავებდით კრიალოსნით ხელში აქვე დასეირნობდა. ბოლოს მოგვიახლოვდა და უთხრა მამაჩემს: მე მისთვის დაგიბარე, ბეჩავო, რომ კიდევ დაგეხმარო, აგრეთვე, ჩემი სურვილია, რომ ეს ბავშვი გამომიგზავნო ქუთაისში შემოდგომაზე, მე მინდა ჩემს სკოლაში გამოვზარდო, მანამდი აი, გროში, მჭადი უყიდე ბაღნებს!'' ამ დროს თვალით ანიშნა მსახურს და იმანაც რაღაცა გამოკრული გადმომცა მე.

მადლობა გადავუხადეთ მღვდელმთავარს და წავედით გახარებულები სახლში. მით უფრო, რომ მღვდელმთავრის ნაჩუქარი ორი წყვილი საცვალი და სამი თუმანი ფული ჩვენთვის დიდი დახმარება იყო იმ დროს'' (კელენჯერიძე, 2006:163).

კაცხის მონასტრის იღუმენი გრიგოლ ჩხაიძე იხსენებს, თუ როგორ ეწეოდა გაბრიელ ეპისკოპოსი გაჭირვებულებს: დიდ ზამთარში დამარონიებდა შეგირდებს და მცხოვრებლებს შემიტყე ვის უჭირსო, მერე გამატანდა შეშას, ფულს (კელენჯერიძე, 1913:286).

მღვდელი სპირიდონ ჯუღელი იხსენებს, რომ ერთხელ გაბრიელ ეპისკოპოსთან მისულა დიაკვნის ქვრივი, რომელსაც გაბრიელისთვის უთხოვია, რომ ბავშვებისათვის შემწეობა აღმოეჩინა სწავლაში: ერთხელ ჩემს საქმეზედ შევედი გაბრიელთან და ამ დროს ვიღაცა დიაკვნის ქვრივი შემოვიდა ტირილით და მოახსენა წვრილი შვილები ვერ ვარჩინე და ორი შვილი კლასიდან უნდა გამოვიყვანო ჯერ უარი უთხრა, მერე ზედამხედველთან დახმარებას დაპირდა. ქალი ეუბნებოდა მანამდი რაღა ვქნა, დღეს საჭმელი რა გვაქვსო და გავიდა ტირილით. გამაგზავნა მომაბრუნებინა დედა-კაცი და სამი თუმანი ჩაუდვა ხელში (კელენჯერიძე, 1913:291).

დეკანოზი გაბრიელ ბერიძე, იხსენებს ერთ მეტად საინტერესო ფაქტს, კერძოდ: თუ როგორ დაეხმარა გაბრიელ ეპისკოპოსი სენაკში სამ გაჭირვებულ დას. როგორც

მღვდელი გაბრიელ ბერიძე იხსენებს მეუფე გაბრიელმა ახალსენაკიდან მიიღო წერილი, სადაც ავტორი აღწერდა მისი და მისი დების გაჭირვებულ მდგომარეობას და მეუფე გაბრიელს სთხოვდა დახმარებას. იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს წერილის მიღებისთანავე გაუგზავნია წერილი ახალ-სენაკის ბოქაულის ახვლედიანისთვის. რომელიც მეუფე გაბრიელის ნათესავი იყო და უთხოვია, რომ მას გაერკვია, თუ ვინ იყო წერილის ავტორი. ახვლედიანმა მეუფე გაბრიელს დეტალურად აცნობა წერილის ავტორის ვინაობა და ეკონომიკური მდგომარეობა, აღმოჩნდა,რომ იმდენად გაჭირვებულები იყვნენ, რომ სახლიც კი არ ჰქონდათ. ახვლედიანის წერილის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა ბოქაულ იოანე ახვლედიანს მეორედ გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: ,,საყვარელო ძმაო იოანა,! გიგზავნი ამასთანავე 100 მანეთს იმ სამთა უბედურთა დებთა შორის მალე გადაეცი, შენც შეეწიე, რაც შეიძლება სახლი მალე შეაკეთონ,რომ ზამთარმა არ მოუსწროს და არ დაეცნენ ორნი მთელნი, რომ არიან. გაფიცებ, რომ არავინ არ შეიტყოს ჩემგან გამოგზავნა ამ ფულისა. იმათაც უთხარი, რომ არავინ არ შეიტყოს, არავის უთხრან და ფულის მიღებისათვის და გადაცემისათვის მომწერა. შენი გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა,1891 წელი 15 ოქტომბერი, შეეწიე მათ, მასალა უყიდე და სხვა''(,,ივერია,'' 1896 N61:4).

გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისის ეპარქიაში შექმნილი ჰქონდა სპეციალური კომიტეტები რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა შეეგროვებინა შეწირულობა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში მცხოვრები გაჭირვებული ხალხისათვის.

1891 წლის N18 ჟურნალი ,,მწყემსი'' ამასთან დაკავშირებით წერდა: იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, თანახმად უწმინდესის სინოდის უკაზისა, განკარგულება მოახდინა,რომ მისი ეპარქიის სხვა-და-სხუა ადგილებში დანიშნულ იქნეს კომიტეტები რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების დამშეულ მკვიდრთა სასარგებლოდ შეწირულებათა შესაკრებელად(,,მწყემსი,'' 1891 N18:12).

გაბრიელ ეპისკოპოსს ქველმოქმედებისა და მეცენატობის შინაარსი ძალიან კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, იგი ქველმოქმედების შესახებ წერდა: მოწყალება უანგარიშო, უსასყიდლო,წრფელი უნდა იყოს და არა პირმოთნეობითი, შესახედავად, განსადიდებლად... (კიკნაძე, 2009:14). მართლაც მეუფე გაბრიელი

მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროს ყოველთვის ისე აკეთებდა ქველმოქმედებასა და მეცენატობას, პირუთვნელად და ამით სახელის მოხვეჭისაგან ძალიან შორს იდგა, ამიტომაც გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დასაცავად გულწრფელი ხალხზე,ერზე ზრუნვითა და სამშობლოს დიდი სიყვარულით ნასაზრდოები იყო.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქველმოქმედებაზე როცა ვსაუბრობთ,ყურადღებას მივაპყრობთ ანდერძს,რომელშიც ნათქვამია გარდაცვალებულის პირადი ქონება, საკუთარი სურვილით, მთლიანად ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს დაურიგდა.

გამოქვეყნდა გაბრიელ ეპისკოპოსის გამოსათხოვარი სიტყვა. მეუფე უკანასკნელ შენდობას ითხოვდა ყველასაგან და თვითონაც ყველას მიუტევებდა შეცოდებებს.(გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, № 50 (101), 2000 წ.)

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა თავის სამწყსოსა და ეკლესიას. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე კი ორი შინაარსი ანდერძი შეადგინა: ერთი-გამოსათხოვარი; მეორე – ქონების შესახებ. ,, ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება არ რაი ჩემი,ყოველივე ღვთისა არს.'' პირველი ანდერძი ნიმუშია ეპისკოპოსის თავმდაბლობის და სინანულისა მისი სამწყსოს მიმართ, სადაც ის შესთხოვს ყველას ილოცონ მისი სულისათვის.

აქვე მოგვყავს მეორე ანდერძის (ქონების შესახებ) სრული ჩამონათვალი:

ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება.

„არა რაი ჩემი, ყოველივე ღვთისა არს „ (სიტყვები მიტროპოლიტ ფილარეტისა მის ანდერძში)

წმ. ხატები ორი, მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა, მოჭედილები, დაიკიდოს ჩემი საფლავის თავზე კედელზე გაუქრობელი ლამპარით, რომელიც ახლაც მათ წინ ანთია, სხვა ხატები, აგრეთვე საეკლესიო წიგნებიც, როგორც სლავიანური, აგრეთვე ქართული გაგზავნილ იქმნას სოფელ ბახვის ეკლესიაში. ძვირფასი პანაღია, ხელმწიფე იმპერატორი მიერ ბოძებული ჩემზე, აგრეთვე ძვირფასი საარქიმანდრიტო ჯვარი, რომელსაც მე ღვთისმსახურებებზე ვატარებდი, შემიწირავს ქუთაისის საკათედრო ტაძრისათვის. მეორე პანაღია, რომელიც უკეთესი იქნება, მიერთვას

უპირატეს არქიელს, რომელიც დაესწრება ჩემ წესის აგებაზე, გარდა ფულით შესაფერისი დაჯილდოებისა შრომისათვის. მესამე პანაღია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს, ფულით საჩუქართან ერთად. თუ არ დაესწრება მეორე ეპისკოპოსი, პანაღია გადაეცეს იმავე ქუთაისის საკრებულო ტაძარს. თუ ჩემ შემდეგ დარჩება გვარიანად ახალი ანაფორა და კაბები, ებოძოს ისინი სასულიერო მსახურთ: არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და მთავარდიაკვნებს ფულით საჩუქართან ერთად, დანარჩენ დაბალ წევრებს კრებულისას კი ფულით საჩუქარი. დანარჩენი სხვა და სხვა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს, მაგრამ ვგრძნობდი რა, რომ ასეთი დახმარება არის დროებითი და შემთხვევითი, მე ვცდილობდი აგრეთვე შემედგინა თანხა, რათა მისი სარგებელი მუდამ მოხმარებოდა ღარიბებს. აქედან ვუტოვებ ქვემორე აღნიშნულ სასწავლებლებს და საქველმოქმედო საზოგადოებებს:

შენახული ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში 12,200 მან. გირავნობითი ფურცლებად ბახვის სასოფლო სკოლის შესანახად, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც უკვე ინახება ამ თანხის სარგებლით, ვუტოვებ და ვუანდერძებ იმავე სკოლას საუკუნოდ.

საეპარქიო სამზრუნველოს სასულიერო წოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიაში 2, 000 მან.

ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ღარიბთათვის 1, 500 მ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის 3, 000 მ.

თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთათვის 3, 000 მ.

იმერეთის ქალთა საეპარქიო ჩემი სახელის სკოლას 5, 000 მ.

ქუთაისის ქალთა უფასო სკოლას 2. 000 მ.

გელათის მონასტერს ვუტოვებ 1000 მ. იმ პირობით, რომ ჩემი სიკვდილის დღეს ძმები სწირავდენ ჩემთვის მონასტრის ყველა ეკლესიებში და სარგებელი დაურიგდეს ყველა ძმებს.

ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას უფლებას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს. ჩემს თხზულებათა პირველი გამოცემისათვის კი, ჩემი სიკვდილის შემდეგ რუსულ და ქართულ ენებზე, ჩემი სურათით ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს 2, 500 მ.

დაურიგდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ მოსამსახურეებს 300 მანეთი საჩუქრად სამსახურში იმ ჯამაგირის ზევით, რაც ერგებათ მათ. ამას გარდა ჩემი სიკვდილის შემდეგაც დარჩებიან ჩემ სახლში, ასევე სხვა გარეშე შაგირდებიც სხვა და სხვა სასწავლებლისა, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას. თუ შესაძლო იქნება, თუ ზემო აღნიშნულ ხარჯების შემდეგ გადარჩება რამე, ზემორე მოხსენებულ შეგირდებს მიეცეს ერთდროებითი შემწეობა, აგრეთვე ჯამაგირი მიეცეს არქიელის გორის წმ. გიორგის სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელს.

1894 წელს 19 გიორგობისთვეს ეს ანდერძი ასე შეცვალა: „სოფ. ბახვის სკოლა თუ დაიკეტოს, მაზე შეწირული ფული გადაეცეს ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიას სამუდამოდ. მასვე გადაეცეს ის 600 მანეთიც, რომელიც შევწირე ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასას, თუ ეს კასსა დაიკეტოს“. დანიშნულება ამ ფულებს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მისცა ასეთი, თუ ეკლესიას გადაეცემა ოდესმე :“ეკლესიის საჭიროებისათვის, უმთავრესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთა უზნეობასთან – რიგიანი სკოლის საშუალებით.

ანდერძს ხელს აწერენ კანცელარიის ხელოსანი ბესარიონ მანდელი, მღვდელი დავით ნასარიძე, მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი და მღვდელი მელიტონ ცაგარეიშვილი.

1894 წელი 19 გიორგობისთვე. (კელენჯერიძე მელიტონ; გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა; ქუთაისი 1913წ.)

გაბრიელ ეპისკოპოსის ეს ანდერძი მრავალი კუთხითაა საინტერესო; პირველი რაზედაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს ის არის,რომ ანდერძის ვერცერთ მუხლს ვერ ნახავთ, რომელიც არ ეხებოდეს ქართული ეროვნული ღირებულებების დაცვა განმტკიცებას და გაჯერებული არ იყოს ქველმოქმედებითა და მეცენატობით, მეორე არის ის, რომ სხვა საზოგადო მოღვაწეების ანდერძებისაგან იმით განსხვავდება, რომ ძალიან კარგად არის მეუფე გაბრიელის მხრიდან გააზრებული ყველა იმ დანატოვარის შინაარსობრივი განკარგვა, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქართული კულტურისა და იდეოლოგიის გავრცელებასა და დაცვას და ბოლოს ეს ანდერძი არის სასულიერო იერარქიის მხრიდან პირველი შემთხვევა, როდესაც მღვდელმთავარი მთელ თავის ქონებას უტოვებს ქართველ ერს. საერო ადამიანების მხრიდან იყო ასეთი შემთხვევები მე19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის

დასაწყისში, მაგრამ სასულიერო წრიდან ნამდვილად პირველი იყო იმერეთის ეპისკოპოსის ანდერძი.

გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილმა მიმართა წერილობითი თხოვნით, სადაც იგი ასაბუთებდა გაბრიელ ეპისკოპოსის დიდ ღვაწლს ქართველი ერისადმი და თხოვდა საზოგადოებას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი აერჩიათ საზოგადოების საპატიო წევრად, (ამ პერიოდში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე), ,,გაბრიელმა,ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.პირველად: ორ კლასიანი, კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში, სოფელ ბახვში თავისი საკუთარი ხარჯით.
მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში.

მესამე: თავისი ფრიად შესანიშნავი ქადაგებით, ხალხისათვის გასაგები ენით დაწერილნით, რომელნიც ორ ტომად დაიბეჭდნენ რამდენიმე გამოცემად და რომელნიც ინგლისურის ენაზედ კი თარგმნენ.

და მეოთხე: იმით, რომ თავდაპირველადვე... გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოიჩინა ჩვენს საზოგადოების, წესდებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმ თავითვე შემოიტანა 30 თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელ წევრებისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული” (ნიკოლეიშვილი, 1990:26)

1890 წლის 21 ნოემბერს ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საერთო კრებამ გაბრიელ ეპისკოპოსი აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად, რის შესახებაც თავად ილია ჭავჭავაძემ აცნობა, გაბრიელ ეპისკოპოსს: ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წლის ერთბაშად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადო და ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე,

დაადგინა. უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ ,,საზოგადოების'' საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს ,,საზოგადოებას'' გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ,,საზოგადოებისა'' ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ ,,საზოგადოების'' გულწრფელი ნატვრაა ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მის და სასიქადულოდ და თავ-მოსაწონად.''(ნიკოლიშვილი 1990:26,27).

ილია ჭავჭავაძის ამ წერილის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა რედაქციას მისწერა სამადლობელი წერილი სადაც აღნიშნავდა: უმორჩილესად გთხოვთ, ი.ჭავჭავაძეს, - გადასცეთ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' კრებას,რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად არჩევისა;

ამისთვის მზად ვარ მივიღო, ჯეროვანი მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობასა, ხოლო თქვენ ბრწყინვალებას ვსთხოვ მიიღოს ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატივისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად ამ საქმისა,რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ ერთმა მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა განწყობილებამ შეგაგონათ თქვენ ჩემდამი ამოდენი ჩემი ქება(ნიკოლეიშვილი ,1990:27).

ამრიგად,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად იღწვოდა ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.იყო გულუხვი,შემწე და მწყალობელი ღარიბთა და დავრდომილთა.დააარსა სპეციალური ,,სამზრუნველო“ სასულიერო წოდების პირთა ქვრივებისა და ობლებისათვის.

მ.კელენჯერიძის დახასიათებით ამ მოჭირნახულე კაცის გული გაღებული იყო ყოველი გაჭირვებული ადამიანისთვის.ობოლი და ქვრივი,ღარიბი და სნეული,გასათხოვარი ქალი და თვალცრემლიანი დედა,დამწვარი და ბრმა,ბერი და მღვდელი,გარეშე და მოყვასი,განათლებული,ურია და თათარი,ყველანი თანაგრძნობას პოულობენ მღვდელმთავრის გულში და ნუგეშობენ მით.

ხალხის ჭირ-ვარამის გასაცნობად ძალიან ბევრს მოგზაურობდა თავის ეპარქიაში.არ იყო სოფელი,სადაც ეპისკოპოსი არ შესულიყო და არ ექადაგა.შეხვდებით ცნობებს იმაზე,თუ რამდენი ქალი გაამზითვა,რამდენი ტყვე უხსნია,რამდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია,რამდენი ფართლეული უყიდია შიშველთა შესამოსად,რამდენი ქირა გადაუხდია,შეგირდებისათვის სასწავლო ნივთები უყიდია,რამდენი სნეული საავადმყოფოში მიუცია და უმკურნალებია,რამდენი ჩანგრეული ხიდი აღუდგენია,სკოლას თუ სასწავლებლებს მუდმივ ჯამაგირს უნიშნავს.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პირად მაგალითს ბევრის გულში სიკეთის თესლი გაუღვივებია.

§3.გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა და გამოთხოვება

გაბრიელ ეპისკოპოსს ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს შეეყარა მეტად მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც მთელი ცხოვრება არ მოასვენა, მართალია, მეუფე გაბრიელი მეტად უფრთხილდებოდა ამ ვერაგ დაავადებას, მაგრამ სიბერეში მეტად გაუმიზეზდა, ამას ისიც დაემატა, რომ ეპისკოპოსს ხშირად სისხლი სდიოდა ცხვირიდან, რამაც მეტად დაასუსტდა.

გაბრიელ ეპისკოპოსის მხლებლები ნერვიულობდნენ მეუფე გაბრიელის სისუსტით, მათ შეძლეს ეპისკოპოსი დაერწმუნებინათ რაჭაში წასვლაზე, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ჰაერის გამოცვლა მეუფე გაბრიელს უშველიდა. სამწუხაროდ, ვერც რაჭის ჰაერმა უშველა მღვდელმთავარს, რის შემდეგაც წმინდა სინოდს სასწრაფოდ მიწერეს წერილი და ითხოვეს, რომ მეუფე გაბრიელისათვის ორი თვიანი შვებულება მიეცათ, რათა სამკურნალოდ ბორჯომში წასულიყო, წმინდა სინოდმა გაბრიელ ეპისკოპოსს თანხმობა მისცა და იგი გაემგზავრა ბორჯომში, სადაც უკეთ შეიქნა

მაგრამ ეპისკოპოსი გაბრიელი ბორჯომში დიდხანს არ გაჩერებულა. მისი დაჟინებული მოთხოვნით წაიყვანეს ქუთაისში. სადაც უფრო დამძიმდა მისი მდგომარეობა. 1896 წლის 19 იანვარს მეუფე გაბრიელს გონება დაკარგა, ყველა ხვდებოდა იმას ,რომ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და მართლაც 25 იანვარს მისი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა გარდაიცვალა და ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი დიდი მამულიშვილი დაკარგა. გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალება დაემთხვა ქუთაისში საშინელ ზამთარს, თოვლი იმდენად დიდი მოვიდა, რომ გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი დაეკრძალათ 10 მარტს რათა ქართულ საზოგადოებას ღირსეული პატივი მიეგო საყვარელი მღვდელმთავრისათვის.

ქუთაისში წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის ორგანიზებისათვის შეიქმნა სპეციალური საგანგებო კომიტეტი.

1896 წლის 10 მარტს დილით ადრიანად წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ნეშთი გამოასვენეს, დიდი ღვთისმსახურისა და მამულიშვილის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო განწყობილებამ მოიცვა მთელი საქართველო.უწყვეტ ნაკადად დაიძრა ხალხი გელათისაკენ.პროცესიას წინ მიუძღვოდა ეგზარქოსი ვლადიმერი, ეპისკოპოსები: გრიგოლ და ბესარიონ დადიანები, ქუთაისის თავადაზნაურების წინამძღოლი თავადი სოსიკო წერეთელი, ბათუმის ქალაქის თავი ლუარსაბ ასათიანი და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წესი, მეუფე გაბრიელს აუგო საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა, რომელმაც შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: შენთან სამსახური დიდიხანს არ მომიხდა, განსვენებულო თანამოძმეო, ერთს და იმავე სარბიელზე,მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში არ შეიძლებოდა შემენიშნა თუ ყოველივე საქმეს როგორ დაუღალავად აკათებდი, მის მიუხედავად რომ მოხუცი იყავი, შენ თვით პირდაპირ განიცდიდი ყოველივეს და არც ერთი საქმე ისე არ გაგიკეთებია, რომ პირადად არ განგეხილა ბრძნულად, მოუდგომელად არ გადაგეწყვიტა... მაგრამ არა მხოლოდ ერთს თვის ზნეობითს ძალებს სწირავდი შენი სამწყსოს სასარგებლოდ არამედ მასვე სწირავდი ნივთიერ საშუალებასაც, შენ ნამდვილ ბერულებრ სცხოვრობდი, ზომიერად სადა და

შენი საშუალების უმეტეს ნაწილს საქველმოქმედო საქმეებს სწირავდი. რომელს კეთილ საქმეშიც ზნეობრივი მონაწილეობა არ მიგიღია და მისთვის მიგიძღვნია საკმაო ნივთიერი შემწეობა?! ნახევარი საუკუნის განმავლობაში თვალყურს ადევნებდი საქართველოში სასულიერო ცხოვრებასა და კარგად შეიგნე მისი ურიცხვნი საჭიროებანი და დაინახე, რომ მის შორის სიღარიბე და შეუწევნელი სიობლე არანაკლებ არიან საგრძნობელნი, ვინემ ყოველს სხვა წოდებაში, და შენის მღვდელმთავრულის მზრუნველობის მეოხებით იმერეთის ეპარქიის სასწავლებელი განიცდიან კეთილმდგომარეობას და კეთილწესიერებას.

ეგზარქოსის ეს სიტყვა 1897 წელს ქართულად ითარგმნა და ქართული საზოგადოება ვრცლად გაეცნო ეგზარქოსის გამოსათხოვარ სიტყვას. ამის სესახებ გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" წერდა: ,, 26 იანვარს ქაშუეთის ეკლესიაში ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის შემდეგ დამსწრეთ დაურიგდათ ცალკე დაბეჭდილი სიტყვა მისი მაღალ-ყოვლადსამღვდელოესობის უწმინდესის სინოდის წევრის საქართველოს ეგზარქოსისა,თქმული შარშან გაბრიელის დასაფლავებაზე-ამ მჭერმეტყველურმა და უაღრესის გრძნობით და გულწრფელობით წარმოთქმულმა სიტყვამ თავისს დროზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ უმეტესობას არ შეეძლო ამ სიტყვის გაგება ენის უცოდინარობის გამო, ამიტომ მისი ქართულად თარგმნა და ისიც ცალკე წიგნად მიწოდება საზოგადოებისათვის სწორედ ამ დღის შესაფერი იყო, ამ სიტყვით ქართულ საზოგადოებას შეუძლია ერთხელ მეტად თვალ-წინ დაიყენოს ნეტარი სახე თვისის ძვირფასის მწყემს-მთავრისა, რომელზედაც მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის ექსარხოსი ვლადიმერი სამართლიანად ბრძანებს, რომ გაბრიელი იყო: ,,თვისი სამწყსოსთვის ჭეშმარიტად ხე კეთილი ჩრდილოვან-ფოთლოვანი, მრავალ ნაყოფიერი და კეთილ-ნაყოფიერი: და აჰა, როდესაც ყოვლად შემუსვრელმან ხელმან სიკვდილისამ მოჰკვეთა ასეთი ხე, ნუ თუ შეუძლიათ მოითმინონ უმწუხაროდ და უცრემლოდ ასეთი დანაკლისი იმით, რომელიც ოც-და-ხუთმეტი წლის განმავლობაში სცხოვრობდნენ ამ ხის ჩრდილ ქვეშ და სჭამდნენ მის მშვენიერის ნაყოფსა?! სიტყვა მშვენიერის ქართულის ენით თარგმნილია ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ, მხოლოდ სამწუხარო ის იყო, რომ ყველას არ გაწვდა ეს წიგნაკი. სასურველია, ხელახლა საკმაოდ დაიბეჭდოს

და ნეტარ-ხსენებულის დასაფლავების წლის თავზე დაურიგდეს მლოცველებს (,,ცნობის ფურცელი,'' 1897 N100:2).

ეგზარქოსი ვლადიმირის შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა გელათის მონასტერში ეპისკოპოსმა გრიგოლ დადიანმა: სიტყვით წმინდაო, საქმით წმინდაო, ცხოვრებით წმინდაო, შენ სიკვდილითაც დაამოწმე შენი კეთილი კაცობა მით, რომელ სხვათა და სხვათა კეთილ საქმეთა შესწირე ყოველი შენი ქონება.

ნეტარ ხარ შენ მოძღვარო, რამეთუ ადგილი განსვენებული მიგელის შენ (კელენჯერიძე, 1913: 251,252).

სამგლოვიარო მიტინგზე ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდაცვლილის უკანასკნელად განდიდებაში.

გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდათ.იმდენად ბევრი იყო სიტყვის მსურველი,რომ თვით დიდ ილიასაც კი დაუგვიანეს ტრიბუნასთან მისვლა.

ამასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: ,,გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი.ხალხი მოდიოდა,მჭიდროდ ეკვროდა ერთმანეთს და იყო გაუთავებელი სიტყვები.ამ მდგომარეობაში ვიყავით,რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა:ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს,მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცდი და მერე კი წავიდეთო.ბოლოს მანვე გვითხრა:მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო.მე წინდაწინ მივედი,გარშემორტყმული ხალხი რამდენადმე გავთიშე და ხმამაღლა დავიძახე:ბატონებო,ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით.ბატონ ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა-მეთქი.ხალხი მაშინვე გაიშალა,ილია წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა.მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა ხალხმა,რომელსაც გაეჭედა ეკლესია.(ექვთიმე თაყაიშვილი, ,,რჩეული ნაშრომები'',ტ.I;1968;254.)

საჭიროდ ჩავთვალე ნაშრომში ჩამერთო წმ.ილია მართლის სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს:

არ ვიცი, ამდენს მშვენიერად თქმულ სიტყვების შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ, რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს-რა ღირსი თქმისა, და ზოგი

იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ვგრძნობ თავსა - მისს თვალგაუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადავაწვდინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდამ დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდამ დიდებული სანახავია. ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით.

დიაღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდ-ბუნებოვანს კაცს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება. „ნეტავი იმასაო, - ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი, - ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო. აი ჩვენს წინაშე მდებარეა იგი მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც-კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თვითოეული წამი მისის ცხოვრებისა - მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებასა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისის სამართლიანის განკითხვითა.

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, - საერო, თუ სამღვდელო, - რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელიბა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ

დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ახილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიეთ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა. რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან.

ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნაეს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის-სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით. სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნვნ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრასა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება - მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.

იგი ერთს თავის ქადაგებაში სთხოვდა თავისს სამწყსოს, რომელიც ყოველთვის სულ-გაკმენდით უსმენდა ხოლმე, ევედრენით ღმერთს, რომ მომცეს მე ძალა ჯეროვნად ვემსახურო ეკლესიასა, ესე იგი, თქვენს ცხოვრებასაო, რადგან თვითოეული თქვენგანი და ჩვენგანი ერთად შეადგენს იმ კრებულს, რომელსაც ეკლესია ღვთისა ჰქვიანო. ეს, მისთვის ლიტონი სიტყვა არ იყო, საღვთო წერილიდამ ამოკითხული და გაზეპირებული. ეს იყო მისი სიმბოლო, ეს იყო მისი განათლებული რწმენა, ეს იყო მისი გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება, ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარეთ მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი - ღვაწლად, მადლი-მადლად, საქმე - საქმედ. არ არის არც ერთი მაგალითი, რომ სადმე და რაშიმე ესუსტნოს ამ რწმენისათვის, პირიქით, თვისი ხანგრძლიეი სამსახური მარტო ამ რწმენას შესწირა და შეალია. კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო, - ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული

სარწმუნოება იტყვის და ამისთანა სარწმუნოებისა იყო იგი, ვისიც სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავისს დაუვიწყარ ქადაგებაში, და სხვა არა-რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. მე თვითონ არ მინახავსო, ამბობს იგი, - ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად-ძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატჯელი ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარა და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო! - ჰნატრულობს ამ საუცხოვო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: - „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი, ყოვლადწმიდისა, რომ ერთს-კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთავბრივი სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა შინა მისთა ბრწყინვიდვს ის უფსკრული გონიერებასა და კრძალულებისა, რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მთვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!“

ასე ათავებს სიტყვას ზეგარდმო შთაგონებით მღაღადებელი მღვდელმთავარი. განა-ღა შეიძლება ამაზე მეტად გაპატიოსნება, ზე-აღწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია ვითომც წილად-ხდომილია მარტო მდაბიოსიო.

საკმაოა ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, მღვდელმთავრის ბაგეთაგან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანება და სიბრძნე მისი, რომლის ბაგენი დღეს ჩვენთვის სამუდამოდ დასდუმდნენ ჩვენდა საუბედუროდ. ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაპატიოსნებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა მხოლოდ იმისათვის, რომლის ბაგითაც თითონ ღმერთი მეტყველებს.

დიაღ, ბატონებო, მისის ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდის-ღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, რიგორიც დღეს წაგვართვა. რომ მისმა კაცთათვის თავდადებულ მსახურებამ, მისმა საქმეებმა უქმად არ ჩაიარა, რომ წრთვნა მისი, მისი ზნემაღალი მოძღვრება არ დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოში, ამას ამტკიცებს გლოვა ამოდენა ერისა, რომელიც დღეს შემოჰხვევია ძვირფასს კუბოს, რომ უკანასკნელად ემთხვიოს იმა ბაგეთა, როლითაც იგი გვლოცავდა და გვწვრთნიდა, იმ მადლიან მარჯვენას, რომლითაც იგი გვაკურთხებდა და რომელიც მუდამ გაწვდილი იყო დავრდომილთა შემწეობისათვის და დაცემულის აღდგენისათვის.

დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის-ცემითა და მადლის ფენითა. რით იყო ასე ძლიერ სახელოვანი ჩვენი მღვდელმთავარი, რომ გამოიწვია ასეთი დიდი გლოვა ერისა? ნუთუ მარტო სიბრძნითა? არა, სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე. ღმერთმაც ვერ გაგზავნა მოციქულნი სხვა ქვეყნად, ვიდრე არ მოუვლინა ცოდნა იმ ქვეყნის ენისაო, - ამბობდა განსვენებული და ამიტომაც იგი ქრისტეს ჯვარით ხელში თავგამეტებით იდგა ჩვენის ენის მწედ და მფარველად.

დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სახელის ხსენება მისი ჩვენდა საწვრთნელად. ყოველივე ეს დიდხანს კიდეე ისაქმებს ჩვენში. დიდხანს და დიდხანს ქართველს საბუთი ექნება სთქვას, რაც მარტო დიდ-ბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მე რომ მისნი მადლით საჭსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებიან, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას ფრთებგაშლილი

მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება აწ ბრძენთაგან თქმულს: „პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო-კი ყოველს სიხარულის ღიმილი მოსდის; ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს“... და აჰა, ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოება საუკუნოდ, ყველანი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა! თუ დიდება სანატრელია, აჰა, ისწავლეთ გზანი დიდების შოვნისანი! ამისი მართალი გზა და ცხადი მაგალითი მთელი ცხოვრებაა ამ დიდებულ და მადლიან კაცისა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას. იგი უდიდ-გვაროდაც დიდიაო, და აჰა: იგი დიდი კაცი, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ, დღეს კუბოშია ჩვენ-წინ მდებარე.1896 წ.

ქართველმა სტუდენტებმა რომლებიც დახმარებას იღებდნენ იმერეთის ეპისკოპოსისაგან პეტერბურგში წმინდა ეპისკოპოსის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს, ამის შესახებ გაზეთი ,,ივერია'' წერს: ,, 10 მარტს, განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის გვამის გელათის მონასტერში გადასვენების და დაკრძალვის დღეს ქართველი სტუდენტების თაოსნობით გარდახდილ იქნა პანაშვიდი სახელმწიფო კანტრალიორის ეკლესიაში, რომელზედაც დაესწრენ ქართველი სტუდენტები. სახელმწიფო კანტრალიორი დ.ტ.ს.ტ.ი ფილიპოვი, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ნ.ი. ნიკოლაძე, თავადი ი. ნაკაშიძე და სხვანი მრავალნი განსვენებული ეპისკოპოსის პატივის მცემელნი.
ამ დღეს პანაშვიდი იყო გადახდილი სასულიერო აკადემიის ეკლესიაში''(,,ივერია,'' 1896 N65:1).

46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მისი გვამი არ გახრწნილა.

1897 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების წლისთავზე გურიაში გადაიხადეს პანაშვიდი, რომელიც ყველა სხვაგან გადახდილი პანაშვიდებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ღარიბმა და გაჭირვებულმა ხალხმა, იმ ხალხმა რომელთაც მთელი ცხოვრება ეწეოდა მეუფე გაბრიელი მადლიერების ნიშნად მიუძღვნეს ძალიან გულთბილი სიტყვები: ,,ჩვენი საკითხი მხოლოდ ის არის, თუ ამ

პატარა, შევიწროვებულმა ღარიბმა საზოგადოებამ, რითა ვცეთ პატივი ჩვენთვის დაუვიწყარ მღვდელმთავრის სახელს?

ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან საშუალება ხელთ არ გვაქვს, მივყვეთ სხვების მაგალითს და დავაარსოთ რაიმე საზოგადო საქმე მის სახელზედ. აგრეთვე არ შეგვიძლია ყოველ-წლობით დავესწრათ გელათის მონასტერში წირვაზე თუ პანაშვიდზე მის სულის მოსახსენებლად და მუხლი მოვიდრიკოთ მისი წმინდა საფლავის წინაშე, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავიდოთ სავალდებულოთ, რომ ყოველ წლობით შევკრებთ ერთ-ერთს ალაგას და ვილოცოთ რათა უფალმა დააწესოს სული მისი იქ, სადაც არ არის ჭირი, არცა მწუხარება არც ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი ”(,,ცნობის ფურცელი,’’ 1897 N122:3).

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ორი სტიპენდია განსვენებული ეპისკოპოსის სახელზე: ,, სასულიერო მთავრობის ნებართვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზედ. სემინარიაში სტიპენდიის (1 ან 2-ის) დაარსებისათვის, კერძოდ შეწირულობათა საჭირო ფონდის შესაკრებელთა. კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ, რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმინდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებული იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში’’(,,ივერია,’’ 1896 N42:1). როგორც ჩანს, გაზეთ ივერიაში გამოქვეყნებულმა ამ სტატიამ თავისი შედეგი გამოიღო და გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად შემოწირულობა შევიდა კომიტეტში.

ამრიგად,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენება იქცა საყოველთაო გლოვად,რადგან მიაჩნდათ,რომ იგი მაშინ მოევლინა ჩვენს სამშობლოს,როცა ირგვლივ ,,უფსკრული,ბნელი ღამე გამეფებულიყო“.იგი იყო მემკვიდრე იმ ძველთა წმიდა მამათა,რომელთა სახელი შორიდან უნათებს ქრისტიანობას,ამხნევებს და უღვიძებს მას სულიერ ძალას.

მანათობელი ვარსკვლავის ჩაქრობას შეადარა საზოგადოებამ ღვთისმსახური მღვდელმთავრის გარდაცვალება და ხალხი უწყვეტ ნაკადად დაიძრა გელათისაკენ.ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდაცვლილის ღვაწლის განდიდებაში.გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდა:ეს იყო გლეხი,მოსწავლეები,მწერლები,დიდი მოღვაწეები,საეკლესიო პირები.მრავალთაგან მნიშვნელოვანია წმიდა ილია მართლის__ილია ჭავჭავაძის სიტყვა,რომელშიც წარმოჩენილია ღვაწლი ადამიანისა,რომელიც ,,სარწმუნოებას ამეცნიერებდა“ და ,,მეცნიერებას ასარწმუნოებდა“.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვით ხალხი ერთხელ კიდევ თითქოს წინასწარ უცხადებდა თაყვანისცემას ყველა იმ მამულიშვილს,ვინც მომავალში ერისა და ქვეყნის სამსახურს უანგაროდ შესწირავდა სიცოცხლეს. წმიდა მამის დაკრძალვა იქცა რწმენად,რომ ღვთისა და მოყვასისადმი გაღებული მადლი უკვალოდ არ იკარგება და სიყვარულით ფასდება.

თავი მეორე

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის საგანმანათლებლო მოღვაწეობა

§4.საგანმანათლებლო მოღვაწეობა

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა.ამ მიმართებით ფასდაუდებელია მისი ღვაწლი.ნაშრომში შევიტანეთ ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა,რომელიც კარგად წარმოაჩენს რამდენად იყო საჭირო იმ პერიოდისათვის საგანმანათლებლო სასწავლებლების დაარსება.

1890 წელს ქუთაისში მეუფე გაბრიელის ხელმძღვანელობით გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, 1894 წლს კი სასულიერო სემინარია, ეს იმ დროს როდესაც ქართველ ახალგაზრდობას არანაირი საშუალება არ ჰქონდა, რომ სწავლა განათლება მიეღო.

ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით 1872 წლის გაზეთი ,,დროება" იუწყებოდა : უმეცარ სამღვდელოებას რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის? ამისთვის ახლანდელი იმერეთის ყოვლადსამღვდელო გაბრიელი დიდი ხნითგან და დიდად მონდომებული იყო, რომ ქუთაისში სემინარია გახსნილიყო. მაგრამ საშუალება არ იყო, უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ, რომელთანაც ამაზე მიწერ-მოწერა ჰქონდა ყოვლად სამღვდელოს, შემწეობაზე უარი სთქვა ბოლოს აქაურს ეკლესიას შემოსავალი მოუმატა. წინა წლებში გადავიდა ხაზინის უწყებაში მრთელი ეპარხიის საეკლესიო ადგილ-მამულები, რომლების მაგივრად ხაზინამ უნდა აძლიოს ეკლესიას ყოველ წლობით 26 ათას მანეთამდე. ყოვლად სამღვდელომ დაინახა შესაძლებლად რომ ამ ფულიდან ეპარხიის სხვადასხვა, აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ გადიდვას კარგა ძალი სუმა სემინარიისათვის, რომლისთვისაც საჭიროა ყოველ წლობით 26-30 ათას მანეთამდის. ყოვლად სამღვდელომ მიმართა სამღვდელოებას. წელს მან დაიარა მრთელი იმერეთის ეპარხია, ყველა საბლაღოჩინო მაზრებში სამღვდელოების ყრილობაზე ელაპარაკებოდა სემინარიის გახსნის თაობაზე, ითხოვა,რომ სამღვდელოებას თავის მხრით მიეცა შემწეობა და ეხმარა უკანასკნელი საშუალება ამ სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანისთვის პირველ სექტემბერს, როდესაც დეპუტატებმა სასულიერო სასწავლებელში თავი მოიყარეს და როგორც წინა წლებში, თავ-მჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეკანოზი ი.გამრეკელოვი, კრებაში მოვიდა ეპისკოპოსი და თან მოიტანა დაწერილი წინადადება, რომელშიც იყო ნათქვამი, რომ სემინარიის და სასწავლებლის შესანახავად საჭიროა წელიწადში ორმოცდაათი ათასი მანეთი მაინც, და რომ სასწავლებელიც არსებობდეს და სემინარიაც გაიხსნას უცილობლად საჭიროა, რომ სამღვდელოებამ მიიღო თავის-თავზე ყოველ წლობით ზემო დანიშნულის მესამედი მაინც. ესეიგი 10 000 მანეთზე მეტი იქვე იყო ნაჩვენები რა და წყაროებიდან შეეძლოთ ამ ფულის შემოტანა (,,დროება,'' 1872 N37:2).

1874 წელს სოფელ ბახვში გაბრიელ ეპისკოპოსმა თავისი ხარჯით დაარსა სკოლა, რასაც ბახვის მოსახლეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული

სკოლამთელს გურიაში ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლებოდა. ამის შესახებ გაზეთი ,,დროება'' 1875 წელს წერდა: ,, გურიაში ყველა სასოფლო შკოლებზე და მე ვგონებ სხვა უეზდების სასოფლო შკოლებზედაც უფრო დაწინაურებულია ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1874 წელს დაარსა თავისი ხარჯით. ეს შკოლა კარგი ორეტაჟიანი შენობაა და რიგიანი მასწავლებლებიც ჰყავს, ამ შკოლაში ახლა 138 მოსწავლენი დაიარებიან, რომელსაც ძალიან კარგად და მოსაწონად ასწავლის ახალის მეთოდითა შკოლის მასწავლებელი და მოსწავლენიც ძლიერ ხალისიანად სწავლობენ; მალე მეორე მასწავლებელსაც მიუმატებენ. ამას გარდა ისმის, რომ ეტაჟში ქალების შკოლის გახსნასაც აპირებს სკოლის დამაარსებელი'' (,,დროება,'' 1875 N34 :2).

გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ბახვში სკოლის დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს ფაქტი იმდენად იშვიათი იყო იმდროინდელ საქართველოში, რომ აღტაცებული საზოგადოება მადლიერებასა და სიხარულს გამოხატავდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით. გაზეთმა ,,დროებამ'' ბახვში გახსნილ სკოლას მეორე საინტერესო წერილი მიუძღვნა, სადაც ვკითხულობთ: შესაძლებელი ყოფილა რიგიანად საქმის წაყვანა ჩვენს ღარიბს, ათასი მხრით შევიწროვებულ შკოლაში თუკი მასწავლებელი ცოტაოდნათ მაინც გამოცდილია და სინდისიანად შრომობს. ჯერ 8 თვეც არ არის რაც ეს შკოლა დაარსებულა და ყმაწვილებს კი იმდენი მოუსწრიათ და შეუთვისებიათ, რომ სასურველია სხვა აქაურ საუკეთესო შკოლებშიც ამდენი მოესწროთ, შკოლის დისწიპლინაც იმდენად გამაგრებულია, რომ საკმაოდ ხდის ერთადერთ მასწავლებელს ას-ოცდათერთმეტი ყმაწვილისაგან შემდგარ შკოლაში. ბახვის შკოლის გახსნაზე დიდი ხანი ზრუნავდა როგორც აქაური სოფლის საზოგადოება, აგრეთვე იმერეთის ეპისკოპოსი, რომლის ხარჯით აშენდა ამ შკოლის სახლი (,,დროება,'' 1875 N80 :2).

1882 წელს გაზეთმა ,,ივერიამ'' გამოაქვეყნა მორიგი სამადლობელი წერილი; ოზურგეთიდან გვწერენ, რომ იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ხარჯით, სოფელ ბახვში რამდენიმე წელიწადია რაც გაიხსნა სასოფლო სკოლა, რომლისთვისაც თვით ყოვლად სამღვდელომ ააშენა შენობა, დანიშნა მასწავლებელი და სხვა. ხალხი რასაკვირველია ძალიან მადლობელია ეპისკოპოსისა

ამ ქველმოქმედებისთვის რადგან სკოლაზე კაპეიკიც არ ეხარჯებათ (,,დროება,'' 1882 N258:2).

მიუხედავად საზოგადოების ასეთი შეფასებისა მეუფე გაბრიელს სურვილი ჰქონდა,რომ აღნიშნული სასწავლებელი გადაქცეულიყო ორკლასიან ნორმალურ სკოლად და არა ჰქონოდა ორკლაისიანი სასოფლო სასწავლებლის სტატუსი, ამისათვის გაბრიელ ეპისკოპოსს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში შენახული ჰქონდა თორმეტი ათასი მანეთი, სამინისტრომ იმისათვის, რომ გაბრიელის სურვილი აღსრულებულიყო მოითხოვა,რომ აღნიშნული თანხა გადაეტანათ სახელმწიფო ბანკში. ამის შესახებ გაზეთი ,,ივერია'' წერდა : სოფელ ბახვიდამ გვწერენ, რომ ჩვენებური ორ კლასიანი სასოფლო სასწავლებელი, რომელიც ყოვლად პატივცემულ ეპისკოპოს გაბრიელის მეოხებით არის დაარსებული და იმისავე ხარჯით ინახება დღემდე. სამინისტრომ ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლათ უნდა გადაკეთდესო. ეპისკოპოსს ამის შესახებ, სადაც ჯერ არს, თხოვნა წარუგზავნია და პასუხად მოსვლია,რომ ის თორმეტი ათასი მანეთი, რომლიც სკოლის სახელობაზე დღეს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში ინახება, სახელმწიფო ბანკში უნდა გადაიტანოთ აი, ამასთანავე სოფელმა უნდა იკისროს შენობის შეკეთება. ეპისკოპოსს ეს ამბავი მაზრის უფროსისათვის უცნობებია სოფლისათვის გამოსაცხადებლად (,,ივერია,'' 1891 N189:2).

1880 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა ქუთაისში გახსნა მოსამზადებელი სასწავლებელი, რომლის შესახებ თავად აცნობებდა საზოგადოებას გაზეთი ,,დროების'' მეშვეობით: ,,ვინ არ იცის რა მხურვალე სურვილი და მისწრაფება სწავლისა და განათლებისადმი არსებობს ჩვენს ქვეყანაში ერთი მხრით და მეორე მხრით რა დიდი დაბრკოლება აქვთ მშობელთა შვილების გაზრდაში და სწავლაში: ვინ არ ხედავს იმასაც,რომ აწმყო დროში დაარსებულნი სახელმწიფო სასწავლებელნი ვერ აკმაყოფილებენ ყოველთა მოთხოვნილებათა და ვერ შველიან მშობელთ ამ მძიმე და უმთავრეს საქმეში მით უმეტესად სასიამოვნო არის დღევანდელი გახსნა ამ ახალი სასწავლებლისა. გარდა დღევანდელ საქმეს, ესე იგი ამ ახლის შკოლის დაარსებას თან უვლის ერთი გარემოება, ესე იგი ამ ახლის შკოლის სასიამოვნოთ და შესანიშნავათ მყოფს მას: ეს სასწავლებელი იხსნება სურვილით დაწყებით შრომითა და ხარჯითა კეთილშობილ საზოგადოების, გარეშე მთავრობის შეწევნისა ამ შკოლის და სხვა

ამის მსგავსის შკოლების გახსნა გვაჩვენებს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიღვიძა და დაიწყო თავის-თავის შველა და თავის-თავის მოხმარება, აქამომდე ჩვენ ყველაფერს მოვითხოვთ და მოველოდით მთავრობისაგან და ჩვენც სიმართლით და მადლობით აღვიაროთ, რომ მთავრობაც ცდილობდა, რაც შეეძლო ხალხის განათლებისათვის; გარნა მთავრობა ყოვლის შემძლებელი არ არის მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყოველი კაცი და ყოველი კაცის შვილები გაზარდოს. კიდევ გავიმეორებ: მით უმეტესად სასიამოვნოა, რომ თვით საზოგადოებამ გაიღვიძა და დაიწყო თავის თავის შველა"(,,დროება," 1880 N34:4).

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისში ქალთა სასწავლებლის გახსნა, რომლისთვისაც გაბრიელ ეპისკოპოსმა ხუთი ათასი მანეთი გაიღო, და ეგზარქოსს თხოვნით მიმართა,რომ ნებართვა მიეცათ ქალთა სასწავლებლის გახსნაზე, მთავრობისა და სინოდის მსჯელობის შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსს ნებართვა მისცეს ქუთაისში ქალთა სასწავლებლის გასახსნელად, ამასთან დაკავშირებით 1892 წლის გაზეთი,,ივერია" იუწყებოდა: მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა, რუსეთის თვით-მპყრობელისა, უწმინდესისა და უმართებულესის სინოდისაგან, სინოდის წევრის, საქართველოს ეგზარქოსის, მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პალადის, ქართლისა და კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის მიმართ.

მბრძანებისამებრ მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმ. და უმართებულესმა სინოდმა მოისმინა ბ-ნ სინოდის ობერპროკურორისაგან წარმოდგენილი 4 მარტის N212-ე სამოსწავლო კომიტეტის ჟურნალი, წარმოდგენილი თქვენის უსამღვდელოესობისაგან, რომელშიაც შუამდგომლობთ: 1) ქუთაისში იმერეთის საქალებო ეპარქიულ სასწავლებლის დაარსებას იმ წესით,რა წესიც არის ნაჩვენები ეპარქიულ საქალებო სასწავლებლის წესდებაში და უწმინდესის სინოდის ბრძანებაში, 14 მაისიდგან 1872 წლის N25-ე, იმ განსხვავებით რომ ამ სასწავლებელში, ადგილობით მოთხოვნილების ძალით, შემოღებული უნდა იქნეს ქართული ენის სწავლება და დაენიშნოს ამ საგნის მასწავლებელს კვირეული ათის გაკვეთილისათვის სასყიდელი, ამასთან თქვენი მეუფება დასძენს, რომ ამ სასწავლებლის მოსათავსებლად დანიშნულია ადგილი, რომელზედაც არის ქვითკირის ეკლესია წმინდა სამების სახელზედ და ორ-სართულიანი ქვის შენობა და სასწავლებლის

შესანახავად მოიპოვება ადგილობითი ეპარქიური საშუალებანი და 2) რათა გამოთხოვილ იქნეს უმაღლესი ნება-რთვა, ეწოდოს ამ სასწავლებლის იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებელი, სახსოვარათ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის 30 წლის სამსახურისა იმერეთის ეპარქიაში და თავის საშუალებითგან 5000 მანეთის შეწირვისა გამო ამ სასწავლებლის სასარგებლოდ. ჰბრძანეს: მივიღეთ რა სახეში რომ სამკლასიან ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლისათვის უკვე არის შენობა ქალაქ ქუთაისში და შესანახავადაც მზად არის ადგილობითი ეპარქიალური საშუალება, უწმინდესმა სინოდმა, სამოსწავლო კომიტეტის დასკვნის მოსმენის შემდეგ, განაწესა: ნება მიცეს თქვენს მეუფებას გამართოს ქალაქ ქუთაისში სამ კლასიანი ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი მოსამზადებელ კლასით თქვენს უსამღვდელოესობის წარმომადგენლობაში მოხსენებულ საფუძველთა ზედა, იმ პირობით კი, რომ არა სავალდებულო საგნებისაგან სრულიად გამორიცხოს მუსიკა,გერმანული და ფრანგული ენები, როგორც სრულებით გამოუსადეგარი მანდაურ სამღვდელოებისათვის და რომ ნაცვლად პედაგოგიისა ასწავლიდნენ მხოლოდ დიდაქტიკას რაისთვისაც თქვენს მეუფებას ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენათ მარტის 21 დღესა 1892 წელსა (,,ივერია,'' 1892 N95:2).

იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს ჩვევად ჰქონდა, რომ ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ხვდებოდა მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომელთაც დალოცავდა და დარიგებას აძლევდა, ასე მოხდა 1884 წელს როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი ქუთაისის სემინარიას ესტუმრა: ჩვენს სასწავლებელში ადრევე, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ კარგად მიდიოდა სწავლის საქმე, მაგრამ ბოლო დროს, სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით, ამის მიზეზი ყველამ იცით ეხლა იმედია რომ, თუ თქვენ ერთგულათ მოჰკიდებთ საქმეს ხელს, თუ თქვენში იქნება ერთსულოვნება და საქმის ერთგულება, საქმე კიდევ კარგათ წავა, იმედია,რომ აწი,ახალი ზედამხედველის ხელში მშვიდობიანად იმუშავებთ და ერთობა იქნება თქვენში (,,მწყემსი,'' 1884 N19:4).

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს თავის პირველ შეხვედრას გაბრიელ ეპისკოპოსთან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში: პირველათ იგი ახლო ვნახე საღმრთო სჯულის გამოცდის დროს, როდესაც 4 კლასიანი პროგიმნაზიას ვამთავრებდით ქუთაისში, ის

გამოცდაზე დასასწრებად სკოლის ინსპექტორმა იუდინმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მოიწვიეს. მართმადიდებელი შეგირდები 5 ვიყავით: მე, იოსებ დადიანი, შარუხია, გორგასლიძე, და ერთი რუსი (გვარი არ მახსოვს) ყველანი ერთად დაგვაყენეს გაბრიელის წინ. გაბრიელთან იჯდა ინსპექტორი, მაჭავარიანი კი თავზე გვედგა ჯერ გვარები წაიკითხა, ჩემი გვარის შესახებ თქვა ,,ეს გურულიაო'' დაგვიწყეს გამოცდა: გვათქმევინეს ლოცვები, გვაამბობინეს საღვთო ისტორიის მოთხრობები: მერე გაბრიელმა გვკითხა, თუ რა სასწაულები მოახდინა იესო ქრისტემ. ჩვენც დაწვრილებით ჩამოვთვალეთ რაც ვიცოდით (თაყაიშვილი ,1968:256).

გაბრიელ ეპისკოპოსი, გარდა საქართველოში მყოფი სტუდენტებისა, დახმარებას უწევდა რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში მყოფ ქართველ სტუდენტებს. 1887 წელს გაზეთი ,,ივერია'' საზოგადოებას აუწყებდა: ხარკოვიდან გვწერენ: აქაური ღარიბი სტუდენტები დიდს მადლობას უძღვნიან ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, ეპისკოპოზს იმერეთისას, ბატონს გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილსა და იულია კალატოზიშვილს დახმარებისთვისაო (,,ივერია,'' 1887 N5:2).

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი ქართული წიგნის დაფინანსება და გამოცემა როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების საქმეში, რომელიც დააგვირგვინა ალექსანდრე ოქროპირიძემ იმისთვის, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ქართული წიგნების, მშობლიური ენისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის საქმის მნიშვნელობა უფრო ნათელი, რომ გახდეს მოვიყვანთ იაკობ გოგებაშვილის ერთ მეტად საინტერესო მოგონებას: ყველა შეგნებულმა ქართველმა იცის თუ რა მდიდარი იყო წინა საუკუნეებში სასულიერო ლიტერატურა ჩვენში. მარტო მცხეთის ტაძრის ბიბლიოთეკა იპყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, შვიდას ტომსა, უმეტეს ნაწილათ სასულიერო შინაარსისა ახლა? ახლა-კი უბრალო კატეხიზმოც არ გვაბადია, თვით მაცხოვრის ცხოვრებასაც ვერ გაიცნობ ვრცლად ქართველი კაცი თავის დედა-ენაზედ და მოკლე უჩებნიკების ამარად ვართ დარჩენილი. ღვთისმეტყველება დოგმატური თუ ზნეობრივი ხომ სანატრელადაც ძნელი გახდა ჩვენს ენაზედა.სასულიერო ყმაწვილობა სემინარიებში მოქცეული იძულებულია ყველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოკლებულია შეძლებას თავისუფალს დროს მაინც იკითხოს ქართულს ენაზედ იგივე საგნები. საერო

მწიგნობრობაც ძლიერ ღარიბი გვაქვს. წინა საუკუნეებში მეტაფიზიკიდან დაწყებული ბუნებისმეტყველებამდე ყველა მეცნიერება მოიპოვებოდა ჩვენს ენაზედა, ეხლა-კი მსოფლიო ისტორიას და საზოგადო გეოგრაფიასაც კი დანატრულია ჩვენი ლიტერატურა, რის გამო საერო სასწავლებლების ქართველი მოწაფენი სრულიად მოკლებულნი არიან ღონისძიებას თავის ენაზედ იკითხონ სკოლის გარეთ ისა, რასაც კლასში სწავლობენ მხოლოდ რუსულს ენაზედა. დიდები ხომ კიდევ უარეს მდგომარეობაში ვართ (გოგებაშვილი ,1954:12).

იაკობ გოგებაშვილის ამ მოგონებიდან ძალიან კარგად სჩანს თუ რა რთული მდგომარეობა იყო იმ პერიოდში საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ, ბუნებრივია, ეს მდგომარეობა უარყოფითად აისახებოდა ახალგაზრდების ეროვნულ თვითშეგნებაზე და ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ქართული წიგნების გამოცემა სტუდენტების სწავლის დაფინანსება და სტიპენდიების დანიშვნა უდაოდ დიდ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ქართული ეროვნული ღირებულებების დასაცავად გადადგმულ გზაზე.

ამრიგად,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მზრუნველობას იჩენდა ხალხის სწავლა-განათლებისადმი.მისი თაოსნობით ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა

გაიხსნა.ჭოგნარში,ქვიტირში,სვირში,ნიკორწმიდაში,ხონში,ჯიხაისში,სიმონეთში, თერჯოლაში და სხვაგან.მისი ხელმძღვანელობით ქუთაისში 1890 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი,1894 წელს სასულიერო გიმნაზია.

1874 წელს მშობლიურ სოფელ ბახვში თავისი ხარჯით დააარსა სკოლა,რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მადლიერებასაც გამოხატავდნენ მოსწავლეები კარგი სწავლით.

1880 წელს ქუთაისში გახსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,სადაც სწავლის მსურველნი იღებდნენ განათლებას.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ყურადღებით ეკიდებოდა წიგნებით,სახელმძღვანელოებით სასწავლებლების მომარაგების საქმეს.მისი

ხელშეწყობით ქართულად ითარგმნა,შედგენილ იქნა და გამოიცა წიგნები ქართულ ენაზე.ეს იყო ნაბიჯი ეროვნული ღირებულებების დასაცავად.

სასწავლებლებისათვის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა ამოარჩია მრავალი ნიჭიერი და ნასწავლი კაცები დამათი მეშვეობით,მწიგნობრობა და განათლება მოჰფინა ქვეყანას.(მ.ჯანაშვილი 1940;271.)

§5.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აღზრდა-განათლების შესახებ

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი საგანმანათლებლო სისტემაში ჰუმანიტარული ზნეობრივი მიმართულების ჩამომყალიბებლად გვევლინება.წყაროების ანალიზი საინტერესო სურათს გვაძლევს,ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი იოსელიანი აღწერს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის დასაწყისში არსებულ ვითარებას:
,,მე ვსწვლობდი ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში,იმ დროს როცა იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად იყო გერმანე (1856-1890 წწ.იმერეთის ეპისკოპოსი გერმანე გოგოლაშვილი),წერს გიორგი იოსელიანი.ეს სწორედ ის დრო იყო,როცა თითქმის ყველა სკოლაში ფიზიკურ დასჯას პირველი ადგილი ეჭირა სწავლა-აღზრდის საქმეში.ეპისკოპოსთა სადგომი ისე ახლოს იყო ჩვენი სკოლის ნახევრად დანგრეულ შენობასთან,რომ მღვდელმთავარს და სხვებსაც ძალზე კარგად ესმოდათ ბროწეულის წკეპლებით ნაცემი ყმაწვილების წივილი,მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა,რადგან ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ,სკოლის შენობის ქვემოთ,ქვედა სართულზე მოთავსებული იყო ესრე-წოდებული ,,ბურსი“,სადაც ინახავდნენ მღვდელბის ობოლ შვილებს.ბურსაში სუფევდა გამოუთქმელი სიღარიბე და უსუფთაობა და ამიტომაც ხშირად ჩნდებოდა ყოველგვარი გადამდები სნეულება,რომელთა მსხვერპლად ხდებოდნენ გარედან მოსიარულე შეგირდებიც.სწავლა-აღზრდას არავინ ყურადღებას არ აქცევდა და ამიტომაც,რასაკვირველია,ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო ზოგიერთი მასწავლებლის კლასში,განსაკუთრებით საღამოს გაკვეთილებზე,გულდაგულ ეძინათ

მაგიდაზე ნიდაყვებზე დაბჯენილებს და ამ დროს შეგირდები სულგანაბულნი ისხდნენ,მინამ ზარის რეკვა არ გაისმოდა და გაკვეთილი არ გათავდებოდა!

ერთ წელიწადს ხმა გავრცელდა გერმანე ჰყავდათ და ახალი მღვდელმთავარი მოვაო...დიდი ხანი არ გასულა და მართლაც ჩამობრძანდა ახალი მღვდელმთავარი გაბრიელი.ჩვენ ყველა შეგირდი,არქიელის ეზოში დაგვაყენეს ორ წყებად და ჩვენი სკოლის უფროსი მღვდელი გ.ხელიძე და მასწავლებელი თავში გვიდგნენ.შეიქმნა ქალაქში ერთგვარად ზარების რეკვა.მობრძანდა ეპისკოპოსი და ჩვენ ყველანი ხელზე ვეთხვიეთ:მღვდელმთავრის მობრძანების შემდეგ ჩვენს სკოლას შედარებით დიდი,საუკეთესო ცვლილებები დაეტყო;როზგებით ცემა მოისპო,კლასებს უფრო სუფთად ინახავდნენ და მასწავლებლებიც ერთგულად ეკიდებოდნენ საქმეს“.(კელენჯერიძე 1913:103).

ხშირად შევხვდებით ცნობებს იმის თაობაზე,თუ რამდენი ქალი გაამზითვა,ან კიდევ შეგირდებისთვის რამდენი სასწავლო ნივთი შეიძინა.იგი მრავალ მოსწავლეს,ყმაწვილებს თავის სახლში ინახავდა,აძლევდა მათ სასწავლებლებში და სწავლის ქირასაც მათ მაგიერ იხდიდა. ,,ვითარცა სანთელი,ანთებული და დადგმული მაღალსა ადგილსა ზედა,ჰნათობს გარემო თვისსა და სჩანს შორიდგანვე,აგრეთვე არს ცხოვრება კეთილისა ეპისკოპოსისა“.(ჯანაშვილი 1940:271).

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებების განათლების მთავარი საყრდენი აფუძველი არის რწმენა იმისა,რომ ,,ინდივიდუალურობის უმთავრესი ელემენტი არის ენა.ძნელია და შეუძლებელია ხალხისთვის მისი მოსპობა.წმინდა მამა მიიჩნევდა,რომ სკოლა ერის მომავლის ბურჯია.მაგრამ იმისთვის,რომ მან მართლაც შეძლოს ერის ღირსეული მომავლის შექმნა,საჭიროა,აღზრდა და სწავლა-განათლება წარმართოს წინასწარდასახული მიზნით.განათლება თავისთავად კარგია და სასარგებლო,რადგან აამაღლებს და გაამდიდრებს კაცის გონებას,მაგრამ მაინც არ შეიძლება ვთქვათ,რომ იგი თვით იყოს მიზნად თავისა და თვისა.არა!იმან უნდა მიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი და ეს უმაღლესი მიზანი არა სხვა რაიმე,გარნა ზნეობრივი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა.განატლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი,რომელიც აამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცს ყოვლის მხრით...თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი:შეიძლება ის კაცმა მოიხმაროს კეთილ საქმეზედაც და

ბოროტზედაც...საქმე უმაღლესია სიტყვაზე,ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე...რა სასარგებლოა,როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა,ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან.(გაბრიელ ეპისკოპოსი 1989:402).

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი სწავლასა და ზნეობას შორის გაუვალ ზღუდეს ვერ ხედავს:,,სწავლა-განათლება,მისი აზრით,უნდა სცვლიდეს სრულებით საუკეთესოდ კაცის მთელ ბუნებას,როგორც ზნეობრივ,ისე გონებრივს.“

კვლევის პროცესში მრავალთაგან საინტერესო აღმოჩნდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულება,როემლიც თითქოს დღევანდელობას ხედავდეს: რას ვშვრებით?სად მივდივართ?რას ვსწავლობთ?საიდან მიიღეს და ვისგან ისწავლეს ამისთანა ზნეობა ახალგაზრდა ყმაწვილთა კაცთა?ნუთუ მსგავსნი პირნი იმას ჰფიქრობენ,ვითომც განათლება მდგომარეობს იმაში,რომ სირცხვილი უკან გადააგდოს ახალგაზრდა ქალმა,ყმაწვილკაცებთან დალიოს,აირიოს მათთან და ისე მოურიდებლად და უსირცხვილოდ ეთამაშოს...გულდიდნი კი არიან,რომ განათლებულნი ვართო,რაღაც გვისწავლიაო...გვისხენ ღმერთო,ამისთანა განათლებისაგან და ესრეთა განათლებულებისაგან.(გაბრიელ ეპისკოპოსი 1989:309).

განათლების ერთ-ერთ მიზნად მიიჩნევდა წარსულისადმი პატივისცემის აღზრდას: სარწმუნოებათა თვისთა გამხნევებელთა,მათ,არა თუ დაიცვეს თავისი ქვეყანა,ეკლესიები უცხოთა მტერთაგან,არამედ გააჩინეს მწიგნობრობა და მწერლობა,გადმოსთარგმნეს საღმრთო წერილი დაწერილი წმიდათა მამათა,დააწესეს საკუთარ ენაზე წირვა,ლოცვა და მწერლობა.(გაბრიელ ეპისკოპოსი 1989:356).

განათლება მიაჩნდა დიდ ძალად,რომლის გარეშე არ არსებობდა სათნოება,სიკეთე და ურთიერთპატივისცემა.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით,განათლების შინაარსს განსაზღვრავს ისეთი სახელმწიფო დოკუმენტი,როგორიცაა: სასწავლო გეგმა,სასწავლო პროგრამა, და მათ საფუძველზე შედგენილი სახელმძღვანელო,წიგნები.გაბრიელი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლო პროგრამების სრულყოფას,მხარს უჭერდა სიახლეების შეტანასთან ერთად შინაარსობრივი მხარის შენარჩუნებას,აუცილებლად თვლიდა საგნობრივი პროგრამების გამოყენებას. მან შეადგინა სემინარიის სასწავლო გეგმა და ფიზიკა-მათემატიკის გაკვეთილების პროგრამები.პირველმა საქართველოში

წაიკითხა მათემატიკური ანალიზის ვრცელი კურსი.პოპულარული გახდა მსმენელის წინაშე ანალიზის შესავალი და განუსაზღვრელად ინტეგრალთა თეორია.მისი შეხედულებით,სასწავლო პროგრამა ის უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო დოკუმენტია,რომელითაც განისაზღვრება,თუ,სახელდობრ,რა შინაარსის ან რა მოცულობის ცოდნას და ჩვევას უნდა დაეუფლოს მოსწავლე მოცემულ საგანში.

სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნას.

სასკოლო სახელმძღვანელოებს გარკვეულ პედაგოგიურ მოთხოვნებს უყენებდა,როგორიცაა:სახელმძღვანელო წიგნის შინაარსის შეფარდება სოციალურ-კულტურულ ცხოვრებასთან,ბავშვის ასაკისა და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინება და ასე შემდეგ.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა განავითარა პედაგოგიკაში არსებული მოსაზრება იმის თაობაზე,რომ ჰარმონიული განვითარება და აღზრდა მოიცავს ხუთ ძირითად შემადგენელ ნაწილს:გონებრივს,ზნეობრივს,ესთეტიკურს,ფიზიკურსა და შრომითს.წმინდა მამის მიერ აღზრდა-განათლების მიზანში დაისახა ექვსი შემადგენელი ნაწილი:გონებრივი,ზნეობრივი,ესთეტიკური,რელიგიური,ფიზიკური და შრომითი აღზრდა.

კვლევის პროცესში ექვსივე შემადგენელი ნაწილი შევისწავლე და წარმოვადგენ მცირე მიმოხილვას:

გონებრივი აღზრდისთვის უმთავრესად ლოგიკური აზროვნების განვითარება მიმჩნია,რადგან იგია განმსაზღვრელი მეცნიერული ცოდნის შეთვისებისა და გაგებისა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეს მოსაზრება დაადასტურა უახლესმა კვლევებმა პედაგოგიკაში,რომელიც ცხადჰყოფს რომ თანამედროვე მოსწავლეებს აკლიათ დასკვნისა და ანალიზის უნარი,რაც აბრკოლებს მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი მიიჩნევდა,რომ ცოდნის შეძენასა და გავრცელებაში,დასკვნის უნარის,ან გონების მონაწილეობა გაცილებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა,ვიდრე ყველა სხვა უნარებისა.მკაცრად,რომ ვთქვათ,ჩვენ ცოდნას მხოლოდ ამ უნარით ვიძენთ. ,,ხოლო ერთადერთი

მეთოდი,რომელიც ,,შეგვასწავლა ბუნებამ სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე,რომელთაც ვიძენთ,ვაფართოებთ და ვამოწმებთ ჩვენ ცოდნას,არის ანალიზი.“

ზნეობრივი აღზრდა მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ქართველ მოღვაწეთა მემკვიდრეობაში:მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის ამოცანად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა კეთილშობილური და წმინდა ,,კაცურ-კაცობისათვის“ დამახასითებელი თვისებების აღზრდას. ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი,უაღრესი,საგანია სკოლის,რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთნისა,ზრდისა და განათლებისა -წერდა ილია.(ილია ჭავჭავაძე,1987:212).

იაკობ გოგებაშვილს მტკიცედ სწამს,რომ ,,მაღალი ზნეობის შთანერგვა მოწაფის გულში _,, არის აღზრდის უმთავრესი მიზანი,რომელსაც უნდა ემსახურებოდეს,ძირითადად სკოლა,ეკლესია და საზოგადოება.აღზრდის წმინდათაწმინდა მოვალეობაა ახალი თაობის,მომავალი ერის აღზრდა ,,კეთილი გულით მოყვასის მხურვალე სიყვარულით.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის თითოეული სიტყვა ბოროტების კლანჭებისაგან ადამიანის დახსნისაკენ სწრაფვა და სიკეთისათვის ბრძოლაა.ეს არის შთამაგონებელი ღაღადისი ღვთით შთაგონებული ძნეობრივი მცნებისა,რომელსაც ადამიანში უნდა ჩაკვლას ბოროტების თესლი და გაუღვივოს მოყვასისადმი სიყვარულის უსაზღვრო გრძნობა.(გოგებაშვილი,1996:147).

ზნეობრივი ჩვევები,გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით,ყალიბდება შესაბამის ქცევათა მრავალგზის განმეორებისა და ვარჯიშის შედეგად.საწიროა,გვქონდეს არა მხოლოდ ზნეობრივი შეგნება და გრძნობები,არამედ ამ შეგნებისა და გრძნობების შესაბამისი ქცევის უნარიც.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივი თვითცნობიერების ისეთ გამოხატულებას,როგორიცაა სინდისი ,,...სინდისი ეწიდება და ის წარმოადგენს საკუთარ ქცევათა მოწონებას ან დაწუნებას და ამ საფუძველზე წარმოშობილ სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობას.“(გაბრიელ ეპისკოპოსი,1993:59).

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა,რომ მთელი დღის განმავლობაში შეუძლებელია არ გაისვაროს ადამიანის გული და გონება რომელიმე ცოდვით.ამიტომ,ასეთ ადამიანებს,რომ მან ერთხელ მაინც ჩაიხედოს იმ

სარკეში,რომელსაც სინდისი ქვია.სწორედ,თავის სინდისთან უნდა იყოს ადამიანი მართალი,რომ ზნეობრივად სრულყოფილი გახდეს.ასეთი დარიგებით გაბრიელი ცდილობს სწორ გზაზე დააყენოს გაორებული და გზააბნეული ადამიანი;დაიხსნას იგი ცოდვის ტყვეობისაგან და ,,ქრისტიანული ანეობის" მადლსა და სიკეთეს აზიაროს.

დღეს,როდესაც საქართველომ მიზნად დაისახა ეროვნულ-სარწმუნოების იდეალების,ქრისტიანული რწმენით ნასაზრდოები ქართული სულისა და აზროვნების აღორძინება,განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაბრიელ ეპისკოპოსის სარწმუნოების როლის შესახებ ადამიანის მორალურ-ზნეობრივ აღზრდის საქმეში.

რელიგიური აღზრდისათვის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ასახელებს ხუთ საშუალებას:ფიქრი,ლოცვა,რწმენა,ზიარება და აღსარება.

ფიქრი არის იმის განჭვრეტა,თუ როგორ ხდება ყველაფერი უზენაესის წყალობით და როგორ აღწევს თავის მიზანს ღვთიური ნების ყველა გადაწყვეტილება.

ლოცვა არის საუბარი ღმერთთან.ამ დროს ადამიანი გამოხატავს ღვთისადმი სიყვარულს,მისი უზენაესობისა და სიდიადის აღიარების და თაყვანისცემას.იგი არის მადლიერება ღვთის მიერ ჩვენდამი მონიჭებული უსაზღვრო მოწყალების გამო,აგრეთვე,ვედრება სულიერ თუ ხორციელ უძლურებათაგან განკურნებისა და ნაკლოვანებათა აღსარებისათვის: ,,ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი და ყოველივე..... მოგეცემათ"(მათე 6.33).ლოცვა გაბრიელის შეხედულებით არის ,,ღმერთის წინაშე სხვადასხვა გრძნობის გადმოღვრა სიტყვებით,ან ოდნავ შესამჩნევი შინაგანი შეგრძნებით."

რელიგიური აღზრდის საშუალებად მიაჩნდა,აგრეთვე, საეკლესიო წიგნები.ქრისტიანული მოძღვრება,მღვდელმთავრის ღრმა შეგნებით,არის მოძღვრება,საიდანაც შეიძლება,რომ ადამიანებმა ზნეობა და ღვთის სიყვარული ისწავლონ,რადგან ბიბლიაზე ბრძნული და გულში ჩამწვდომი დარიგებანი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს.

გაბრიელი ერთმანეთთან ადარებს სარწმუნოების მიღებისა და შეთვისების ორ გზას.ერთი არის გონებით შეთ ვისებული რწმენა,მეორე კი გულით შეცნობილი სარწმუნოება.

გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებით,რელიგიურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა თეორიულ,არამედ პრაქტიკულ სწავლებას.ქრისტეს რჯულის სიტყვიერი აღიარება ვერავითარ სიკეთეს ვერ მოგვიტანს.ადამიანმა ერთმანეთთან უნდა შეაერთოს სიტყვა და საქმე.

,,კაცმა,მხოლოდ ენით კი არ უნდა აღიაროს უფალი,არამედ საქმით უნდა ემსახუროს მას.(გაბრიელ ეპისკოპოსი.1989:211).

რელიგიური აღზრდის მთავარ იარაღად გაბრიელს მიაჩნდა:ოჯახი,ეკლესია,სკოლა და სასულიერო პირები.ამიტომ იყო,რომ განსაკუთრებით ზრუნავდა სასულიერო პირთა ზნეობრივი სიწმინდის დასაცავად,ხაზს უსვამდა,რომ გული მათი უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ ღვთის სიყვარულს. ,,შეიყვაროთ უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა,და ყოვლითა სულითა შენითა,ყოვლითა გონებითა შენითა.“

ესთეტიკური აღზრდისათვის წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ როლს ნიჭებს ფერწერას,ქანდაკებას და ხუროთმოძღვრებას. ჩვენ-აღნიშნავს იგი,-გვეამება ფიქრი იმაზე,რომ შეგვიძლია შევიგრძნოთ ხელოვნება და დავაფასოთ ის,ერთი სიტყვით,მშვენიერი საგანი მოგვწონს იმიტომ,რომ ის აღძრავს ჩვენში გრძნობათა თამაშს (გაბრიელ ეპისკოპოსი,1993:146).

ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია პოეზია,რომელიც იპყრობს ჩვენში წარმოსახვას,აღძრავს მოქმედებებს,სურვილს და სხვა დანარჩენ გრძნობებს.ერთი სიტყვით ,,სულს მოსწონს ის,რაც ამოძრავებს მას,აღძრავს მასში სიცოცხლეს,მოქმედებას,“(გაბრიელ ეპისკოპოსი,1993:147).

ფიზიკური აღზრდის მიზანი წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის თვალსაზრისით მარტო ჯანსაღიორგანიზმი არ არის იმ ზომით,რომ ადამიანს შეეძლოს კანონზომიერი,ფიზიკური შრომა და საკუთარი სულიერი სიმდიდრის პრაქტიკულად გამოყენება,ისე,რომ ზიანი არ მოუტანოს თავის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს,არამედ,ბავშვის მომავალი სერიოზული ცხოვრებისათვის მომზადებაცაა.თამაშის პროცესში იგი იმ ფუნქციებს აამოქმედებს,რომლებიც შემდეგ ცხოვრების ამოცანათა გადასაჭრელად გამოადგება.თამაში რთული პროცესია,რომელიც ბავშვს სერიოზული ცხოვრებისათვის ამზადებს.

შრომითი აღზრდა უმნიშვნელოვანესად მიაჩნია წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს და თვლიდა,რომ უმოქმედობა დამღუპველია არა მხოლოდ პიროვნებისათვის,არამედ მთელი საზოგადოებისათვის.შრომის,ისევე როგორც მაღალი ზნეობრივი თვისებების დანერგვაში ხედავდა საზოგადოების ხსნას.იგი ქადაგებდა: ,,ნუ დარჩები უსაქმოდ,იმუშავე რამეზე,ნუ ეძებ საქმეს,რომელიც შენს უნარს,შენს ძალებს არ შეეფერება.“

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს ესმის,რომ შრომა გონებრივი იქნება იგი თუ ფიზიკური,სერიოზული და მძიმე საქმეა,მას თან ახლავს როგორც ტანჯვა,ისე სიამოვნება.მაგრამ სწორედ სიძნელეებისა და მასთან დაკავშირებული ტანჯვის,გადალახვა აძლევს შრომას სილამაზესა და სიამოვნების განსაკუთრებულ ძალას.მისი აზრით,ოჯახისა და სკოლის მოვალეობაა ჩაუნერგოს სიყვარული,განუმტკიცოს შეგნება და მოამზადოს ახლგაზრდობა ცხოვრებისათვის,აუცილებელი,ნაყოფიერი შრომისთვის.უნდა გვახსოვდეს,რომ სწავლის პროცესში ეყრება საფუძველი მოსწავლეთა შრომით აღზრდას.აღზრდამ აღსაზრდელს შრომის ჩვევაც უნდა გამოუმუშაოს.ბავშვში ამ ჩვევის ჩამოსაყალიბებლად აღზრდა და სწავლა უნდა დაუკავშირდეს სახლის ცხოვრებას,მის შრომით საქმიანობას.

შრომის აუცილებლობისა და კეთილშობილების დასამტკიცებლად,გაბრიელს ქადაგებაში,მრავალი მაგალითი მოჰყავს,როგორც საღმრთო წერილიდან,ისე სხვადასხვა ქვეყნების ისტორიიდან. მაცხოვარი იესო,-ქადაგებს ორატორი,-ვიდრე სულ ასაკის მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე ცხოვრობდა იოსებ ხუროს სახლში და ეხმაებოდა მას ხუროობაში.უდიდესი მოციქულთა შორის,პავლე,როდესაც თავისუფალ დროს იპოვნიდა ქადაგებიდან,იწყებდა თავის ხელითა კერავდა და იქედან ირჩენდა თავს.

წმიდა მეფე თამარი ღამით კერავდა საღვთისამოსო სამოსელს,ქარგავდა,ქსოვდა და გასცემდა მოწყალებას.

გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებანი ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთ დამოკიდებულების,შრომითი აღზრდის როლის,მოზარდთა გონებრივი,ზნეობრივი,რელიგიური და ესთეტიკური განვითარების,მათი

ურთიერთკავშირის შესახებ,განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს თანამედროვე სკოლის გარდაქმნისა და გაჯანსაღების საქმეში.

ამრიგად,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი მიიჩნევდა,რომ ერის ღირსეული მომავლის შესაქმნელად აღზრდა და სწავლა-განათლება წარიმართოს წინასწარდასახული მიზნით.აქ მიზანში იგი გულისხმობდა ზნეობრივ განვითარებასა და გაუმჯობესებას კაცის.თვლიდა,რომ იმისთანა განათლება არის კარგი,რომელიც აამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცს ყოველი მხრივ.

განათლების ერთ-ერთ მიზნად მიიჩნევდა წარსულისადმი პატივისცემას.

განათლება მიაჩნდა დიდ ძალად,რომლის გარეშე არ არსებობდა სათნოება,სიკეთე და ურთიერთპატივისცემა.

განათლების შინაარსის განმსაზღვრელად ასახელებდა სასწავლო გეგმას და პროგრამას,რომელშიც მოცემული იქნება,როგორც სასწავლო მასალის შინაარსი,ისე ზნეობრივი აღზრდის საშუალებები.აღსანიშნავია,რომ წმიდა გაბრიელმა თითონ შეადგინა სემინარიის სასწავლო გეგმა და ფიზიკა-მათემატიკის გაკვეთილების პროგრამები.

საწავლო სახელმძღვანელოებს გარკვეულ პედაგოგიურ მოთხოვნილებებს უქვემდებარებოდა.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა განავითარა პედაგოგიური მეცნიერებები.არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე,რომ ჰარმონიული განვითარება და აღზრდა მოიცავს 5 ძირითად სემადგენელ ნაწილს.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა მას დაამატა მეექვსე,რელიგიური აღზრდა.მთლიანობაში არის შემდეგი:გონებრივი აღზრდა,ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური აღზრდა,რელიგიური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა,შრომითი აღზრდა.

§6.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ოჯახში ბავშვთა აღზრდის შესახებ

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთში ეპარქიაში 35 წლის მოღვაწეობისას განუყოფლად იყო დაკავშირებული თვის სამწყსოსთან ,,ყველა ეროვნული

სიმებით,“როგორც ღვიძლი მამა.ქადაგებდა ,,წმინდა წნეობას“-ასე აფასებდა წმიდა მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას იაკობ გოგებაშვილი.ის საფუძვლიანად იცნობდა ხალხის ჭირვარამს.წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსთან განუყოფლად იყო დაკავშირებული გაჭირვებულთა სასოება და ნუგეში,იგი იყო ზნეობისა და პატიოსნების ფარი.

აკაკი წერეთელი ნატრობდა,რომ გაბრიელისთანა მოძღვარი რომ ჩვენს ახალგაზრდობასაც გამოუჩნდებოეს ხოლმე,მადლია!“-მაშინ ისინი ბევრ შეცდომას აიცდენენ თავიდანო.

ქადაგებაში გაბრიელ ეპისკოპოსი ასწავლიდა ,ამხელდა,არიგებდა და მოუწოდებდა მშობლებს შვილების კეთილად აღზრდისაკენ.იგი კარგად იცნობდა თვისი მრევლის ოჯახურ მდგომარეობას.

უფლის სიტყვით აღზრდა უპირველესად ოჯახში იყო საჭირო. ყოველ საქმეში და ყოველს შემთხვევაში არ უნდა გაეშვა გონებითგან აზრი და ზრახვა სიტყვასა ზედა ღვთისასა,ყოველ წამს უნდა ხედავდეთ,რა და როგორ მოქმედებს შენს გულში სიტყვა ღვთისა,ხომ არ დასუსტდა იგი,გამოიღო თუ არა ნაყოფი,სცვლის თუ არა შენს ხასიათს,შეგაყვარა თუ არა მადლი და მოგაძულა ცოდვა.ესრეთ დაუცხრომლად გული უნდა გქონდეს განმტკიცებული სიტყვასა ზედა ღვთისასა.

ღვთის სიტყვის თესლი კაცის გულში სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს და მოეხმარება კეთილად წარმართოს შვილის აღზრდა.ქადაგებაში ,,სიტყვა გაზრდისთვის შვილებისა“ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი განმარტავს,თუ როგორ უნდა ზრდიდნენ ქრისტიანენი მცირეწლოვან შვილებს.ეს დიდ საფიქრელ საგნად მიაჩნდა მღვდელმთავარს.ქრისტიანი ხშირად ფიქრობს იმ პირველთა ცნებათა და ჩვეულებათა,რომელთა მიიღებს მცირეწლოვანი ყრმა სახლსა შინა მამისა თვისასა.აქვს უდიდესი მნიშვნელობა მრთელსა მისსა სიცოცხლესა შინა.ყოველი მომავალი ცხოვრება მცირეწლოვანისა ყრმისა,მისი ყოფა-ქცევა,მისი ხასიათი და ერთის მხრით,თითქმის,სულის ცხონებასაც დამონებული არის მას ზედა,თუ რა სახით გაიზარდა იგი,რა შეაგონეს და რა ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე.

ამ ჭეშმარიტებას თითქმის კარგად გრძნობდნენ ყველანი,ჩვენს ქვეყანასა იმერეთის შინა მცხოვრებნი.ვინც კარგად იცის,რომ თითქმის ყოველთა მცხოვრებთა და მეტადრე კეთილშობილთა კარგად ესმით,რა დიდი საქმე არის შვილის აღზრდა.

გაბრიელ ეპისკოპოსი გმობს იმდროინდელი მშობლების მიერ შვილთა აღზრდის მეთოდს. ,,ჩვენში კარგად გაზრდილი ყრმა ის არის,-წერს გაბრიელი,-რომელმან ისწავლა კარგად თავის დაკვრა,კარგად შესვლა და გამოსვლა,სტუმრებთან დგომა და ჯდომა,შესაფერი ზრდილობიანი ლაპარაკი და პასუხის გაცემა,ერთი სიტყვით,რომელიც არის კარგი დარბაისელი,ამას ეძახიან ჩვენში გაზრდას.“ მაგრამ მღვდელმთავარს ასეთი აღზრდა არ აკმაყოფილებს.ამიტომ,იგი მიმართავს მამებს: გარნა,ძმანო ჩემნო საყვარელნო,თვით თქვენ არა გრძნობათა,რომ ეს არის ერთი და თვით უმძიმესი კერძოდ შვილის გამოზრდისა?ესრეთი გარეგანი ზრდილობა და დარბაისლობა მხოლოდ მაშინ რის მოსაწონი და საქები,როდესაც იგი შეერთდება სულიერსა,შინაგანსა ზრდილობასა თანა,ესე იგი,გულისა და სიკეთესა თანა.უმთავრესი საქმე შვილის გაზრდაში ეს არის ძმაო,რომ შენს შვილს,მაშინ გარეგანი ზრდილობა თავისთავად მოუვა,როდესაც წმიდა მოციქული პავლე შეაგონებს მამათ: ,,განზარდეთ შვილი თქვენი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა.“ამით იმას კი არ გეტყვის იგი,რომ შენს შვილს მხოლოდ დარბისლობა და თავაზიანობა ასწავლო,არამედ გასწავლის რათა მის გულში დანერგო ქრისტიენული,შინაგანი სახიერება.ესე იგი,გარეგანი ზრდილობა მხოლოდ ამ ქვეყნისათვის არის სასარგებლო,ხოლო ღვთისმსახურება,რომელიც დამოკიდებული არის შინაგან კეთილსა ხასიათსა ზედა,ამ ქვეყანაშიც სასარგებლო არის და მერმის საუკუნოისა ცხოვრებისათვისაცა.

გაბრიელ ეპისკოპოსი მიუთითებს და ასწავლის მშობლებს თუ რა სახით უნდა ზრდიდნენ შვილებს და რა უნდა ასწავლონ მათ.

თუ გსურს ძმაო,რომ შენი შვილი გამოვიდეს კეთილი და ბედნიერი კაცი,ორი საქმე ასწავლე მას,ორი თვისება დანერგე მის გულში.პირველად ეცადე,რომ შენს შვილს შეაყვარო სიმართლე,პირველი და უწინარესი ყოველთა ცოდვა,რომელიც გაჩნდება მცირეწლოვანის გულში,არის სიცრუე.თუ არ ეცადე და არ აღმოფხვერი მისი გულიდან ეს ცოდვა,იგი გადაექცეცა მას ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მისთა მომავალთა ცოდვათა.

მეორედ, ეცადე და ყოველი ღონე იხმარე,რომ შენი შვილი ყოველ საქმეში მიეჩვიოს ბეჯითობას,,ამისი სწავლა ერთობ საჭირო არის, ძმაო ჩემო!ჩვენ ყოველთა,ამ ქვეყანაში მცხოვრებთა ერთი დიდი ნაკლოვანება გვაქვს.ესე იგი,დაუდევრობა.დაუდევრობა ის არის,როდესაც კაცი თავის საქმეს არ ასრულებს ბეჯითად.დიდი ცოდვა არის ძმაო,დაუდევრობა!თუ კი კაცს რომლისამე საქმის გაკეთება კარგად შეუძლია და არ აკეთებს,იგი არის კაცი საწყალი და საცოდავი.ჩვენ ამ ქვეყანასა შინა მცხოვრებთა,ღმერთმან არ მოგვაკლო არცა ნიჭი,არცა ღონე,თითქმის ყოველ საქმეს შეგვიძლია სწავლა და გაკეთება.გარნა ვართ დაუდევარნი,გვაკლია ბეჯითობა,ხშირად ვართ აღტაცებულნი და წარმატებულნი სოფლის ამაოებითა;თითქმის ყოველ საქმეს ვერ მივიყვანთ წარმატებით.ეცადე,ძმაო,შენი შვილი არ გამოვიდეს ამ ხასიათისა,არამედ იყოს ბეჯითი ყოველსა საქმეში.

ვგონებ,რომ ორთა ამა თვისებათა ზედა,ესე იგი სიმართლესა და ბეჯითობასა ზედა უნდა იყოს დაფუძნებული გამოზრდა შვილთა.კაცი ცრუ და მზაკვარი ვერც ამ ქვეყანაში იქნება ქებული და წარმატებული,ვერც სასუფეველსა ღვთისასა დაიმკვიდრებს.“

გაბრიელ ეპისკოპოსის აზრით,ბავშვთა ოჯახურ აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასევე ასრულებს ,,მშობელთა პირადი მაგალითი.“ ,,... შვილები მცირეწლოვანნი ისე სიტყვიერ დარიგებით ვერა რას ისწავლიან,როგორც მაგალითით.ამისათვის,თუ მშობელი არ აძლევს მათ კეთილთა სახესა,ძნელად შეიძლება,რომ იგინი კარგი გამოვიდნენ.ეს უმეტესად უნდა ახსოვდეთ ყოველთა მშობელთა.“(1989:461).

სასუფეველი ღვთისა არის იმ სახლში,ანუ ოჯახში,-წერს გაბრიელი,-სადაც ჰსუფევს მშვიდობა,ერთობა და სიყვარული,სადაც მშობელნი აჩვენებენ შვილთა თვისთა კეთილთა მაგალითთა,შვილნი ემორჩილებიანდა პატივსა სცემენ მშობელთა თვისთა,ერთის სიტყვით,იმ სახლში,რომელიცა სიწმიდითა,სიმართლითა ემსგავსება თვით ეკლესიას.“იმ ოჯახში კი,სადაც ადგილი აქვს ერთმანეთს შორის სიძულვილს,ურთიერთშეხლასა და მტრობას,-,,ძმა ძმას ემტერება,მამა და შვილი ვერა სდგებია ერთად;დედანი ხშირად სწყევლიან მშობელთა თვისთა,ძენი აღარ ემორჩილებიან მშობელთა,-წესიერი ადამიანი არ გაიზრდება.

შვილთა აღზრდისა და სწავლების შესახებ წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის ქადაგებებსა და სიტყვებში განფენილი შეხედულებანი გასათვალისწინებელია დღესაც.

მნიშვნელოვან მოსაზრებას აყალიბებს გაბრიელ ეპისკოპოსი მშობელთათვის:მშობლებმა თავიანთ შვილებს ზნეობა,პატიოსნება,სიცრუის სიძულვილი და ყოველივე სიყალბის მორიდება სიყრმიდან,სამი-ოთხი წლიდანვე უნდა ასწავლონ.ბავშვი,როგორც კი ენას ამოიდგამს,ცუდისა და კარგის,მოსაწონისა და დასაწუნისა ცოტაოდენი გარჩევა უნდა შეასმინონ,არამარტო სიტყვით,არამედ უფრო საკითარი ქცევით.ვიდრე ყრმა დედამიწაზეა დამორჩილებული,მანამდე უნდა წარემატოს ზნეობით,თორემ მერე მისი ხასიათის გამოსწორება ძნელი იქნება.ცუდ საფუძველზე კარგი სწავლა არ დაშენდება.მშობლებმა შვილებს სულისა და გულის სიღრმეში წრფელი სინდისი უნდა გაუჩინონ და გაუზარდნონ.

მშობლები თავინთ შვილებს თვითონ უნდა ზრდიდნენ და ანათლებდნენ,საკუთარი სახლი და ოჯახი კი უნდა აქციონ საღმრთო ტაძრად.მთავარია,ბავშვს სული და გული ჰქონდეს კეთილი,კარგი და ცუდი მიდრეკილებანი ადამიანს უკვე ჩვილობაშივე უყალიბდება.მიტომ მისი აღზრდა თავიდანვეა საჭირო.

ამრიგად წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებს.იგი ასწავლიდა განსაკუთრებით ახალგაზრდა მშობლებს შვილების ზნეობრივი,სულიერი აღზრდის საკითხებს.იგი კარგად იცნობდა თავისი მრევლის ოჯახურ მდგომარეობას.

დიდ მოძღვარს მიაჩნდა,რომ მშობლები თითონ უნდა ზრდიდნენ თავიანთ შვილებს,საკუთარი სახლი,ოჯახი კი უნდა აქციონ საღმრთო ტაძრად.ყველაფერი უნდა იღონონ,რომ ბავშვს სული ჰქონდეს კეთილი,კარგი.ცუდი მიდრეკილებანი ადამიანს უკვე ჩვილობაში უყალიბდება და მისი აღზრდა თავიდანვეა საჭირო სიკეთისა და კეთილშობილების მიმართულებით.

7.გაბრიელ ეპისკოპოსის ქადდაგებების ჩართვა სადამრიგებლო საათის პროგრამაში

§7.1 ქადაგებების რაობა

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კლასის დამრიგებლები ატარებენ ,,კლასის საათს“,რომელიც მიმართული უნდა იყოს პიროვნების სრულფასოვანი აღზრდისთვის,ფიზიკური,შემეცნებითი და ემოციურ-სოციალური განვითარებისთვის.

სრულფასოვან აღზრდაში უპირველესად ვგულისხმობთ ზნეობრივ,სულიერ აღზრდას.

ამ მიმართებით დადებითი შედეგის მომცემია გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი.

ქადაგება-1.სწავლა-მოძღვრების ხასიათის სიტყვის საჯაროდ წარმოთქმა ეკლესიაში.2.ასეთი სიტყვის ლიტერატურული ჩანაწერი,ქადაგება მტკიცე რწმენისა და შეხედულების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია და მგზნებარე ელფერის შინაარსის ფართო გავრცელებასა და მსმენელთა დამოძღვრას ემსახურება,ქრისტიანული ეკლესიის მამამთავრები ისევე,როგორც მოციქულები ზეპირად ქადაგებდნენ.წარმართული მსოფლიოს წინააღმდეგ ქრისტიანობას,გარდა სიტყვისა,სხვა იარაღი არ გააჩნდა და ამ იარაღით გაიმარჯვა კიდეც.(საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ლექსიკონი.თბ.2007:907)

ქადაგი__1.საკათედრო ტაძრის პირველი დიაკვანის წოდება ძველ საქართველოში,მის მოვალეობას შეადგენდა კვერექსების წარმოთქმა.პატრიარქისა და ეპისკოპოსთა კრებულის დადგენილების გამოცხადება ამა თუ იმ პირის სამღვდელო ხარისხში ამაღლების შესახებ.მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგის თანამდებობა ხშირად მემკვიდრეობით გადადიოდა.მაგალითად:ცნობილია მაღალაძეთა დინასტია ამ თანამდებობაზე.

2. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ძველი წარმოდგენით ღვთივრჩეული პირი,შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის.ქადაგში მთიელთა რწმენით დასადგურებული იყო ღვთაება და მისი პირით ამცნობდა ხალხს იგი თავის ნება-

სურვილს.არსებობდა ქადაგობის ინსტიტუტი.აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქადაგს ხატის მსახურთა წრეში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეკავა.ის აქტიურად მონაწილეობდა თემის საერო და სასულიერო ცხოვრებაში.ქადაგი სამლოცველოში იჯდა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს(უმეტესად ახალ წელს) და თემის წევრებს უწინასწარმეტყველებდა რა ელოდათ ახალი წლის მანძილზე.ქადაგი ასახელებდა აგრეთვე ხატის იმ მსახხურებას,რომლებიც უნდა გაძღოლოდნენსალოცავებს,წყვეტდა სამეურნეო საკითხებსაც და ასე შემდეგ.(საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ლექსიკონი.თბ.2007:908).

ჰომილეტიკა__საეკლესიო მჭერმეტყველება,ჰომილიის (ქადაგების) ანუ ზეპირი სწავლების,წარმოქმის ხელოვნება.ქადაგებები წარმოითქმებოდა მორწმუნეთა დასამოძღვრად,უმეტესად ეკლესიაებში და მას წარმოთქვამდნენ სხვადასხვა ხარისხის სასულიერო პირნი (პატრიარქები,ეპისკოპოსები,მღვდლები,ბერები).

გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით მოძღვრება-ქადაგებას ან თვით ავტორი

დაწერდა ხოლმე წინასწარ ანდა წარმოთქმის დროს ჩაწერდნენ მაშინდელი სტენოგრაფები,როგორც ოფიციალურად,ისე ფარულად.ყოველივე ეს ხელს უწყობდა

ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას,რომელიც კორნელი კეკელიძის თქმით ,,უსაზღვრო ოკეანეს წარმოადგენს“.

შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა:

1. **სადღესასწაულო ქადაგებანი,**რომელსაც წარმოთქვამენ საუფლო-

საღვთისმშობლო და დიდ წმინდანთა დღესასწაულებზე,მათ უფრო ხშირად დოგმატური ხასიათი აქვთ.

2.პანეგირიკები ანუ ხოტბა-შესხმანი,ე.წ.ენკომიები-მოწამეთათვის და სხვა წმიდანთათვის რომელსაც ჰაგიოგრაფიული ხასიათი აქვთ.

3.ეპიტაფიები ანუ სასაფალოზე და მიცვალებუის ცხედართან წარმოთქმული სიტყვები,რომლებშიც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უჭირავს.

4.საკუთრივ **ქადაგება ანუ ჰომელია,**რომელშიც განმარტებულია კვირა-უქმეებში წასაკითხი ადგილი საღვთო წერილიდან ან ეხება ამა თუ იმ დოგმატურ,მისტიკურ ან ზნეობრივ საკითხს.

ჰომილეტიკა ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი დარგია,XI-მდე თითქმის უკვე დასრულებული იყო მნიშვნელოვან ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა გადმოღება ქართულ ენაზე.ამ დროს ნათარგმნი ქადაგებები გვხვდება სხვადასხვა კრებულში,რომელთაც სხვადასხვა სახელი აქვთ,ერთ-ერთი სახელწოდება,რომლითაც ამგვარი კრებულია ცნობილი არის ,,მრავალთავი",რაც იმის აღმნიშვნელია,რომ ამ კრებულში მრავალი თავი ან სტატიაა,მეორე სახელი არის ,,მარგალიტი" ამ კრებულის ბერძნულ წარმომავლობას გვიდასტურებს,როგორც მისივე სახელი,ასევე მოწმობა ეფრემ მცირისა - რომელიც ამბობს: ,,სხვანი წიგნი გამოკრებილი ვითარი იგი მარგალიტი და ყვავილკრებული და სხვანი მსგავსნი მათნი ბერძნულად ეგრეთვე გამოკრებილნი არიან.(თ.ჟორდანია,ქრონიკები I,218).

ამ კრებულში,რომელიც ცნობილია თითქმის ყველა ენაზე,უმეტესწილად ასახელებენ იოანე ოქროპირის ქადაგებებს,რომელთა რიცხვი სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვაა.ქართულ ენაზე შენახული რედაქცია შედგება 20 თავისგან. ,,მარგალიტის" ზოგიერთ ნუსხაში გვხვდება გრიგოლ ღვთისმეტყველის,ბასილი დიდის და სხვათა ქადაგებები,შეიძლება ითქვას,რომ ქართულ ენაზე თარგმნილის თითქმის ყველა ცნობილი მქადაგებლის სიტყვები,მთლიანად თუ არა შერჩევით მაინც და ბევრი ისეტიც,რომლის ავტორი საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ცნობილი არაა და მხოლოდ ქართულ ძეგლებშია აღნიშნული.

ჰომილიები ქრონოლოგიურად,რომელთა ნაწარმოებებიც შემონახულია ჩვენამდე:

(ბიბლიოგრაფია დაწვრილებით იხილეთ.კ.კეკელიძე,ეტიუდები,V,5-114)

1.გრიგოლ საკვირველმოქმედი,რომლის მოძღვრება 864 წლის მრავალთავშია დაცული

2. ევსევი ჟამთააღმწერელი- ,,ქებაი და წმინდათა მოწამეთაი"

3. ეფრემ ასერი - ,,თქმულთა საკითხავთა“,რომელსაც გრიგოლ ხანძთელი ,,ზეპირად გოდებით ტირილსა შინა იტყოდა თავისი აგარაკით მარტოი ხანძთას შთამოვიდოდა რაი“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება)

4. ათანასე ალექსანდრიელი

5. ბასილი დიდი,კესარიელი

6. კირილე იერუსალიმელი

7. გრიგოლ ღვთისმეტყველი

8. მელეტი ანტიოქიელი

9. გრიგოლ ნოსელი

10. ეპიფანე კვიპრელი

11. იოანე ოქროპირი (მისი ასზე მეტი ქადაგება - მოძღვრება გვხვდება ძველ მრავალთავებსა და კრებულებში,რომელთაც ეწოდება ,,ფუტკარი“, ,,მარგალიტი“, ,,ოქროს წყარო“.

12. სევერიანე გაბალოვნელი

13. ლუკიანე ხუცესი

14. ევსევი იერუსალიმელი

15. კირილე ალექსანდრიელი

16. ევსევი ალექსანდრიელი

17. პროკლე კონსტანტინეპოლელი

18. ანტიპატროს ბოსტრელი

19. იოანე დამასკელი

20. იაკობ ბატნაანელი

X საუკუნემდე გვხვდება მქადაგებლები,რომლებიც საეკლესიო მწერლობაში ცნობილნი არ არიან, ტიმოთე - ხუცესი იერუსალიმელი,პეტრე - მთავარეპისკოპოსი იერუსალიმისა.ივლიანე ტაბია (გალატიაში) ეპისკოპოსი.თეოდულა ხუცესი,გრიგოლ ანტიოქიელი,ალექსანდრიის მონაზონი კიპრელი,ევფსვიქი ხუცესი.

X საუკუნემდე ქადაგებათა უმეტესი ნაწილი მოდის საუფლო დღესასწაულებზე.შობა ნათლიღების ქადაგებათა სიმრავლე უნდა აიხსნებოდეს დოგმატურ-პოლემიკური მოსაზრებით,ქრისტოლოგიური და ეორტალოგიური საკითხების სიმწვავით ,შობის ქადაგება თხუთმეტამდეა,ნათლისღებისა -

თოთხმეტი.საუფლო დღესასწაულების შემდეგ სჭარბობს წმიდანებისადმი მიძღვნილი ქადაგებები.ოცამდეა შემორჩენილი ქადაგებები ზნეობრივ თემებზე,უფრო კი სინანულის შესახებ,თორმეტი ქადაგება-ხოტბა პანეგერიკს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას,რომ უკვე X საუკუნემდე გვქონდა ჰომილეტიკური ბიბლიოთეკა.ნათარგმ ჰომილეტიკურ ნაწარმოებებს უბრალო და მარტიუვი ენა,XI საუკუნის შუა ხანებიდან თეოფილე ხუცესი მონაზონის დროიდან საფუძველი ეყრება მეტაფრასულ ჰომილეტიკას,რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამ ნაწარმოებთა გადმოღება და გამშვენება ენის მხრივ. ამ პერიოდში არამც თუ გაუგრძელებიათ წინანდელი მუშაობა და ახალი ქადაგება-მოძღვრება გადმოუღიათ,არამედ ხელმეორედ უთარგმნიათ ბევრი.ძველად გადმოქართული ქადაგება.ამ პერიოდში ჰომილეტიკის დარგში მოღვაწეობდნენ დავით ტბელი,აფვთიმე მთაწმინდელი,გიორგი მთაწმინნდელი,გიორგი მთაწმინდელი,თეოფილე ხუცეს მონაზონი და ეფრემ მცირე.

არსებობს ბევრი ისეთი მეტაფრასული ქადაგება-მოძღვრებანი,რომლის მთარგმნელი ცნობების უქონლობის გამო ვერ სახელდებიან.ყველაზე მეტად ისეთი ნაწარმოებები გვაქვს,რომელშიც თავმოყრილია დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდის სამოძღვრო მასალა.(სამოცზე მეტი ქადაგება-მოძღვრება). ამ პერიოდის ნათარგმნ ნაწარმოებთა კრებულმა მიიღო სპეციალური ტექნიკური სახელწოდება ,,მეტაფრასი“,რადგან მასში მოთავსებულია მეტაფრასული რედაქციის ტექსტები,შემდეგ პერიოდში ქარტულ ჰომილეტიკას თარგმანები აღარ შემატებია,თუ მხედველობაში არ მივიღეთ ილია მანიატის (+1714 წელი) ორ ნაწარმოებს ,რომელიც XVIII საუკუნეში უთარგმნიათ რუსულიდან.

ქართულ ენაზე შემონახულა არამარტო ნათარგმნი ჰომილეტიკა,არამედ ორიგინალურიც,მაგრამ ისინი უნდა შექმნილიყო არაუადრეს VIII- IX საუკუნეებში.საფიქრებელია,რომ მანამდე ქართველი მღვდელ-მოძღვარნი შეგნებულად გაურბოდნენ ასეთ შემოქმედებას და ამჯობინებდნენ ექადაგათ არა თავისი მოსაზრებით,არამედ ,,ვითარი იგი მნათობთა ეკლესიათა და მოძღვართა აღწერილია თვისთა მიერ გარდამოსცეს“.

პირველი ორიგინალური მქადაგებელი,რომლის ნაწარმოები ჩვენ დრომდე შემონახული არის იოანე ბოლნელი, (X- XI) თუმცა იოანე საბანისძის ,,აბო თბილელის წამების“ (VIII საუკუნის,) I V თავი ,,ქებაი წმინდისა მოწამისა ჰაბოისი“ ჰომილეტიკური თხზულების შესანიშნავი მაგალითია. ეჭვგარეშეა იმ დროისთვის არა ერთი და ორი გამოჩენილი მქადაგებელი გვეყოლებოდა,მაგრამ სამწუხაროდ მათ ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ,ვიცით მხოლოდ,რომ თამარ მეფის ცხედართან სიტყვები წარმოუთქვამთ იოანე ჭიმჭიმელსა და ვინმე დავითს.

ორიგინალური ჰომილეტიკა განვითარებულია XVII-XVIII საუკუნეებში,ამ დროს ჩვენ გვხვდება მთელი რიგი ცნობილი და ნიჭიერ მქადაგებელთა,როგორებიც არიან ნიკოლოზ რუსთველი,იობ ფიტარეთელი,გერმანე მონაზონი,ბესარიონ კათალიკოსი,სულხან-საბა ორბელიანი,ანტონ კათალიკოსი,გაიოზ რექტორი,ამბროსი ნეკრესელი,ანტონ ცაგარელი- ჭყონდიდელი,ვარლამ მიტროპოლიტი,იონა ხელაშვილი და სხვანი.აღნიშვნის ღირსია სულხან-საბა ორბელიანის ,,სწავლანი“ (სლხან-საბა,თხზულებაი,ტ.3,1963:21-23) ამ კრებულში შემონახულია 46 ქადაგება,რომელიც დაწერილი და წარმოთქმულია დავით გარეჯის უდაბნოში 1698-1710 წლებში.

XIX საუკუნის მქადაგებელთა შორის გამოირჩევიან გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა,კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე და აგრეთვე სხვა მღვდელმთავარნი.

ჰომილია-(ბერძ.)-ქადაგება,ზეპირად პირისპირ თქმა,(ეფრემ მცირე) სასულიერო შინაარსის მოძღვრება ქადაგება ზეპირად და წარმოთქმული მორწმუნეთა წინაშე,ეს იყო მორწმუნე მრევლის საღვთისმეტყველო განათლების საუკეთესო საშუალება,ხშირად ჰომილიები წინასწარ იწერებოდა,კარგი მქადაგებლის ჰომილიები ხელიდან ხელში გადადიოდა და ეკლესიის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა.

ქართულ ენაზე თარგმნილია ბასილი კესარიელის,იოანე ოქროპირის,გრიგოლი ღვთისმეტყველის,ანდრია კრიტელის, ათანასე და კირილე ალექსანდრიელების,გრიგოლ ნოსელისა და სხვა მქადაგებელთა ჰომილიები.ჰომილიების კრებულები ხშირად კალენდარული პრინციპით

დგებოდა.ასე წარმოიშვა მრავალთავი.ჰომილიებს წერდნენ გამოჩენილი ქართველი იერარქები და სხვა საეკლესიო მოღვაწეები.

მრავალთავი-ძველი ქართული ჰომილეტიკური კრებული,სადაც თავმოყრილია საუფლო,საღვთისმშობლო და სხვა დიდ საეკლესიო დღესასწაულთათვის განკუთნილი საკითხავები.სახელწოდება,რომელიც პირველად დადასტურებულია ,,სვანურ მრავალთავში“ (864) ეწოდა ,,ოთხთავის ანალოგიით“.მრავალთავის ბერძნული მოდელია ,,პანეგირიკონი“,რომელიც თითქმის ყოველთვის შეიცავს ქრისტესა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ჰომილიებს.

ჩვენამდე მოღწეულია ქართული მრავალთავის ათი ხელნაწერი,მათ შორის უძველესი მრავალთავი გამოსცა აკაკი შანიძემ 1927 წელ,(სვანური მრავალთავი“1959,ა.შანიძე ჭუმბურიძე.1994.)და სხვა.

მეტაფრასი- (ბერძ.)- ,,თარგმანება“ ,,განმარტება“ ,, გადაკვეთა“ ,,ხელახალი თხრობა“.ჰაგიორაფიული მწერლობის ჟანრი გულისხმობს ისეთი სახის თხზულებას,რომელიც შეცვლილია თავის ადრინდელ ვერსიასთან შედარებით,გავრცობილია,გამოკრეფილია ანდა პერიფრაზია.მაგალითად: ,,ეზიკიელის მეტაფრასი“ შეიცავს ეზიკიელ წინასწარმეტყველის ხილვებს.

ბიზანტიაში შეიქმნა ძლიერი ლიტერატურული მიმართულება,რომელიც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ბერძენმა საეკლესიო მწერალმა სვიმეონ მეტაფრასტმა (X ს).რომელმაც ამის გამო მეტაფრასტის სახელი მიიღო.მან შეადგინა სექმემბერ-იანვრის თვეების კალენდარულ რიგზე გაწყობილ საკითხავთა კრებულები.XI საუკუნეში იოანე სიფილინოსმა გაასრულე სვიმეონ ლოგოთეტის შრომა და შექმნა თებერვალ-აგვისტოს მეტაფრასული საკითხავები.მეტაფრასული კრებულის შედგენისათვის არსებობს პრინციპები.

სვიმეონ მეტაფრასტი არ ცვლიდა ისტორიულ ფაქტებს,მოკლე თხზულებებს ავრცობდა,ვრცელი თხზულებიდან ამოკრებდა საინტერესო მასალას,მწვალებელთა მიერ დამახინჯებულ ადგილებს ასწორებდა.ზოგიერთი წიგნი არ საჭიროებდა ასეთ ჩარევას და ამიტომ მეტაფრასულ კრებულებში ასეთი თხზულებები უცვლელად შევიდა.

მეტაფრასი ლიტერატურული კრებულია,რომელიც შეიცავს კალენდარული წესით გაწყობილ წმიდანთა ცხოვრებასა და წამებებს,განკუთვნილია ცისკრის საკითხავებისთვის.

მეტაფრასტი ახალი ლიტერატურული მიმართულებაა ბიზანტიურ მწერლობაში,რაც გამოიხატება წმინდანების წამება-ცხოვრებათა უძველესი ბერძნული ძეგლების მხატვრულ ესთეტიკური პრინციპებით გადამუშავება-შემუშავებაში.

საინტერესოა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის განმარტებები ,,ქადაგებისა და მქადაგებლის“ შესახებ.

დიდ დღესასწაულს მაცხოვარმა ჩვეულებისამებრ იქადაგა მსმენელთა შორის,კამათი და შფოთი ატყდა,ზოგი ამბობდა წინასწარმეტყველია და კარგად გვასწავლისო,ზოგიც პირიქით: ცბიერია და ცუდად გვასწავლისო.ეს საკვირველი გარემოება იმაზე მეტყველებს,თუ რა მძიმე და ძნელი საქმეა ღვთის სიტყვის ქადაგება.

რა არის ქადაგება და ღვთის სიტყვას მოძღვარი როგორ უნდა ქადაგებდეს?

ღვთის სიტყვის ქადაგება ორგვარია და ორგვარადვე სრულდება.პირველი მისი სახე ისაა,რომ მქადაგებელი მხოლოდ ზოგად აზრებს გამოთქვამს ისე,რომ არავის შეეხება და არც განსაკუთრებულ სწავლა-დარიგებას მისცემს ვინმეს,ასე,რომ იგი ყველა მსმენელისათვის ერთი ფასისაა გარეგნულად.რაც უნდა დიდი მჭერმეტყველებით გამოირჩეოდეს,მსმენელი მაინც გულგრილად მიიღებს.მეორე სახე ქადაგებისა ისაა,როცა მქადაგებელი ცდილობს მისი სიტყვა მსმენელებს დაუახლოვოს,მან წინასწარ იცის სულიერი ნაკლოვანებები და საჭიროებანი მსმენელისა და ქადაგებას მათ შესაბამისად წარმოსთქვამს ანუ შესაფერის სწავლა-დარიგებას იძლევა,იგი ცდილობს,რომ მისი სიტყვა უქმად და განყენებულად არ დარჩეს.ასე,რომ ყოველმა მასში, მისი სულიერი მდგომარეობა ვითარცა სარკეში ისე უნდა დაინახოს.ასთი მქადაგებელი მჭერმეტყველების გარეგან სახეზე კი არ

ზრუნავს,არამედ იმაზე,რომ მისმა სიტყვამ მსმენელთა გულებში შეაღწიოს და იქ თავისი კვალი დატოვოს.

მართალია,ამგვარ მქადაგებლებს ხალხისთვის უფრო დიდი სარგებლობა მოაქვთ,მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს,რომ ხშირად მსმენელებში უკმაყოფილებას და შფოთს იწვევს,ეს არცაა გასაკვირი.ადამიანებს არ მოსწონთ,როცა მათ ცუდ თვისებებს წარმოაჩენენ.ღვთის სიტყვის მქადაგებელმა დაფიქრებით უნდა გამოარჩიოს თუ რომელი სიტყვა და საგანია უსაჭიროესი მსმენელისათვის,მან უფრო ხშირად და მტკიცედ უნდა ილაპარაკოს და დარიგება მისცეს იმ ცოდვის,ნაკლოვანებისა და სულიერი სენის შესახებ,რომელიც მის სამწყსოს უფრო ეჩვევა და ვნებს.

წარმოგიდგენთ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის შეხედულებებს მქადაგებლის შესახებ: ბევრი ახალგაზრდა მოქადაგე იწყებს რა ქრისტიანობის დამოძღვრას ადამიანის გულის თვისებათა საკმაოდ შესწავლის გარეშე,ვერ ზემოქმედებს მსმენელების გულებზე ისე,როგორც ჯერ არს.ისინი ძალზე მჭერმეტყველურად უმტკიცებენ მსმენელებს,რომ ბიწიერება მავნეა,ხოლო სიკეთე სასარგებლო და პატივსაცემი,მაგრამ ყოველივე ეს ძალზე ცოტაა.მსმენელები ამაში თითონაც დარწმუნებული არიან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.მიუხედავად ამისა,გრძნობენ ,რომ მათ გულში ვნებებს ეძლევათ უპირატესობა.ამიტომ ნაცვლად სიკეთის სარგებლობის მტკიცებისა,მოქადაგემ მთელი ძალით უნდა დაარწმუნოს მსმენელები იმაში,რომ სიკეთეს ბიწიერებასთან შედარებით შეუძლია მოგვიტანოს ისეთივე,ან და მეტი უწმინდესი სიამოვნება და რომ საჭიროა მსმენელმა იგრძნოს,რომ ვნებებს მოაქვს ყალბი და დროებითი სიამოვნება,რომ ჭეშმარიტი მყარი საუკეთესო სიამოვნების პოვნა სულს მხოლოდ ქრისტიანულ გრძნობებში შეუძლია.

ჰომილეტიკა მთავარ ადგილს იჭერს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მემკვიდრეობაში,რომლითაც ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც ფილოსოფოსი და პედაგოგი.იგი კარგად ფლობს ადამიანის სულთან მიახლოების ხელოვნებას,ადვილად იმორჩილებს და კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე.მისი ქადაგებების მთავარი მიზანი ადამიანში რწმენის განმტკიცება და ზნეობრივი სახის სრულყოფისაკენ სწრაფვაა. ,,ცხოვრების მანკიერებათა დაგმობა და

ადამიანის ზნეობრივი განწმენდისაკენ სწრაფვაა,როგორც წესი, ბიბლიური წიგნებიდან მოშვებულ სიბრძნესა და სიუჟეტურ ეპიზოდებს ეფუძნება ხოლმე.მქადაგებელს ხშირად მოჰყავს,ცალკეული ფრაგმენტები,პოპულარული,ადვილად მისაწვდომი ენით მოუთხრობს მრევლს მათ შესახებ,განმარტავს ტექსტს რის შედეგადაც ნათელს ხდის ამ ეპიზოდებისა,თუ ბრძნული აზრების სიმბოლურ-ალეგორიულ ქვეტექსტებს.(ნიკოლეიშვილი;1990:65).

ნიკოლოზ კანდელაკი აღნიშნავს,რომ გაბრიელ ეპისკოპოსის ორატორულ მეტყველებას ასაზრდოებს ორი ძირითადი წყარო: კლასიკური სამქადაგებლო ხელოვნება და ახალი სასაუბრო ენა,მათი კანონზომიური შეთავსების შედეგს წარმოადგენს ორატორის აზროვნების მთავარი საშუალება-ზეპირი სიტყვა.ამ გზით აღწევს დიდი მქადაგებელი მტკიცედ დასახულ მიზანს-მრავალრიცხოვანი მრევლის მორალურ აღზრდას.(კანდელაკი;1968:350).

გაბრიელ ეპისკოპოსის ორატორული ხელოვნება მიგვანიშნებს იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე,რომლებიც ხელს უშლის ადამიანის სულიერი ჰარმონიის მიღწევაში.მისი აზრით,ბოროტისათვის საკმარისი არ არის,მარტო ცოდვას ჩამოშორდეს,მისი მოქმედება უნდა გახდეს სრულყოფილი და კეთილი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მიმართებაში.კეთილი მოქმედება არის,ის,რაც მოსაწონია ღვთისათვის და სასარგებლოა მოყვასისათვის.გაბრიელ ეპისკოპოსისათვის მთავარი ადამიანიდან ბოროტების გამოდევნაა,რაც მხოლოდ მსხვერპლთშეწირვის ფასად მიიღება.ეს კი,ეკვე,მისი აზრით,ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა და იმქვეყნიური სასუფევლის დამკვიდრებაა.

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი ბოროტებისგან ადამიანის განწმენდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მადლს,რომელიც არის წყალობა,კეთილი ძალა- მას ღმერთი უგზავნის მოკვდავს,რომ უჩვენოს ხსნის გზა.ქრისტიანული გაგებით, ,,მადლი ღვთისა აღარ ტოვებს ადამიანს.ის იმისათვის ეძლევა მას,რომ მთელ სიცოცხლეში ეწეოდეს სიკეთის გზაზე-მაშინაც კი,როდესაც სცოდავს,მადლი სულიწმიდისა მასში შეფარვით აგრძელებს არსებობას... თუ შესცოდა,მაშინაც არსებობს სინანული,მეორედ დაბადება კაცისა სინანულის ცრემლებით.

ამრიგად,სადამრიგებლო საათში ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთა სრულყოფილი აღზრდისათვის,რომელშიც უმნიშვნელოვანესია ზნეობრივი,სულიერი აღზრდა.ამ მიმართულებით ეფექტურია ისეთი ფორმის გამოყენება,როგორიცაა ქადაგება.

ქადაგება არის 1.სწავლა-მოძღვრების ხასიათის სიტყვის საჯაროდ წარმოთქმა ეკლესიაში.2.ასეთი სიტყვის ლიტერატურული ჩანაწერი,ქადაგება მტკიცე რწმენისა და შეხედულების გამომხატველი ორატორული ნაწარმოებია და მგზნებარე ელფერის შინაარსის ფართო გავრცელებასა და მსმენელთა დამოძღვრას ემსახურება,ქრისტიანული ეკლესიის მამამთავრები ისევე,როგორც მოციქულები ზეპირად ქადაგებდნენ.წარმართული მსოფლიოს წინააღმდეგ ქრისტიანობას,გარდა სიტყვისა,სხვა იარაღი არ გააჩნდა და ამ იარაღით გაიმარჯვა კიდეც.(საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ლექსიკონი.თბ.2007:907)

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში გადმოცემულია:რწმენის განმტკიცებისა და ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვა,ცხოვრების მანკიერებათა დაგმობა,ადამიანიდან ბოროტების გამოდევნა,რაც მსხვერპლთშეწირვის ფასად მიიღება.მისი აზრით,ბოროტისათვის საკმარისი არ არის,მარტო ცოდვას ჩამოშორდეს,მისი მოქმედება უნდა გახდეს სრულყოფილი და კეთილი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მიმართებაში.კეთილი მოქმედება არის,ის,რაც მოსაწონია ღვთისათვის და სასარგებლოა მოყვასისათვის.

§7.2 სადამრიგებლო საათი „უმჯობესნი შევიქნეთ სულითა და გულითა“

სადამრიგებლო საათის დაწყებისას მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ქადაგების ტექსტს:

ვევედრები ღმერთსა,რომ ამ მდგომარე წელიწადს ჩვენ ყოველნი უმჯობესნი შევიქნეთ სულითა და გულითა.

მოგვცეს ჩვენ ერთობა და სიყვარული,რომელი არის ნიშანი,დამამტკიცებელი

სულიერისა წარმატებისა,საუნჯე დაუფასებელი,გვირგვინი ქრისტიანობისა.

არა მხოლოდ მოვნათლავდეთ შვილთა ჩვენთა,არამედ აღვზრდიდეთ ქრისტიანობრივად.

დაშთენილი დღენი ცხოვრებისანი მოგვახმაროს კეთილად და სულისა ჩვენისა სასარგებლოდ...ვიცოდეთ,ვითარ ძვირფას არს კაცისათვის ყოველი წამი.

როგორც,რომ გათავდება ძველი წელიწადი და დადგება ახალი,ვინც სასწავლებლის უფროსია,მან უნდა შეადგინოს ანგარიში:რაოდენი მოსწავლენი სწავლობდნენ მის სასწავლებელში,როგორც სწავლობდნენ და იქცეოდნენ...

რა სარგებლობა წარმოსდგება აქედან?

ესრეთი ანგარიშის შედგენით გონიერი კაცი მოიმატებს გამოცდილებასა.იგი შეიტყობს ,რა შეეწევა მის საქმის წარმატებასა და რა დააბრკოლებს მას და ესრეთ მომავლის წრისათვის საქმეს უმჯობესად დააწყობს...

გვავიწყდება ერთი ანგარიში,რომელიცა უსაჭიროესია და უმეტესად სასარგებლო არის თითოეულისათვის: რომელი?

ქრისტიანული ზნეობით ცხოვრებისა და ყოფაქცევის ანგარიში წასული წლის განმავლობაში

მიეც,ძმაო ქრისტიანე,დღეს ანგარიში შენ სინდისსა და ღმერთსა და შეიტყვე,როგორ გაატარე წარსული წლის ქრისტიანული შენი ცხოვრება:

- **სიწმინდით და კრძალულებით თუ დაფანტულად და უზრუნველად?**
- **მოუმატე შენ წარსული წლის განმავლობაში რომელიმე მადლი და სიკეთე თუ უწინდელ ცოდვას შენ დაუმატე ახალი ცოდვანი.**
- **უმჯობესი შეიქმენი სულიერად თუ უარესი?**
- **მიუახლოვდი ღმერთს თუ უმეტესად განეშორე მისგან?**
- **მოიშალე რომელიმე ცუდი ჩვეულებანი,ბოროტნი მიდრეკილებანი თუ სამწუხაროდ უმეტესად გაძლიერდნენ შენს ბუნებაში.**

ასეთი ანგარიში უმეტესად სასარგებლო იქნება შენთვის,ვიდრე სხვანი,ვინაიდგან ადამიანის ყოველი საქმისა დაშრომის წარმატება დამოკიდებულია შინაგან მისთა თვისებათა და მიდრეკილებათა ზედა.

კეთილგონიერი ქრისტიქნი ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერ მდგომარეობას. შემ წელიწადში ერთხელ მაინც აღასრულე ეს სასარგებლო საქმე.იქნება შენ დაგავიწყდა,რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმსრულებელი.

უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი,ესე იგი,გყვანან მოწაფენი,რომელთაც შენ ასწავლი,ანუ წიგნსა,ანუ რომელიმე ხელობასა,მაშინ უფრო ფიცხელი და პირ-მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენს სინდისსა:

რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წარსული წლის განმავლობაში?

გახსოვდა შენ ყოველთვის,რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა,რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისგან?

მასწავლებელმ მარტო წიგნი ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოსწავლესა,არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება,შრომისმოყვარეობა,ერთი სიტყვით,ქრისტიანობა.

ქრისტიანემ,რომელსაც ახსოვს ქრისტე იესოს სწავლა, ყოველი ისე უნდა წაიყვანოს,რომ იგი შეეწეოდეს ღვთის სასუფევლის გავრცელებას კაცთა შორის.

დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობა პირველი

გთხოვთ,უპასუხოთ კითხვას“იცოდით,რომ შენს მასწავლებელს ასეთი პასუხისმგებლობა ჰქონდა შენს წინაშე?

აქტივობა მეორე

გთხოვთ,წაიკითხოთ ფრაგმენტები,წარმოიდგინეტ,რომ უნდა შეადგინოთ ანგარიში ,,როგორ გავატარე წარსული წლის ქრისტიანული ცხოვრება“.

ჩამოწერეთ მახასიათებლები,რომელსაც თვლით,რომ უნდა შეგესრულებინათ წლის განმავლობაში,გვერდით მიუწერეთ შეფასების კრიტერიუმები.

მახასიათებლები	დამაკმაყოფილებლად	კარგად	შესანიშნავად	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას

გააკეთეთ ანალიზი:როგორ გესახებათ,რომ შეიქმნათ უმჯობესი სულითა და გულითა

აქტივობა მესამე

გთხოვთ,მოძებნოთ პარალელი სწავლებისა:ქრისტიანე ყოველ საღამოს გამოიკვლევს თავის სულიერ მდგომარეობას.

(სავარაუდო პასუხი ,,ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე,აბა დღეს მე ვის რა ვარგე“ წმიდა ილია მართალი)

---

§7.3.სადამრიგებლო საათი „აწ არს ჟამი განღვიძებად ძილისაგან“

თუ ოდესმე შესაძლებელი არის განღვიძება ცოდვილისა ძილისაგან ცოდვათასა,ეს არის დღეთა ამათა შინა მარხვისათა თუ ოდესმე შეიძლება სთქუას კაცმა,ახლა არის ჟამი განღვიძებად და ახლა არის უმახლობელეს ჩვენდა ცხოვნება ეს იქნება განმავლობასა შინა დიდისა მარხვისა.

რისთვის?

მისთვის,რომელ წმიდამან ეკლესიამან ისე კეთილად და ბრძნად დააწესა მარხვასა შინა კითხვა,ლოცვა,გალობა და ყოველივე დაწყობილება საღმრთოსა მსახურებისა,რომელ შესაძლებელი არ არის არ გაიღვიძოს და არ შეინანოს კაცმა ცოდვილმა,უკუეთუ იგი სრულიად არ არის მკვდარი.

რაც რომ კი არის მაღალი,კაცის გულის შემმუსვრელი და გრნობათ მომყვანებელი,ვითარცა საღმრთოსა წერილსა შინა ეგრეთვე თხზულებათა შინა წმიდა მამათა ესე ყოველივე განგებ შეკრიბა წმიდამან ეკლესიამან დღეთა ამათ შინა შენდა აღსაშენებლად და მოსაქცეველად.ყოველსა მისსა საუნჯესა,ძველსა და ახალსა გამოგიტანს წმინდა ეკლესია და გაგიფენს შენ.ახლა განამრავლებს იგი უმეტესად კითხვასა საღმრთოთა ფსალმუნთა,ახლა აღმოკრეფავს წინასწარმეტყველთაგან უმჯობესთა კეთილსულოვანთა ყვავილთა,ახლა გიქადაგებს იგი ბაგითა სოლომონ ბრძენისა და ზირაქისითა და ყოველთა წინასწარმეტყველთასა ერთი სიტყვით,რაც კი აქვს წმინდასა ეკლესიასა უმჯობესი ყოველი დაიმარხა აწინდელთა დღეთათვის.

დაუგდე ყური საღმრთოთა ამათ სიტყვათა.გააღე კარი გულისა შენისა და მიუშვი მადლი საღმრთოისა ქადაგებისა,აწვე არს ჟამი განღვიძებად ძილისაგან.

თუ ახლაც არ მოინანე ცოდვანი შენი,თუ ახლაც არ გაიღვიძე,მაშასადამე აღარ ყოფილა შენთვის გაღვიძება.რა სახითა შეგაგონებს შენ წმიდა ეკლესია: თუ შიშით,თუ შერცხვენით,თუ ლმობიერებით,თუ მრისხანებით ყოველ საშუალებას იხმარს,ყოველ ხერხს გამოცდის.

ისარგებლე საღმრთოითა ამით ჟამითა (დიდი მარხვითა) თუ ახლაც უდებ იქმენ,თუ ახლაც უსარგებლო დარჩა შენთვის ესოდენი შეგონება,სწავლა,ქადაგება,რაღა მოგაქცევს შენ და ვინღა შეგაგონებს.

ვერასოდეს ვერსად ვერ გაიგონებ შენ ისრეთთა ტკბილსა და ლმობიერსა სიტყვათა,როგორათაც გეტყვის შენ წმიდა ანდრია კრიტელი,არ შეიძლება უმჯობესად შეგონება კაცისა სწორედ სულმან წმიდამან გაანათლა ანდრია საღმრთო,თორემ კაცის ენა ვერ წარმოსთქვამდა ესოდენსა მადლსა,რაოდენსა საღმრთოსა სახესა წინ დაგიდებს იგი,რაოდენსა მაგალითსა მოგიყვანს,რაოდენსა საკვირველსა ჰაზრსა შეგაგონებს,ქვეყნის დაბადებიდან ვიდრე უკანასკნელ დღეთამდე რაიცა რამ იყო წმინდა მაგალითი,ყოველსა აღწერს იგი შენთვის,ამის მეტი სხვა არაფერი განსხვავება რომ არ იყოს დიდმარხვის ლოცვებში,მარტო ეს იქნებოდა საკმაოდ შენდა გაღვიძებად ძილისაგან ციდვათასა.

აჰა,ვითარცა საღმრთოისა ტაბლასა დაგიგებს შენ წმიდა ეკლესია დღეთა ამას შინა რაოდენნი და ვითარნი მქადაგებელნი წარმოგიდგებიან შენ,განიღვიძე უკვე,ვიდრემდის უნდა გეძინოს შენ,ვიდრემდის უნდა გამოსცადო სულგრძელება და მოთმინება მამისა შენისა ზეციერისა.საკმაო არს ესოდენი ძილი უკეთუარა იგი გადაიქცევა სიკვდილად.

განიბანეთ,წმინდა იქმენით,მოსპეთ უკეთურებანი სულთაგან თქვენთა,ისწავლეთ კეთილისა ქმნა,გამოიძიეთ მსჯავრი (ისაია წინასწარმეტყველი I.16.17)

სულო ჩემო,სულო ჩემო,აღსდეგ რასა გძინავს,აღსასრული მოახლებული არს (ანდრია კრიტელი).

დამოუკიდებელი მუშაობა

ააქტივობა პირველი

გთხოვთ,წაიკითხოთ წმიდა ანდრია კრიტელის კანონი და ამოიწერეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ადგილები

აქტივობა მეორე

მსჯელობა ,,რას ნიშნავს ჩემთვის სწავლება: გააღე კარი გულისა შენისა და მიუშვი მადლი საღმრთოისა ქადაგებისა“

აქტივობა მესამე

წაიკითხეთ ფრაგმენტები,გამოიყენეთ მეთოდი ორმხრივი ჩანაწერის დღიური.თემა: ,,რისთვის არის დიდი მარხვა ჟამი ცოდვილისა ძილისაგან განღვიძებისა“

ფრაზები,რომლებმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო	კომენტარი

§7.4 სადამრიგებლო საათი ,,ყოველი ჩვენი კეთილი გრძნობა და ჰაზრი ლოცვასა შინა გაჩენილი გარდაიქცეოდეს კეთილ საქმედ“

რა არის ჭეშმარიტი ლოცვა?

1.ჭეშმარიტი ლოცვა არის პირველად თავის ცნობა, თავის სულიერი მდგომარეობის შეტყობა,როდესაც კაცი თავისითა ჰაზრითა და გონებითა მიბრუნდება თავის თავისკენ,გამოიკვლევს თავისის საკუთარის სულიერსა ცხოვრებისა სახესა,შეიტყობს თვისსა შემცოდაობასა,ცხადად დაინახავს თავის სიგლახაკეთა,შეშინდება თავის უღირსებისაგან,შეწუხდება და იურვის,უნებლივად მიმართავს ღვთისადმი .სული და გული მისი უნებლივად მიიქცევა ზეციერისა მამის მიმართ.ვინც ესრედ კეთილად გამოიკვლევს თავს მას აქვს შემუსვრილი და გული დამდაბლებული.იგი ლოცულობს არა ბაგითა და ენითა,არამედ გულითა და სულით.

2.ჭეშმარიტი ლოცვა არის ღვთის ძებნა იგი არის მოძრაობა და მისწრაფება კაცის სულისა ზეციერისა მამისა მიმართ.შეშმარიტის ლოცვაში კაცის სული თითქმის გამოვა ხორცთაგან და შევა ცათა შინა.იგი ცხადად გრძნობს ღვთის სიახლოვეს და არათუ სიახლოვე არამედ მასთან ერთობას.

როცა კაცის გულში გაჩნდება მადლი ჭეშმარიტისა ლოცვისა,მაშინ გული მისი ადუღდება და როგორც მშერი კაცი პურსა და მწყურვალე სასმელსა,ეგრეთვე ეძებს მადლსა და ლხინებას ღვთისადმი.

ამ მდგომარეობაში იყო სული დავით წინასწარმეტყველისა,როდესაც მან ღაღადყო: ,,ვითარცა სახე სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა,ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი,ღმერთო,სწყურის სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ძლიერეისა,ცხოველისა,ოდეს მე მივიდე და ვეჩვენო პირსა შენსა,უფალო.(ფსალმული 41,1).

მაშასადამე,ლოცვა არის უღრმესი და უშინაგანესი მოძრაობა კაცის სულისა.ოდეს სული კაცისა არის ჭეშმარიტსა ლოცვასა შინა,მაშნ ყოველნი სხვანი მისნი ორგანონი და გრძნობანი არიან დადუმებულნი,ყოველი მისი ჰაზრი და გრძნობა არის შემოკრებილი და შეგროვებული ერთსა წერტილსა შინა,მაშინ იგი სდგას წინაშე ტახტისა დიდებისა ღვთისასა და იგი ერთის მხრით გრძნობს და განიხილავს თვისსა განუზომელსა სიგლახაკესა და მეორეს მხრივ განუზომელსა მოწყალებასა ღვთისასა.იგი ცხადად გრძნობს,რომ ღმერთმა მიიღო მისი ლოცვა,შეიწყნარა იგი და აპატია მან მისი უღირსება.

3.ჭეშმარიტი ლოცვა არის განმაცოცხლებელი და მიზიდველი კაცის სულისა საქმისადმი კეთილისა.იგი გააღვიძებს კაცის გულში ყოველთა კეთილთა ჰაზრთ და განზრახვათა და გააუქმებს,მოსწყვეტს ყოველთა ბოროტთა ჰაზრთა და სურვილთა.იგი აიძულებს კაცსა რათა ადიდოს ღმერთი საქმითა მისითა.როგორითაც ხორციელი ცხოვრება კაცისა შესდგება ორით:ჰაზრითა და მოქმედებითა,ეგრეთვე სულიერი ცხოვრება შესდგება ლოცვითა და საქმითა.

ის ლოცვა არ არის ჭეშმარიტი ლოცვა,რომელიც არ გადაიქცევა კეთილ საქმედ.

მაშასადამე ყოველი კეთილი და წმიდა ჰაზრი,რომელიც გაჩნდება შენს გულში ლოცვისაგან არის და ლოცვა არის.ყოველი კეთილი დაწმიდა საქმე,რომელს შენ იქმ ღვთის გულისათვის და მისი სიყვარულისათვის ლოცვა არის,ვინაიდგან არის ნაყოფი ლოცვისა.

აჰა,ძმანო რა დიდი და მძიმე საქმე არის ლოცვა ჭეშმარიტი და რაოდენსა მოითხოვს იგი შენგან ღონესა და ძალას.

როდის არ მოქმედებს ლოცვა შენს ბუნებაში?

— შემოხვალ ეკლესიაში დაფანტული ჰაზრითა და თან შემოიტან სოფელის ურვასა.

— ლოცულობ არა სულითა და გულით,არამედ უფრო ენითა და ხელითა.

— მეშინის,რომ შენ გადიხარაქედან (ეკლესიიდან) არა გამართლებული და განწმენდილი,არამედ გამტყუნებული.ეს ჩანს იქედან,რომ გამოხვალ რა ეკლესიიდან,მაშინვე მიიქცევი უწინდელთა შენთა საქმისადმი:

— არ გამოიცვალე ხასიათი.

— გულფიცხელმა გული არ დაიწყნარე.

— გაუმაძღარმა სიხარბე არ მოიშალე.

— ამპარტავანმა თავი არ დაიმდაბლე.

თუ ჭეშმარიტი და ნამდვილი ყოფილიყო შენი ლოცვა,მაშინ ვითარცა კარგ დროზე მოსული წვიმა მიწისაგან ნაყოფს,ეგრეთვე იგი გულისა შენისაგან გამოიხმობდა კეთილსა ჰაზრსა და საქმესა.

ღმერთო,მოგვეც ჩვენ ის მადლი,რომელ ყოველი ჩვენი კეტილი გრძნობა და ჰაზრი ლოცვასა შინა გაჩენილი გარდაიქცეოდეს კეთილ საქმედ.

დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობა პირველი

გთხოვთ,წაიკითხოთ ფრაგმენტები.გამოიყენეთ არჩევანის მეთოდი და შეადგინეთ თვითშეფასების სქემა.

ლოცვისას რომელ რჩევას ვასრულებდი აქამდე	ლოცვისას რომელ რჩევას გავითვალისწინებ მომავალში

აქტივობა მეორე

მსჯელობა თემაზე: ,,რას შეგვძენს ფრაგმენტებში მოცემული სწავლების შესრულება“

.....

.....

§7.5 სადამრიგებლო საათი ,,გარნა მამასა გაუხარდა მოქცევა მისი“

1. კაცი ცოდვილი მიიღებს რა ღვთისაგან სამკვიდრებელსა თვისსა,ესე იგი ჭუკუასა,გონებასა,სიმართლესა სულსა და ხორცსა ყოველსა,რაიცა აქვს კაცსა,განეშორება მამასა თვისსა ზეციერსა და დაღუპავს ამით ამათ ყოველთა ცოდვასა და უსჯულოებასა შინა.უმცროსი იგი ძე (იგავიდან უძღები შვილის დაბრუნება ლუკა XV.11-32) განაბნია რა ყოველი საცხოვრებელი თვისი შეიქმნა მწყემსად ღორთა და იყო მშიერ და უძღებ.ეს გამოხატავს უკიდურესსა დაცემასა და

წახდენას კაცისა ცოდვილისა,ოდეს იგი ესოდენ დაემონება უწმინდურთა ვნებათა,რომ შეიქმნა მსგავსი უწმინდური პირიტყვისასა.

2. გარნა უკანასკნელ უძღები იგი შვილი მოეგო თავსსა თვისსა.ესე იგი შთაიხედა გულსა შინა თვისსა და საძაგელ ეჩვენა მას მდგომარეობა თვისი.ცოდვა მხოლოდ იქამდინ უფლებს შინა კაცისასა,ვიდრემდის კაცს გონება აქვს დაფანტული,ვიდრემდის იგი არ მიეგო თავსა თვისსა.გარნა ამაოდ ცდილობს კაცი ცოდვილი სრულად დაივიწყოს თავი თვისი და დააჩუმოს სინდისი.ამაოდ ფიქრობს იგი რომელ ცოდვას დააკმაყოფილებს მას და სრულიად დაავიწყებს სახლსა და მამულსა მისის მამისა,რომელსაც განეშორა იგი,მოვა ჟამი,ოდეს სული მისი შექმნილი ხატად და მსგავსად თვისა,იგრძნობს მოწყენასა და მწუხარებასა,შთავარდება საშინელსა შინა შიმშილსა.ცოდვა ვერ გააძღობს და ვერ გაბედნიერებს უკვდავსა სულსა კაცისასა.ცოდვა მხოლოდ ერთ წამს ამხიარულებს კაცსა.გავა წამი და ნაცვლად სიტკბოებისა დარჩა გულსა შინა სიმწარე,რომელმან ჟამსა ამას მოწყინებისა და სინანულისა მსგავსად უძღებმა მის უთხრას თავსა თვისსა:რათა ვტანჯავ მე სულსა ჩემსა,რათა ვატყუებ მე უბედურსა გულსა ჩემსა,რისთვის ვკვდები შიმშილით,აღვსდგე და მივიდე მამისა ჩემისადმი.იგი მოწყალე არს,იგი კვალად მიმიღებს მე და მუნ მოვიპოვო მხიარულება და განსვენება სულისა ჩემისათვის.

3. ესრეთ ჰქმენ შენცა ძმაო ჩემო,აღსდეგ და მოიქეც მამისა შენისადმი.იგი არ გაყვედრებს ურჩებასა და ცოდვასა არც ერთითა სიტყვითა,არამედ მიგიღებს შნ სიყვარულითა და სიხარულითა.იგი შეგმოსავს შენ ახლითა სამოსელითა.ესე იგი მოგანიჭებს ახალსა მადლსა და სათნოებასა სულიერსა. იგი შეგაცვამს თითსა ზედა ბეჭედსა ძვირფასსა, ვითარცა ნიშანსა შერიგებისა და ღირსებისა შენისასა. იგი დაჰკლავს ვარაკსა ჭამებულსა, ესე იგი განგაძღებს ნუგეშითა სულიერითა. ანგელოსნი ზეცათანი ვითარცა თქმულს არს სახარებასა შინა განიხარებენ ღვთისა შენისა მოქცევისა და ცხოვრებისათვის.

4. გარნა ვინ იტყვის წუთისოფელში,რომ იგი იყოს უცოდველი.ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ.უმეტესად ვემსგავსებით უმცროსსა მას ძესა,ხშირად განვეშორებით მამასა ზეციერსა,გარნა ვისწრაფვოდ და ვებაძვოდ მისსა მონანებასა და მოქცევასა.ამისთვისაცა სთქვა იგავი ესე,რათა განუღვიძოს გულთა შინა ჩვენთა

მონანიება,რათა მოვიძაგოთ ცოდვა და ვნება და ვისურვოთ სულითა მოქცევა მამისადმი ჩვენისა ზეციერისა.

დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობა პირველი

გთხოვთ,წაიკითხოთ მეორე აბზაცი და გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება

აქტივობა მეორე

გთხოვთ,გაიცნობიეროთ სწავლება: ,,მოქცევას კაცისას წინ უძღვის ესე:მოეგო თავსა თვისსა".ჩაუკვირდით საკუთარ თავს და დაფიქრდით: ხომ არ დაივიწყეთ და განეშორეთ ,,სახლსა და მამულსა მამისასა"

აქტივობა მესამე

გთხოვთ,წაიკითხოთ მესამე და მეოთხე აბზაცები,დააკავშიროთ სათაურთან და გააკეთოთ ანალიზი.

---

§7.6 სადამრიგებლო საათი ,,გიყვარდეთ თქვენცა ერთსა მეორე,შეურიგდით ურთი-ერთსა და მიუტევეთ შეცოდებანი ერთმა მეორესა"

ყველიერის კვირას (აღდგომის მარხვის დასაწყისის წინა დღე) ძველთაგან მიღებული ჩვეულებისამებრ მართლმადიდებელსა ეკლესიასა შინა, აწინდელსა დღესა ქრისტიანენი გამოითხოვენ შენდობასა ურთიერთთა შორის, შეურიგდებიან ერთი მეორეს და მიუტევებენ რაიცა ჰქონდათ უკმაყოფილება ანუ გულ-ნაკლულევანება ერთსა მეორესა ზედა. ამისათვის ეწოდებოდა დღესა ამას კვირიაკე შენდობისა.

ნუ დავივიწყებთ ჩვენცა, ძმანო მართლმადიდებელნო, წმინდასა ამასა ჩვეულებასა აღვასრულოთ იგი გულწრფელად.

მიხედეთ რა სახით შეგვაგონებს მაცხოვარი აღსრულებასა ამას მცნებისასა: **„უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმა ზეცათამან, ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს შეცოდებანი თქვენნი". (მათ.6.14.)**

- ხედავთ, ვითარ სურს მამასა ჩვენსა ზეციერსა რათა იყოს ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული?
- გრძნობთ, ვითარ უყვარს მას ოდეს გვხედავს შერიგებულთა და კეთილად განწყობილთ.

წარმოიდგინეთ მამა, რომელსა ჰყავს რამდენიმე შვილი და უყვარს იგი. ვითარ სასიამოვნო არს მისთვის, ოდეს ჰხედავს მათ შორის სიყვარულსა და ერთობას.

შვილნო ჩემნო, უკეთუ გსურთ იყვნეთ ჩემთვის საყვარელ გიყვარდეთ თქვენცა ერთი მეორე, შეურიგდით ურთიერთსა და მიუტევეთ შეცოდებანი ერთი მეორესა.

როცა მიხვალ მოძღვართან აღიარებ ცოდვათა შენთა და მოელი მისგან შენდობასა, რომელითა პირობითა მოგიტევებს შენ იესო ქრისტე ცოდვათა შენთა?

-უკეთუ მიუტევნეთ თქვენცა კაცთა შეცოდებანი მათნი.

მოძღვარსა შენსა არ ძალუძს განტევება ცოდვათა შენთა, უკეთუ არ აღასრულე ეს დიდი პირობა.

აწ გვსურსა, რათა ღმერთმა მოგიტევოს ცოდვანნი შენნი?

- შენც მიუტევე მოყვასსა შეცოდებანი მისნი.

გსურს შეგირიგოს ღმერთმა?

-შეურიგდი შენცა მოყვასთა შენთა.

რა მიზეზი ან საფუძველი გაქვს, რომ არ მიუტევო კაცსა შეცოდებანი მისნი?

-თუ შენ არასოდეს არავისთვის არ გიწყენია, მაშინ კიდევ შეგეძლო სიმართლით არ მიტევება მოყვასთა შეცოდებათა მათთა... შენ თვითონ ხარ ცოხვილი, თვითონაც უთუოდ მრავალგზის აწყინე და შესცოდე მოყვასთა შენთა. მაშასადამე, შენთვის საჭირო არს, რომ მოგიტევონ მოყვასთა შეცოდებანი შენნი. აწ შენცა მიუტევე გულწრფელად ყოველთა შეცოდებანი მათნი.

უმეტესად უნდა გვახსოვდეს და ვასრულებდეთ ამ ცნებასა მისთვის, რომელ ჩვენ ნამეტნავად ვართ მიდრეკილნი მტრობისა და შურისძიებისადმი და ამასთანავე მიზეზნი ჩვენის განხეთქილებისა და ურთიერთშორის უკმაყოფილებისა თითქმის ყოველთვის არიან წვრილნი და მცირე ფასისანი.

საუბედუროდ, თვით ხასიათითა ვართ ჩვენ გულ-ფიცხელნი, ადვილად დავემდურებით და ხშირად უსაფუძვლოდ გადავემტერებით ერთი მეორესა.

შეწუხდება და შერცხვება კაცსა, ოდეს წარმოიდგენს, რა მცირე და უბრალო მიზეზი საკმაოდ არის ზოგჯერ რაითამცა დაარღვიოს ჩვენს შორის ერთობა და სიყვარული.

ყოვლისა კაცისათვის და ყოველსა საზოგადოებისათვის მშვიდობა, ერთობა და სიყვარული არის ესოდენ ძვირფასი საუნჯე, რომელ ადამიანმა ყოველთა ღონისძიებითა უნდა დაიფაროს და შეინახოს იგი.

გარნა ჩვენ, საუბედუროდ, ერთსა მცირისა მიზეზისათვის მზად ვართ მოვახდინოთ დიდი შფოთი და დავივიწყოთ სიყვარული.

ცილობა და განხეთქილება განათლებულსა საზოგადოებასა შინა არასოდეს არ გათავდება სიძულვილითა და შურისძიებითა, ვითარცა ვხედავთ ჩვენში ხშირად. სხვათა ქვეყანასა შინა მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ სამართალმა უსამართლობას აჯობოს, ხოლო აქ ცდილობენ, რომ კაცმა კაცს აჯობოს. იქ ჰაზრი ჰაზრთან ჰბრძვის და საქმე საქმესთან. აქ კაცი-კაცთან, გვარი-გვართან. იქ ცილობა მოხდება ჭეშმარიტისა და უმჯობესისა წესის ძიებისაგან, აქ თავხედობისა და

თავისმოყვარეობისაგან. აქ ცილობა და უკმაყოფილება ყოველთვის დაბოლოვდება მხოლოდ სიძულვილითა და მტრობითა, იქ იმას ფიქრობენ მხოლოდ ცილობითა და ბრძოლითა გამოაჩინონ უმჯობესი ჰაზრი და წესი, აქა მცირე უკმაყოფილება საუკუნოდ განაბარებს კაცს კაცისაგან.

ნუ უქნება, ძმაო, ეს ცუდი წესი საუკუნოდმდე ჩვენს შორის. უკეთუ ქრისტიანი ვართ მივიახლნეთ ქრისტესა.

ქრისტე არ არის მუნ სადაცა სუფევს უთანხმოება და შური.

მომიტევეთ და შემინდეთ მე, ძმანო ჩემნო ყოველი რაიცა ვისმეს ვსცოდე სიტყვით ან საქმით. შეგინდობთ და მოგიტევებთ ყოველთა, ვინც მცოდა და ვინც რაიმე მაწყენინა სიტყვით ან საქმით.

გლოცავთ თქვენცა მივუტევოთ და შევუნდოთ ურთიერთსა ყოველნი შეცოდებანი სიტყვითი და საქმითი, ხოლო უფალი იესო იყოს საზოგადო ჩვენი შემწნარებელი და მალხინებელი ყოველთა შინა ცოდვათა ჩვენთა.

დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობა პირველი

გთხოვთ,უპასუხოთ შეკითხვას წერილობით:**ძველთაგან მიღებული წესი ღდგომის მარხვის დაწყების წინ შენდობის გამოთხოვა ურთიერთშორის დღესაც დღესაც პირვანდელი სახით აღესრულება მართლმადიდებელ ეკლესიაში,რას ნიშნავს თქვენთვის ეს დღე?**

აქტივობა მეორე

მსჯელობა თემაზე:**ქრისტე არ არის იქ,სადაცა სუფევს უთანხმოება და შური.**

აქტივობა მესამე

დაწერეთ ესე:**,,რა შემატა ჩემს ცოდნას ცოდვათა მიტევების შესახებ ქადაგების ფრაგმენტების გაცნობამ“**

---

§7.7.სადამრიგებლო საათი ,,სიტყვა ჩემი...“

ახლა გამოვითხოვ თქვენგან,ძმანო,ნებას,მივაქციო სიტყვა ჩვენი ჩვენზედვე.

მოვალეობისამებრ ჩვენისა,ვითარცა აქაურმა შობითგანვე,ჩვენ შევიტყვეთ,რა ნაკლულევანება და საჭიროება აქვსთ მცხოვრებთა ჩვენისა ქვეყნისათა,და გვსურს,რათა დავნერგოთ გულთა შინა მათთა,რომელიმე ზრუნვა გამოცვლად მათისა ზნეობისა და ყოფა-ქცევისა.

მარად-ჟამ,ყოველთა ადგილთა და სოფლებთა შინა ვამხილებდეთ ჩვენ ორთა საშინელთა და დამღუპველთა ჩვენთა ცოდვათა,ესე იგი **უქმად დროების დაკარგვასა და ურთიერთშორის მტერობასა და განხეთქილებასა.**

თითქმის ყოველსა კაცსა ვაჩვენებდით მისსა საკუთარსა ნაკლულევანებასა.

არ არის საკვირველი,რომელ ესრეთმან,დაახლოებულმან ჩვენმან სიტყვამან განამწარა რომელნიმე პირნი.ყოველი კაცი თავისმოყვარეა და არ მოსწონს,როდესაც მას გამოუხატვენ ცხადად ცუდსა მისსა ხასიათსა;ამისთვის ჩვენზედაცა მოხდა რაოდენიმე ცილობა და განწვალება.

გარნა ჩვენ არა ვსწუხვართ,როდესაც რომელნიმე პირნი ცილობენ ჩვენზედ და გვემდურვიან.ესრეთ უყვეს სხვათა უმჯობესთა მქადაგებელთა,რომელნი გულწრფელად ასწავლიდენ და ამხილებდნენ მსმენელთა მათთა;ეგრეთვე უყვეს მაცხოვარსა,ოდეს იგი ჰქადაგებდა სიტყვასა ღვთისასა: ვინ არისო იგი,-იტყოდენ ზოგიერთნი ერისაგანნი,ვიღაც ერთი გალილეველი,ხუროს შვილი,როგორ ბედავს ესრეთ ჩვენ მხილებასაო?

დიდნი მქადაგებელნი იყვნენ გრიგოლი ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი, გარნა მრავალგზის იყვნენ იგინი დევნულ მათისა ქადაგებისათვის.

აქ იქმნება ვინმე იფიქროს თავის გულში: ვის შეადარა ამან თავისი თავი? ნუ თუ მაგას ჰგონია, რომელი იგი არის მსგავსი გრიგორი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა? არა, ძმაო ჩემო, ნუ ხარ ჩქარი განკითხვად მოყვსისა შენისა!

მე არ შევადარებ თავსა ჩემსა ხსენებულთა მქადაგებელთა; მე სხვა მწუხარება მაქვს გულში: მე იმას ვსტირ და ვსწუხვარ, რომელ სიტყვა ჩემი არის ერთობ სუსტი და უძლური, რომელ იმას არა აქვს ეგოდენი ძალა და მოქმედება, რაოდენიცა სურს გულსა ჩემსა. ნეტავი მომცეს მე ისრეთი სიტყვა, რომელი შევიდოდეს შინაგან მსმენელისა და გამოსცვლიდეს მის გულსა; ანუ ვითარცა ზარი დაეცემოდეს მძინარესა სინდისსა ცოდვილისასა და განაღვიძებდეს მას ღრმისა მისისა ძილისაგან, ანუ ცეცხლად მოეკიდებოდეს და დასწვიდეს ყოველსა ღვარძლსა და კუროს თავსა ცოდვილის გულისასა; შემუსრვიდეს გულსა ამაყისასა, ხოლო გულსა შინა მწუხარებისაგან დამძიმებულსა იქმნებოდეს ვითარცა ნელსაცხებელი, დამალბობელი წყლულებისა

მისისა, მოიყვანდეს ცრემლსა თვალთა ზედა მსმენელთასა, მოაძულებდეს მათ ცოდვასა, შეაყვარებდეს ღმერთსა და მოყვასსა. ესრეთი რომ ყოფილიყო სიტყვა ჩვენი, მაშინ არ შევსწუხდებოდით, როდესაც გაჩნდებოდა მისგან განწვალება შორის მსმენელთა;

გარნა იგი არის უსუსური და სუსტი, ესრეთ რომელ არა უწყით, აქვს მას რომელიმე კეთილი ნაყოფი შორის მსმენელთა, ხოლო შფოთი და ცილობა კი განაჩინა მან.

გარნა რაც გინდა სუსტი და უძლური იყოს სიტყვა ჩვენი, მას აქვს ერთი კეთილი თვისება, რომელსა ვერავინ ვერ წაართმევს მას; იგი არის გულ-წრფელი და მომდინარე სიყვარულის და ერთგულების წყაროისგან;

თვით სულიერი მტერი ჩვენი, ეშმაკი რომ წარმოსდგეს აქა, იგიცა ვერ დაამტკიცებს, რომელ სხვა რაიმე მიზეზი აღძრავდეს ენასა ჩვენსა, ანუ იყოს ვითარიმე ორგულობა ჩვენ გულში. მაშასადამე, რისთვის მოახდინე შფოთი, ჰოი, შენ ბოროტო კაცო? რისთვის აჩვენე შეურაცხება წმიდასა ამას ადგილსა? რათ აჩვენე სირცხვილი ეკლესიის კრებასა და სჯულსა ჩვენსა? რას იტყვიან ახლა ურწმუნონი? არ იტყვიან იგინი, რომელ მართლ-მადიდებელთა ესრეთ მცირედი აქვსთ სასოება და მორიდება თვისის საკუთარის საყდრისა, რომელ არ ერიდებიან თვით ეკლესიაში შფოთსა და უწესოებასა? ეს წვავს გულსა ჩემსა სხვა არაფერი გვაწუხებს ჩვენ.

იქმნება ჩვენ ვართ ერთი უკანასკნელი კაცი, ღირსი ყოვლისა შეურაცხ-ყოფისა, გარნა, ძმაო ჩემო, არა მე შეურაცხ-მყოფ შენ, არამედ თვით სჯულსა; ჩემ პირში და ჩემ სახეში ანუ პატივს-ჰსცემ და ანუ შეურაცხ-ყოფ თვით შენსა საკუთარსა სარწმუნოებასა. შეინანე, ძმაო, შენი ბოროტ-მოქმედება და ნუ იყოფინ ნუ რაოდეს ჩვენში ესრეთი შფოთი და ცილობა, არამედ იყავნ სიყვარული და ერთგულება.

აქტივობა პირველი

დაასრულეთ ფრაზა: **,,ნეტავი ვინმემ მომცეს ისეთი სიტყვა“...**

აქტივობა მეორე

იმსჯელეთ: **,,კეთილი თვისება სიტყვისა“**

აქტივობა მესამე

შევავსოთ ასოციაციური რუკა:ჩემი სიტყვა



§7.8. სადამრიგებლო საათი ,,ზნეობითი სწავლა და დარიგება განსხვავებულ უნდა იქნეს ქალებისათვის“

გარნა ზნეობითი სწავლა და დარიგება განსხვავებული უნდა იქმნეს ქალებთათვის, ვინაითგან ღმერთმან ამათ სხვა მნიშვნელობა მისცა და საკუთარი საქმე დაუნიშნა. დასამტკიცებლად ამისა ჩვენ ვხედავთ, რომელ საღმრთონი წიგნნი ორისავე აღთქმისანი მრავალ-გზის საკუთარსა და განსხვავებულსა დარიგებასა აძლევენ დედა-კაცთა.

მაგალითებრ, სიტყვანი: „დედაკაცი მხნე ვინ პოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდელისა" (იგავნი სოლომონისანი 31.10) რომელიც წარმოთქმულ არიან დიდისა სოლომონ ბრძნისა მიერ. სოლომონ ბრძენმან არ იცოდა, საჭირო არს თუ არა საკუთარი სწავლა ქალებთათვის? გარნა იგი წიგნთა შინა მისთა მრაგალ-გზის მიიქცევა მათდამი და მისცემს მრავალთა საკუთართა დარიგებათა და ბოლოს უკანასკნელსა 31 თავსა წიგნისა თვისისასა (იგავნი სოლომონისანი) საკუთრად უძღვნის ქალებთა დასარიგებლად.

ფრიად შესანიშნავი არს, ძმაო, ეს ხსენებული თავი იგავთა სოლომონისათა, მით უმეტესად, რომ სოლომონ პირველთა მუხლთა შინა გვეტყვის, რომელ ეს დარიგება მისცა მას დედამან მისმან, რომელი იყო თავის დროზედ ქალი წარჩინებული და განთქმული, ვითარცა მშვენიერებითა, ეგრეთვე მხნეობითა და გონიერებითა. განვიხილოთ, ძმანო და დანო ჩემნო, რა სახით აღწერს და რომელთა თვისებათა მიაწერს სოლომონ ქალსა მხნესა.

იმედი გვაქვს რომ ეს არ დაშთება უსარგებლო ჩვენთვისას.

დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოვოს უძვირეს არს ქვისა მრავალ-სასყიდლისა. სოლომონ ბრძენი აქ იჭვნეულებით ჰკითხავს: ვის შეუძლიან იპოვოსო დედაკაცი მხნე;

მართლაც, ოდეს აღმოვიკითხავთ რა სახით აღწერს იგი დედაკაცსა მხნესა და როგორ უნდა იქცეოდეს ესრეთი დედაკაცი, დავრწმუნდებით რომელ, თუმცა ფრიად სანატრელ არს, გარნა არა ადვილ პოვნა ესრეთისა დედაკაცისა.

სოლომონ გვეტყვის ჩვენ, რომელ მხნე დედა-კაცი ეგრეთ მართავს სახლსა თვისსა, რომ გული მეუღლისა მისისა, სრულიად არის მოსვენებული და დარწმუნებული მას ზედა. კადნიერ არს მის ზედა გული ქმრისა მისისა (მუხ.11).

იგი ყოველთვის კეთილსა იქმს და არა ბოროტსა ქმრისა მისისათვის (12).

მან მოიგო მატყლი და სელი და ჰქმნა კეთილ-სახმარი ხელითა თვისითა (13).

იგი არის მსგავსი მოვაჭრის ნავისა, რომელმა შორით შეიკრიბის თავისა თვისისათვის სიმდიდრე (14).

იგი აღსდგის ღამიდგან და მისცის საზრდელი სახლეულთა და საქმე მხევალთა (15).

მან მოირტყა ძლიერებით წელი თვისი და დაამტკიცნა კლავნი თვისნი საქმესა ზედა (17).

იგი ესრე მიეჩვია შრომის-მოყვარეობას, რომელ ამით ინუგეშებს თავსა თვისსა: იხილა გემო, რამეთუ კეთილ არს საქმედ და არა დაშრტეს სანთელი მისი ღამე ყოველ (18).

მწყრთა თვისი განმარტა სასარგებლოსა ზედა, ხოლო ნებსად თვისა განამტკიცებს, ტარსა ზედა სთვად (19).

და არა თუ მხოლოდ სახლისათვის ზრუნავს მხნე ქალი, არამედ იგი კეთილიცა არის და ქველის-მოქმედი: ხელნი თვისნი განუხვნა გლახაკსა, ხოლო ნაყოფნი მიუპყრნა დავრდომილსა (20).

არ არის აქ საჭირო დავუმატოთ, რომ ესრეთ მხნე ქალის მოწყალება არის უმეტეს ძვირფასი წინაშე თვალთა ღვთისათა, ვინაითგან იგი თავის ხელის ნაშრომს აძლევს გლახაკთა. გარნა მოვიყვანოთ კიდევ სოლომონის წიგნითგან რაოდენიმე ხაზნი მხნე დედაკაცის თვისებისა: ქმარი მისი სრულიად ბედნიერი არის და უზრუნველი სახლისა მისისათვის: არა ზრუნავს მყოფთათვის სახლსა შინა ქმარი მისი, ოდეს სადაჰყოვნოს (21).

მას არ ეშინიან ზამთრისა და სიცივისა, ვინაითგან საყვარელმან მისმან მეუღლემ მრჩობლი სამოსელი უქმნა ქმარსა თვისსა და ყოველთა მისთანა მყოფთა (22).

ქმარი მისი არის ქებული და დიდებული საზოგადოებასა შინა გონიერებითა და სიკეთითა მეუღლისა მისისათა: დიდებულ იქმნების ბჭეთა შინა ქმარი მისი, ოდესცა უკეთუ დასჯდის კრებულთა შორის მოხუცებულთა თანა მკვიდრთა ქვეყანისათა (23).

ესრეთ აღწერს მხნესა დედა-კაცსა სოლომონ. უეჭველია, რომელ მრავალნი აქ მსმენელთა მამა-კაცთაგანი შენატრიან მათ, რომელთა ღმერთმან მისცა ესრეთი გონიერი და მხნე მეუღლე.

გარნა შეიძლება რომელთამე მსმენელთა და უმეტესად ქალებთა ესრეთ იფიქონ თავის გულში: რა არის, რომელ სოლომონ აქებს ერთსა მხოლოდ შრომასა და დაუძინებელსა მუშაობასა დედაკაცისასა? ნუ თუ თვინიერ ქსოვისა და კერვისა სხვა უფრო პატიოსანი საქმე არ უნდა ჰქონდეს დედაკაცსა და თვინიერ დაუძინებელისა შრომის-მოყვარეობისა სხვა თვისება არ უნდა შეიძინოს მან?

არა, ძმანო და დანო ჩემნო, სხვანიცა მრავალნი თვისებანი უნდა ჰქონდეს დედაკაცსა და სხვანიცა მრავალნი პატიოსანნი საქმენი შეუძლიან მან აღასრულოს. გარნა შრომის-მოყვარეობა ანუ მხნეობა, **პირველად,** არის ისრეთი ძვირ-ფასი თვისება, რომელიც იპყრობს შორის მისსა ყოველთა სხვათა მაღალთა თვისებათა. უკეთუ ქალი ესრეთ დაუცხრომელად არის შრომასა და სახლის მორთვასა შინა, მით იგი ცხადად გვიმტკიცებს რომელ მას აქვს თავის უარის-ყოფა,ვინაიდგან იგი არა თავისა თვისისათვის ეძიებს სარგებლობასა,არამედ მისთა მახლობელთა;ამასთანავე აქვს მას განუზომელი სიყვარული ქმრისა,შვილთა და სახლეულთა.

მეორედ,ქალი შრომის-მოყვარე არის პატიოსანი ზნეობითა და ყოფა-ქცევითა,ვინაიდგან ესრეთ გართულსა შრომასა და მოღვაწეობასა შინა არა აქვს თავისუფალი დრო,რომ დაკარგოს იგი უქმად ჭორსა და ბოროტ-სიტყვაობასა შინა,განცხრომასა და სხვათა შეუსაბამოთა საქმეთა შინა.

მესამედ,იგი აძლევს,სასარგებლოსა მაგალითსა შვილთა და გარემოს მყოფთა მისთა.იგი ვითარცა სანთელი ნათელსა,ესრეთ განავრცელებს გარემოს მისსა სიწმიდესა,ბედნიერებასა და ქრისტიანულსა ზნეობასა.ერთი სიტყვით,იგი არის მხნე:დედა-კაცი მხნე ვინ ჰპოვოს,უძვირეს არს ქვისა მრავალ-სასყიდლისა.

აქ იქმნება ვინმე ქალთაგანმა კიდევ მითხრას: ესრეთი დაუძინებელი შრომა და მოღვაწება შეეფერება მხოლოდ მდაბიო ღარიბთ დედა-კაცთა,გარნა ვინც არის მდიდარი და ვისაც მრავალი მოახლე ჰყავს,მან რათ უნდა გასწიროს თავი?არა,დაო ჩემო,ფრიად შეცდომილი არის ეს ჰაზრი.ღმერთმან ყოველს ადამიანს დაუნიშნა შრომა და მუშაკობა.

გარნა ჩემი სიტყვა რა საჭირო არის აქ!მაგალითი სიტყვაზედ უმჯობესია!მხნე იგი დედაკაცის აღწერა სოლომონისა დედამ უთხრა მას!სოლომონ მეფის დედა ღარიბი რათ იქმნებოდა,მაგრამ თვითან იგი იყო ის მხნე დედაკაცი,რომელსა აღწერს შვილი მისი.

გარნა მე ამაზე უმჯობესსა და უსაყვარლესსა მაგალითსა მოგიყვან.მე თვითონ არ მინახავს და გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან,რომელ ერთ-ძველ ეკლესიასა შინა,კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ ძევს მატყლი,ხელში უჭირავს ტარი და ქსოვს მატყლსა.ნეტამც ჩემი თვალით მენახა ეს ხატი!მაშინ მე გავიცნობდი მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისისა ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემი!რა კარგი რამ იქმნებოდა,რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა,რომ ერთ კერძო მისა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულისა ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა,ხოლო თვით მას ხელში ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა მისსა ღვთაებრივისა კარგითა ხელოვნებითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი სიწმიდე,სიმშვიდე და სიყვარული;თვალთა შინა მისითა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულებისა,რომელნი წარიტაცებენ კაცის გულსა.ესრეთი ხატი იქმნებოდა ჭეშმარიტი დროშა ანუ სიმვოლო,ესე იგი ნიშანი ყოველი ქალის მოვალეობისა,ღირსებისა და მნიშვნელობისა.ამინ.

დამოუკიდებელი მუშაობა

აქტივობა პირველი

აღწერეთ **,,დედაკაცი მხნე და მისი ქცევანი“**

აქტივობა მეორე

რატომ არის ,,შესანატრი მამაკაცი,რომელსაც ღმერთმა მისცა გონიერი და მხნე მეუღლე“?

აქტივობა მესამე

ჩაწერეთ რაში უნდა გამოავლინოს ქალმა თავისი გონიერება,მხნეობა,შრომისადმი სიყვარული?

აქტივობა მეოთხე

მსჯელობა რატომ ,,არა ადვილ არს პოვნა მხნე დედაკაცისა“

დასკვნები

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში,მღვდელ მაქსიმე ქიქოძის ოჯახში.დედა მარიამ დგებუაძე ადრე გარდაეცვალა და ოთხი შვილის გაზრდა მამამ იკისრა.მაქსიმე ქიქოძე გურიის მთავრის მამია გურიელის კარის მღვდელი იყო.

მაქსიმე ქიქოძეს შვილები თან ახლდა წირვა-ლოცვებზე,ისინი ეხმარებოდნენ მამას,მამამ ასწავლა წერა-კითხვა,დაჰყავდა გურიელის სასახლეში,სადაც აკითხებდა წიგნებს,ასწავლიდა ენებს.შვილებს ამეცადინებდა სოფლის ბავშვებთან ერთად.

ღრმა რელიგიური რწმენა,მუყაითობა რელიგიურ ვალდებულებათა შესრულებაში,სულიერი სიფხიზლე,მდუღარე ცრემლები,ხატის წინ,მყუდრო,ბნელ ოთახში ნაფრქვევი,მუხლზე დგომა საათობით,ღვთისადმი აღპყრობილი ხელები,ყველა ის,რითაც მღვდელმთავარს განცვიფრებაში მოჰყავდა მომსახურე და მესაიდუმლე პირები,ჩნდება,ვითარდება,მტკიცდება მხოლოდ ოჯახში.(მ.კელენჯერიძე).

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა.ეს იყო პირადი შეურაცხყოფები,მუქარა,წერილები ჟურნალებში თუ სხვა,მაგრამ იგი

ყოველთვის სიმტკიცით,სიმართლით და პატიოსანი საზოგადოების მხარდაჭერით კიდევ უფრო ძლიერდებოდა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა,რომ ,,ჩვენს ხალხს ადრითგანვე ჩვეულებად ჰქონიამღვდელმთავრისაგან შენდობის გამოთხოვა,რჯულის კანონად ჰქონია გადაქცეული...როცა შენდობას ითხოვს,ცხადია,რომ ის თავის გულში სინანულში ვარდება და ეს კარგია.ამგვარი რამ ადამიანს გულიდან არ უნდა ამოერეცხოს.“

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთის ეპარქიაში,რომელიც მოიცავდა იმერეთის,სამეგრელოს,რაჭა-ლეჩხუმს,სვანეთს,(გარკვეული დროით გურია და შემდგომ აფხაზეთი),200-ზე მეტი ეკლესია ააშენა და შეაკეთა.

განუზომელია წმიდა გაბრიელის ღვაწლი აფხაზეთის ეპარქიის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.თავისი კვლევით,დასაბუთებით აფხაზეთის ეპარქია გაუქმებას გადაარჩინა და ეპისკოპოსად დადგენის შემდეგ დიდი ღვაწლი გასწია აფხაზეთში ეკლესიების აგების,შეკეთების,მოვლის,საეკლესიო მსახურთა მიმართულების მხრივ.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აქტიურად იღწვოდა ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.იყო გულუხვი,შემწე და მწყალობელი ღარიბთა და დავრდომილთა.დააარსა სპეციალური ,,სამზრუნველო“ სასულიერო წოდების პირთა ქვრივებისა და ობლებისათვის.

მ.კელენჯერიძის დახასიათებით ,,ამ მოჭირნახულე კაცის გული გაღებული იყო ყოველი გაჭირვებული ადამიანისთვის.ობოლი და ქვრივი,ღარიბი და სნეული,გასათხოვარი ქალი და თვალცრემლიანი დედა,დამწვარი და ბრმა,ბერი და მღვდელი,გარეშე და მოყვასი,განათლებული,ურია და თათარი,ყველანი თანაგრძნობას პოულობენ მღვდელმთავრის გულში და ნუგეშობენ მით.

ხალხის ჭირ-ვარამის გასაცნობად ძალიან ბევრს მოგზაურობდა თავის ეპარქიაში.არ იყო სოფელი,სადაც ეპისკოპოსი არ შესულიყო და არ ექადაგა.შეხვდებით ცნობებს იმაზე,თუ რამდენი ქალი გაამზითვა,რამდენი ტყვე უხსნია,რამდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია,რამდენი ფართლეული უყიდია შიშველთა შესამოსად,რამდენი ქირა გადაუხდია,შეგირდებისათვის სასწავლო ნივთები უყიდია,რამდენი სნეული საავადმყოფოში მიუცია და უმკურნალებია,რამდენი ჩანგრეული ხიდი აღუდგენია,სკოლას თუ სასწავლებლებს მუდმივ ჯამაგირს უნიშნავს.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პირად მაგალითს ბევრის გულში სიკეთის თესლი გაუღვივებია.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენება იქცა საყოველთაო გლოვად,რადგან მიაჩნდათ,რომ იგი მაშინ მოევლინა ჩვენს სამშობლოს,როცა ირგვლივ ,,უფსკრული,ბნელი ღამე გამეფებულიყო“.იგი იყო მემკვიდრე იმ ძველთა წმიდა მამათა,რომელთა სახელი შორიდან უნათებს ქრისტიანობას,ამხნევებს და უღვიძებს მას სულიერ ძალას.

მანათობელი ვარსკვლავის ჩაქრობას შეადარა საზოგადოებამ ღვთისმსახური მღვდელმთავრის გარდაცვალება და ხალხი უწყვეტ ნაკადად დაიძრა გელათისაკენ.ორატორები ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდაცვლილის ღვაწლის განდიდებაში.გამომსვლელებს ბოლო არ უჩანდა:ეს იყო გლეხი,მოსწავლეები,მწერლები,დიდი მოღვაწეები,საეკლესიო პირები.მრავალთაგან მნიშვნელოვანია წმიდა ილია მართლის__ილია ჭავჭავაძის სიტყვა,რომელშიც წარმოჩენილია ღვაწლი ადამიანისა,რომელიც ,,სარწმუნოებას ამეცნიერებდა“ და ,,მეცნიერებას ასარწმუნოებდა“.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვით ხალხი ერთხელ კიდევ თითქოს წინასწარ უცხადებდა თაყვანისცემას ყველა იმ მამულიშვილს,ვინც მომავალში ერისა და ქვეყნის სამსახურს უანგაროდ შესწირავდა სიცოცხლეს. წმიდა მამის დაკრძალვა იქცა რწმენად,რომ ღვთისა და მოყვასისადმი გაღებული მადლი უკვალოდ არ იკარგება და სიყვარულით ფასდება.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის პედაგოგიური მემკვიდრეობა თანამედროვეობისათვის მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი:

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს განათლება მიაჩნდა დიდ ძალად,რომლის გარეშე არ არსებობდა სათნოება,სიკეთე და ურთიერთპატივისცემა.

განათლების შინაარსის განმსაზღვრელი სახელმწიფო დოკუმენტებია: სასწავლო გეგმა,სასწავლო პროგრამა და მათ საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელო წიგნები ცოდნიდ მიწოდებასთან ერთად ემსახურებოდეს მამულის,რწმენის,სიყვარულის განმტკიცებას,ზნელეთილი ადამიანის აღზრდას.

ჰარმონიული განვითარება და აღზრდა ხუთ ძირითად ნაწილთან (გონებრივი,ზნეობრივი,ესთეტიკური,შრომითი და ფიზიკური) ერთად მოიცავს მეექვსე ნაწილს-რელიგიურ აღზრდას,რომელიც მოიცავს შემდეგ საშუალებებს:ფიქრი,რწმენა,ლოცვა,ზიარება,აღსარება,სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი აღზრდა-განათლების მთავარ მიზნად მიიჩნევს:მივცეთ მოზარდს განვითარების სწორი გზა,გადავარჩინოთ მისი სული,განვამტკიცოთ მასში ქრისტიანული ნორმებისადმი სიყვარული,ხელი შევუწყოთ პიროვნების ჩამოყალიბებას.გასათვალისწინებელია,რომ ცუდ საფუძველზე კარგი სწავლება არ დაშენდება.

ეროვნული განათლების დასამკვიდრებლად,ქართული ცნობიერების გასაძლიერებლად აუცილებელი განათლების შინაარსი დაეფუძნოს ქართველთა საუკუნოებრივ ტრადიციებს.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მიაჩნდა,რომ დიდაქტიკური პრინციპები,მეთოდები პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით ემყარებოდეს ბიბლიურ სწავლებას.

საგანმანათლებლო საქმის წარმატების მნიშვნელოვან პირობად მიაჩნდა,რომელიც თავის მოვალეობის შესრულებას საკუთარი სინდისით წარმართავს და მარტო წიგნი ან ხელობა კი არ ასწავლის მოსწავლეს,არამედ უწინარეს ყოვლისა,პატიოსნება,შრომისმოყვარეობა და ქრისტიანობა.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახს, ბავშვთა აღზრდის სწორად წარმართვისათვის.იგი მიიჩნევდა,რომ მშობლებმა თავიანთ შვილებს უნდა ასწავლონ ზნეობა,შრომა,პატიოსნება,სიცრუის სიძულვილი,სიყალბის მორიდება,ცუდისა და კარგის გარჩევა,სულისა და გულის სიღრმეში წრფელი სინდისი გაუჩინონ და გაუზარდონ.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვრების სიბრძნე და ცხოვრების პირადი მაგალითი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებული ჩართვით.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ განსაზღვრული ზნეობრივი აღზრდის მეთოდები,მათ შორის დარწმუნება,შთაგონება,რომელიც განფენილია

ქადაგებებში,საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას ისინი ,,კლასის საათის“ სადამრიგებლო პროგრამაში.

ლიტერატურის დასახელება:

1. ბიბლია 2008:ბიბლია საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა თბილისი
2. ბასილაძე 2000;იმერი ბასილაძე ,,გაბრიელ ეპისკოპოსის /ქიქოძე/ ქრისტიანული პედაგოგიკა;ქუთაისი
3. გობრონიძე 2000; ალექსანდრე გობრონიძე ,,პედაგოგიკა“ ბათუმი.
4. გოგებაშვილი 1896;N 56; იაკობ გოგებაშვილი ,,მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა“ გაზეთი ,,ივერია“.
5. გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი იაკობ ,,თხზულებანი“ ტომი IV თბილისი
6. გაბრიელ ეპისკოპოსი 1989; ქადაგებები,ტომი II,ქუთაისი
7. გაბრიელ ეპისკოპოსი 1989; ქადაგებები,ტომი I,ქუთაისი
8. გაბრიელ ეპისკოპოსი 1993; ,,ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ თბილისი
9. კანდელაკი 1968; ნიკოლოზ კანდელაკი ,,ქართული მჭერმეტყველება“ თბილისი
10. კელენჯერიძე 1913;კელენჯერიძე მ. ,,გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ ქუთაისი
11. მეგრელაძე 2003; ციალა მეგრელაძე, ,,რელიგიურ-ეთიკური ნორმების ცოდნის სასწავლო პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები“ ბათუმი
12. მეგრელაძე 1990; ციალა მეგრელაძე ,,კაცთა შორის სათნოება“ ბათუმი.

13. ნიკოლეიშვილი 1990;13 ავთანდილ ნიკოლეიშვილი ,,გაბრიელ ეპისკოპოსი /ქიქოძე/“ ქუთაისი
14. უზნაძე 1998;დიმიტრი უზნაძე- ,,სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია,“ ნეკერი.
15. ფერაძე 1896:ილია ფერაძე ,,წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი
16. ხალვაში 2013;-ხათუნა ხალვაში ,,წერა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურზე,“ ბათუმი
17. ჭავჭავაძე 1896;ილია ჭავჭავაძე სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღეს.
18. მეგრელიძე 1989_შ.მეგრელიძე,მ.კეზევაძე_ გაბრიელ ქიქოძე ქართულ სიძველეთა დამცველი.
19. ჭეიშვილი1896 - ი.ჭეიშვილის სიტყვა ჟურნალი ,,მწყემსი“ 1896წ.301
20. კრებული 1897 - კრებული ,,სულმნათი გაბრიელის საუნჯე“.
21. ნიკოლაძე 1960 - ნ. ნიკოლაძე თხზ. ტ. II:46.